



„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საარჩევნო პროგრამა
2020

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
1. დემოკრატიული განვითარება.....	4
1.1. საკონსტიტუციო რეფორმა და პარტიულ-პოლიტიკური სისტემის განვითარება	4
1.2. სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობა	7
1.3. ადამიანის უფლებები და მათი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.....	12
2. ეკონომიკური განვითარება	23
2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა	23
2.2. ბიზნესგარემო.....	25
2.3. დასაქმება.....	27
2.3.1. წარმოების განვითარება	28
2.3.2. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გაძლიერება.....	30
2.4. საგარეო სავაჭრო ურთიერთობები	30
2.5. ეკონომიკური რეფორმები	31
2.5.1. სახელმწიფო საწარმოების რეფორმა	32
2.5.2. დამატებული ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების რეფორმა	32
2.5.3. კაპიტალის ბაზრის რეფორმა	33
2.5.4. საპენსიო რეფორმა	33
2.5.5. წიაღის რეფორმა	34
2.5.6. გადახდისუნარობის რეფორმა.....	34
2.5.7. მენარმეთა შესახებ კანონი	35
2.5.8. ენერგეტიკის რეფორმა	35
2.5.9. საგადასახადო დავების რეფორმა.....	36
2.6. ინფრასტრუქტურის განვითარება	36
2.6.1. საგზაო ინფრასტრუქტურა	37
2.6.2. წყალმომარაგება.....	37
2.6.3. ინტერნეტიზაცია.....	38
2.6.4. რეგიონული განვითარება	39
2.6.5. მთის განვითარება	40
2.6.6. სივრცითი მოწყობა	40
2.6.7. მყარი ნარჩენების მართვა	40
2.2.8. ტრანსპორტი და ლოგისტიკა.....	40
2.7. ენერგეტიკა.....	42
2.8. სოფლის მეურნეობა.....	43
2.9. ტურიზმი	46
2.9.1. მთის კურორტების განვითარება.....	47
2.10. გარემოს დაცვა.....	48
3. სოციალური განვითარება.....	50
3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	50
3.1.1. ჯანმრთელობის დაცვა	50
3.1.2. სოციალური დაცვა	54
3.2. განათლება.....	58
3.3 კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა	72
4. საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა.....	84
4.1 საგარეო პოლიტიკა	84
4.2. თავდაცვა	92

წინასიტყვაობა

2020 წელი მსოფლიოს ისტორიაში შვევა, როგორც კაცობრიობის დიდი განსაცდელის პერიოდი. კორონავირუსის პანდემიამ მთელ ცივილიზებულ სამყაროს თავს დაატეხა უპრეცედენტო, ყოვლისმომცველი კრიზისი; ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის შექმნილი საყოველთაო, მასშტაბური საფრთხე მთლიანად მსოფლიო წესრიგის, ყოველი ერისა და სახელმწიფოს, მთავრობებისა თუ საზოგადოებათა სიმტკიცისა და მდგრადობის უმკაცრესი გამოცდა აღმოჩნდა.

პანდემიით გამოწვეულმა გლობალურმა კრიზისმა, როგორც ჩვენი ერისა და სახელმწიფოს ღირებულებების, სიმტკიცისა და მდგრადობის, ქმედუნარიანობისა და ეფექტიანობის უტყუარმა ტესტმა, მკაფიოდ დაგვანახა ქართული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის აღმშენებლობაში მიღწეული შედეგები. საქართველომ შეძლო ეპიდემიის მაქსიმალური კონტროლი და მისი გამორჩეულად ეფექტური მართვა. საქართველო მსოფლიო თანამეგობრობაში გამოირჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული სახელმწიფო. ხელისუფლება ძალზე მოკრძალებული ეკონომიკური რესურსების პირობებში, საუკეთესოდ იცავს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებას ქვეყნის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. ხორციელდება მიზანმიმართული ღონისძიებები, რათა რაც შეიძლება მეტად შემცირდეს პანდემიით მიყენებული ეკონომიკური ზარალი, ხოლო პოსტკრიზისულ პერიოდში მიღწეულ იქნას დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის მოქალაქეების მეტი კეთილდღეობა.

ქართველი ხალხის ერთიანობა, მისი სიბრძნე, სიმტკიცე და შემართება, რამაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მოიტანა დიდი გამარჯვება, ამ არჩევნებშიც, **კვლავაც, ქვეყნის გამარჯვების საფუძველი იქნება!**

საარჩევნო პროგრამაში ასახულია ორი უმთავრესი ეროვნული პრობლემა, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო: ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სიღარიბე. მშვიდობიანი ძალისხმევით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან შერიგება და საქართველოში სიღარიბის საბოლოოდ დაძლევა ჩვენი სახელმწიფოსა და ხელისუფლებისთვის უმთავრეს მიზნებად რჩება.

საარჩევნო პროგრამის მიზანი ეფექტიანი და მზრუნველი ხელისუფლების მიერ იმგვარი ცვლილებების განხორციელებაა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს დემოკრატიას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს სწრაფ ეკონომიკურ წინსვლას, აამაღლებს კეთილდღეობის დონეს და გააუმჯობესებს ჩვენი მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობას, ადამიანებს მისცემს განვითარებისა და თვითრეალიზების უკეთეს შესაძლებლობებს და ჩვენს ქვეყანას გაუმყარებს ღირსეულ ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში.

ეს არის სახელმწიფოებრივი განვითარების ევროპული სტანდარტი, საითკენაც მიისწრაფვის ჩვენი სახელმწიფო. საქართველოში ამ სტანდარტის სრული მასშტაბით დამკვიდრება ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში განწევრიანებით არის შესაძლებელი.

ევროკავშირი არის უალტერნატივო სივრცე ჩვენი იდენტობის შენარჩუნების, განვითარებისა და თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად.

საარჩევნო პროგრამა ეფუძნება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდის ამბიციას, შექმნას ყველა პირობა, რათა **2024 წელს საქართველომ გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე.**

1. დემოკრატიული განვითარება

2012 წლის დემოკრატიულმა გარდატეხამ შედეგად მოიტანა ფუნდამენტური წინსვლა ინსტიტუციური დემოკრატიის მშენებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებებით. აღიკვეთა ადამიანების ღირსების შელახვის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, ტოტალური თვალთვალისა და მოსმენის, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის, ბიზნესის რეკეტის, კონსტიტუციური ინსტიტუტების დამორჩილების სისტემური პრაქტიკა.

1.1. საკონსტიტუციო რეფორმა და პარტიულ-პოლიტიკური სისტემის განვითარება

„ქართული ოცნების“ ძალისხმევით, პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს აქვს კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს უმაღლესი ევროპული სტანდარტის საპარლამენტო მმართველობის სისტემას და ქმნის მყარ ფუნდამენტს ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი დემოკრატიული განვითარებისთვის.

დღეს საქართველო არის თავისუფალი ქვეყანა, რომელიც მიისწრაფვის ევროპული ტიპის, უმაღლესი დემოკრატიული სტანდარტის დამკვიდრებისკენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სავალალო შედეგი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საძირკვლის - კონსტიტუციურობის, კანონიერებისა და სამართლიანობის მორყევა იყო. 2004-2012 წლებში, „ნაციონალური მოძრაობის“ ვინროპარტიული ინტერესების საფუძველზე, დადგენილი პროცედურების უგულებელყოფით, მიიღეს 25 კონსტიტუციური კანონი, რის შედეგადაც კონსტიტუციამ და, შესაბამისად, მთლიანად სამართლებრივმა სისტემამ, თითქმის სრული დევალვაცია განიცადეს.

კონსტიტუციის მთელი რიგი ნორმები უხეშად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, რაც ხაზგასმით იყო აღნიშნული ვენეციის კომისიის მიერ 2010 წლის შესაბამის დასკვნაში. კონსტიტუცია შეიცავდა მთელ რიგ წინააღმდეგობებს კონსტიტუციურ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების განაწილებისა და მკაფიო გამიჯვნის თვალსაზრისით, რამაც პრაქტიკაშიც არაერთგზის შექმნა სირთულეები. კონსტიტუცია არ ადგენდა საკმარის გარანტიებს ძირითადი უფლებების დაცვისა და კონსტიტუციური ორგანოების დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, რაც, მთლიანობაში, განამტკიცებდა საპარლამენტო მმართველობის გაუმართავ სისტემას. გარდა ამისა, კონსტიტუცია შეიცავდა მრავალ ხარვეზს იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, მათ შორის, დასახვეწი იყო კონსტიტუციის სტრუქტურა და არაერთი კონკრეტული ნორმა. შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი კანონი ფუნდამენტურ გადასინჯვას საჭიროებდა.

„ქართულმა ოცნებამ“ განახორციელა **სრულმასშტაბიანი საკონსტიტუციო რეფორმის** რთული და, იმავდროულად, ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ხარვეზების აღმოსაფხვრელად და კონსტიტუციის დახვეწილი რედაქციის შესამუშავებლად, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, 2016 წლის 15 დეკემბერს, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. პარლამენტმა კომისიას დაუსახა ორი ძირითადი მიზანი: ა) კონსტიტუციის სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან; ბ) ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარების ინტერესის შესაბამისი კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება. საკონსტიტუციო კომისიის წარმატებული საქმიანობის შედეგად, 2018 წლის 23 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საპარლამენტო დემოკრატიის საუკეთესო ევროპულ ტრადიციებზე დაფუძნებული ძირითადი კანონი, რითაც პროავტორიტარული, წინააღმდეგობრივი და დეფორმირებული კონსტიტუცია შეიცვალა დემოკრატიული, კონსტიტუციური სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებული, საპარლამენტო მმართველობის სისტემის უზრუნველყოფი კონსტიტუციით. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად, საკონსტიტუციო რეფორმის

შედეგად, ქართულ სახელმწიფოს მიეცა შესაძლებლობა, მყარი სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისთვის. „ვენეციის კომისიის“ შეფასებით, „საკონსტიტუციო რეფორმა ამთავრებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემად გარდაქმნის პროცესს და წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს, ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს, კანონის უზენაესობასა და ძირითადი უფლებების დაცვას.“

კონსტიტუციის ახალი რედაქციით შეიქმნა საქართველოს, როგორც სამართლებრივი, დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფოს ფუნქციონირების მყარი სამართლებრივი გარანტიები, კერძოდ, უზრუნველყოფილია:

- ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის საფუძველზე საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება - ძლიერი პარლამენტი, ქმედითი მთავრობა, დამოუკიდებელი, ეფექტიანი სასამართლო და ბეპარტიული პრეზიდენტი;
- უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნა კონსტიტუციურ ორგანოებს შორის;
- ოპოზიციის როლის გაძლიერება ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში;
- ადამიანის უფლებების, ღირსებისა და თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტებით დაცვა;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ეფექტიანი მონესრიგება საპარლამენტო მმართველობისა და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის შესაბამისად;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მტკიცე გარანტიების შექმნა.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა და განმტკიცდა ეროვნულ-პოლიტიკურ პროცესებში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - **საქართველოს პარლამენტის წამყვანი როლი**. 2018 წლის 6 დეკემბერს, ინტენსიური და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, მიიღეს საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი, შედეგად - რეალური შინაარსი შეიძინა კონსტიტუციის 36-ე მუხლის ჩანაწერმა, რომლის თანახმადაც პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ახალი რეგლამენტით:

- მონესრიგდა პარლამენტის წევრის, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის, ფრაქციების, კომიტეტების, პარლამენტის ბიუროსა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი უფლება-მოვალეობები და ურთიერთობები;
- დაიხვეწა პარლამენტის კანონმემოქმედებითი საქმიანობის პროცედურები;
- მნიშვნელოვნად გაძლიერდა ოპოზიციის როლი საპარლამენტო საქმიანობაში, რისი პრაქტიკული გამოხატულებაც იყო ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად, ოპოზიციის წარმომადგენელთა უმრავლესობის მონაწილეობით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის საქმიანობა;
- გაძლიერდა და რეალური შინაარსი შეიძინა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციამ, პრაქტიკულად დამკვიდრდა ახალი რეგლამენტით გათვალისწინებული ისეთი საზედამხედველო მექანიზმები, როგორებიცაა: ინტერპელაციის დახვეწილი პროცედურა; საქართველოს პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მოხსენება; მინისტრის საათი; კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციის მიერ მინისტრის დაბარების უფლება; გაძლიერდა პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქცია საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებზე ზედამხედველობის მხრივაც.
- პარლამენტის საქმიანობა გახდა უფრო ღია და ინკლუზიური - გაიზარდა საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა: გადაადგილებისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებს შეუძლიათ პარლამენტის ტერიტორიაზე მარტივად ადაპტირებულ გარემოში გადაადგილება; მოქალაქეების მიერ კანონპროექტებზე გაკეთებულ კომენტარებს პარლამენტის კომიტეტები განიხილავენ და, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნებში ასახავენ;

მოქალაქეს შეუძლია მარტივად მოიძიოს პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად, ღია და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებული მონაცემები პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით; მობილური აპლიკაციის ჩამოტვირთვით ადევნოს თვალი საპარლამენტო საქმიანობას.

- გაუმჯობესდა პარლამენტის ანგარიშვალდებულება: პარლამენტის კომიტეტები ვალდებულნი არიან მოამზადონ და გაასაჯაროონ წლიური სამოქმედო გეგმები; პარლამენტის თავმჯდომარე ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სამოქალაქო საზოგადოებას და ისმენს მათ ინიციატივებს; საქართველოს პარლამენტი ამზადებს და პროაქტიულად აქვეყნებს საკუთარი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს; დამტკიცდა და მოქმედებს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი.

საპარლამენტო რესპუბლიკის აღმშენებლობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მთავარ გამოწვევად კვლავაც რჩება **პარტიულ-პოლიტიკური სისტემის** კრიზისიდან გამოყვანა და, დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებათა შესაბამისად, მისი განვითარების უზრუნველყოფა. პარტიულ-პოლიტიკური სისტემის დეფორმირება, რაც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდგომ 2003-2012 წწ-ში განხორციელდა, იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ დღემდე, ორი საარჩევნო ციკლის პერიოდშიც კი, ვერ მოხერხდა მძიმე სისტემური კრიზისის დაძლევა. „ქართულმა ოცნების“ მიერ შემოღებული პროპორციული საარჩევნო სისტემა და პარტიების დაფინანსების სამართლიანი წესი ეტაპობრივად უზრუნველყოფს პარტიულ-პოლიტიკური სისტემის პოლარიზებით გამონწვეული პრობლემების დაძლევას და ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს განვითარებასა და გაძლიერებას.

დემოკრატიული განვითარების, სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობისა და განმტკიცების მიზნით, კონსტიტუციის ახალი რედაქციის საფუძველზე, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გააგრძელებს ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ქართული დემოკრატიის კონსოლიდირების, ყველა მიმართულებით ქვეყნის შეუქცევადი დემოკრატიული განვითარების და მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის კიდევ უფრო მყარი გარანტიების უზრუნველსაყოფად.

გაძლიერდება **პარლამენტის წამყვანი როლი** ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაიზრდება პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქცია და პარლამენტში წარმართული პოლიტიკური პროცესების ინკლუზიურობა - გარანტირებული იქნება პოლიტიკური პარტიების, მათ შორის, არასაპარლამენტო ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, ბიზნესწრეების, ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქის ფართო ჩართულობა და მონაწილეობა. ამ მიზნით:

- შეიქმნება კანონპროექტების საერთო-სახალხო განხილვების „ონლაინ“ რეჟიმში წარმართვის პრაქტიკა;
- გაფართოვდება პარლამენტში მოქალაქეთა საკანონმდებლო წინადადებების, სხვადასხვა პოლიტიკური ინიციატივების და რეკომენდაციების წარდგენის მასშტაბები, მათი პროაქტიული გამოქვეყნება და საჯაროდ, ფართო მონაწილეობით განხილვა; წახალისდება მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივა, შეიქმნება შესაბამისი წარმატებული პრაქტიკა;
- გაფართოვდება პარლამენტის ფუნქციები და დაინერგება საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებების განმსაზღვრელი სტრატეგიული დოკუმენტების პარლამენტის მიერ დამტკიცების პრაქტიკა - დაინტერესებული მხარეების მონაწილეობითა და საჯარო განხილვების საფუძველზე;
- გაიზრდება პარლამენტის მონაწილეობისა და ჩართულობის მექანიზმების ეფექტიანობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების განხილვის პროცესში;
- პარლამენტი გახდება ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციის მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც ფართო მონაწილეობით, ღიად და საჯაროდ წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებს, სადაც გაგონილი და ღირებულია თითოეული მოქალაქის ხმა.

პარტიულ-პოლიტიკური სისტემის განვითარების მიზნით:

- „ქართული ოცნება“ განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოებში **პოლიტიკური პროცესის** განხორციელების, მასში მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენების ჩართულობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად; „ქართული ოცნება“, როგორც პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა, ყველაფერს გააკეთებს, რათა ნებისმიერი სუბიექტის უფლებების ხელყოფის გარეშე, დაძლეულ იქნას პარტიულ-პოლიტიკური სისტემაში „ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიული რევანშიზმით განპირობებული სირთულეები, პოლიტიკური პროცესი კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოებს არ გასცდეს, კონსტრუქციულად წარიმართოს და უკეთ ასახოს მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენების ინტერესები. ამ მიზნით, საარჩევნო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური ორგანიზაციების ჯანსაღი კონკურენცია; 2024 წლიდან, კონსტიტუციის შესაბამისად, გარანტირებული იქნება **სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე** გადასვლა და ე.წ. საარჩევნო ბლოკების გაუქმება;
- უზრუნველყოფილი იქნება **პარტიულ-პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება** პოლიტიკურ პროცესებში პარლამენტის წამყვანი როლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებით, მოქალაქეთა მეტი ჩართულობითა და მონაწილეობით, მონაწილეობითი და უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმებით საპარლამენტო პოლიტიკური სისტემის გაძლიერებით და განმტკიცებით;

1.2. სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობა

„ქართულ ოცნების“ ხელისუფლებას უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო **სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების** სფეროში. 2003-2012 წლებში კონსტიტუციურობის, კანონიერებისა და სამართლიანობის მორყევამ, როგორც გარდაუვალი შედეგი, განაპირობა სახელმწიფო ინსტიტუტების დეგრადაცია: გაბატონდა ერთპარტიული ავტორიტარიზმი, რამაც მოიწვა ხელისუფლების სამივე შტო და ყველა ადმინისტრაციული ორგანო; დაკნინდა პარლამენტი და სასამართლო; არაეფექტიანობითა და არადემოკრატიულობით გამოირჩეოდა დარგობრივ-ცენტრალიზებული მმართველობა, უკიდურესობამდე შეიზღუდა ადგილობრივი თვითმმართველობა; „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ „ნომენკლატურად“ გადაიქცა საჯარო სამსახური. ქვეყანასა და მის ყველა რესურსს, ფაქტობრივად, სრულად განაგებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ზედა ფენა, რომელმაც სახელმწიფო, რეალურად, საკუთარ კორპორაციად აქცია. ასეთი „სახელმწიფო“ უზრუნველყოფდა მხოლოდ მმართველი „ელიტის“ შეუზღუდავ ბატონობას, მის მატერიალურ თუ პოლიტიკურ სარგებელს და სასიცოცხლო სივრცეს ქვეყნის რიგითი მოქალაქეებისთვის აღარ ტოვებდა.

2012 წლიდან სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობისა და მათი განმტკიცებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა:

- **საქართველოს პარლამენტმა** დაიბრუნა ქვეყნის უმთავრესი და წამყვანი პოლიტიკური ორგანოს როლი და ფუნქცია, გაძლიერდა პარლამენტის როლი ხელისუფლების სისტემაში, განსაკუთრებით მისი საზედამხედველო ფუნქციები;
- **სასამართლო ხელისუფლება** გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, გატარდა ქმედითი ღონისძიებები მისი დამოუკიდებლობისთვის;
- მიიღეს **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“**, რომლის შესაბამისადაც, 2014 წელს, ჩატარდა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების - მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევნები; მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ყველა მუნიციპალიტეტში მთელი საქართველოს მასშტაბით, 2014-2015 წლებში, ჩატარდა შესარჩევ კონკურსები, რის შედეგადაც დროებით მოვალეობების შემსრულებელთა „ნომენკლატურის“ ნაცვლად პროფესიონალი მოხელეებით დაკომპლექტდა როგორც სახელმწიფო, ისე ყველა მუნიციპალური სამსახური;
- 2014 წელს მიიღეს **საჯარო სამსახურის კონცეფცია**, ხოლო 2015 წლის 27 ოქტომბერს - ახალი კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“. დაიწყო საჯარო სამსახურის ფუნდამენტური რეფორმა,

რომლის მიზანსაც წარმოადგენდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი „ახალი ნომენკლატურის“ ტრანსფორმაცია და საჯარო სამსახურის შექმნა პროფესიული, კარიერული მოდელის საფუძველზე;

- საქართველომ აქტიურად დაიწყო **ღია მმართველობის** პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) პრინციპების დანერგვა მთელ საჯარო სექტორში, მიიღეს და განახორციელეს ამ პრინციპების დამკვიდრების ახალი სამოქმედო გეგმა;
- საქართველო შეუდგა **საჯარო მმართველობის მთლიანი სისტემის** ფუნდამენტურ გარდაქმნას; 2015 წელს მიიღეს „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“, რომლითაც განისაზღვრა რეფორმების სტრატეგიული ჩარჩო და კონკრეტული ღონისძიებები 2020 წლამდე; დაიწყო აღნიშნული სტრატეგიის ხორცშესხმა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის, სახელმწიფო სერვისების განვითარების, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობათა გაძლიერების მიმართულებებით.

საკონსტიტუციო რეფორმამ მყარი საფუძველი შეუქმნა სახელმწიფო ინსტიტუტების შემდგომ განმტკიცებას, საჯარო სამსახურისა და მთლიანად - საჯარო მმართველობის რეფორმების გაღრმავებას, ღია მმართველობის პრინციპების შეუქცევად და თანმიმდევრულ დამკვიდრებას, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი და ხელსაყრელი საჯარო სერვისების ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და განვითარებას, კერძოდ, პარლამენტის წამყვანი როლის გაძლიერებას; საჯარო მმართველობის რეფორმის გაღრმავებას; „მცირე მთავრობის“ პრინციპების შემოტანას, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის რეალიზებას.

განხორციელდა **საჯარო მმართველობის ძირული რეფორმა**, რომლის სახელმძღვანელო პრინციპები და სტრატეგიული მიმართულებები ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მხარდაჭერით განისაზღვრა. ეს სტრატეგიული მიმართულებებია: პოლიტიკის დაგეგმვის რაციონალური და ეფექტიანი სისტემის შექმნა; კარიერული მოდელის პროფესიული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება; სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების გაძლიერება, ღია მმართველობის დანერგვა; სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურებების ხარისხობრივი გაუმჯობესება; საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვა; „მცირე მთავრობა“ და დეცენტრალიზაცია. დამტკიცდა რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა. საჯარო მმართველობის რეფორმის უმთავრესი მიზანია მთლიანად ქვეყნის მმართველობის სისტემის მეტ დემოკრატიულობაზე, ეფექტიანობაზე და ეფექტურობაზე ორიენტირებული ფუნდამენტური ტრანსფორმაცია.

ეროვნული და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებზე **პოლიტიკის დაგეგმვის რაციონალური, ეფექტური და ეფექტიანი სისტემის** ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ მართვას, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ხარისხობრივად გაუმჯობესებულ კოორდინაციას, მთავრობამ, 2016 წლის 30 დეკემბერს, მიიღო „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო“, 2019 წლის 20 დეკემბერს კი დამტკიცდა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“; მომზადდა, დამტკიცდა და სისტემურად ხორციელდება სხვადასხვა დარგობრივი და მულტისექტორული პოლიტიკის 30-მდე სტრატეგია.

განხორციელდა **საჯარო სამსახურის ფუნდამენტური რეფორმა** და ის გარდაიქმნა კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ სტაბილურ, საჯარო სამსახურის ერთიან სისტემად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად:

- შეიქმნა პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი;
- მკაფიოდ გაიმიჯნა ერთმანეთისგან სახელმწიფო პოლიტიკური, პოლიტიკური და სამოხელეო საჯარო თანამდებობები;
- სამუშაოთა აღწერილობებით მკაფიოდ მონესრიგდა პროფესიულ მოხელეთა უფლება-

მოვალეობები; განისაზღვრა სამსახურებრივი ფუნქციები, როლი და ადგილი დაწესებულების სტრუქტურაში; შესაბამისად, ჩამოყალიბდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები; აღიკვეთა ე.წ. მოვალეობის შემსრულებლებად მასობრივად და პოლიტიკური ნიშნით დანიშვნა-გათავისუფლების მავნე პრაქტიკა; მოწესრიგდა მოხელის კარიერის მართვა - მისი სამსახურში მიღება-გათავისუფლება, დანიშნულება, სამსახურებრივი გადაყვანა, მობილობა აღარ არის დამოკიდებული პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე; ჩამოყალიბდა ღია და დახურული კონკურსების მყარი პრაქტიკა;

- სამართლიანი და ობიექტური გახდა დაწესებულების საკონკურსო კომისიის ფორმირების წესი: დაწესებულების ხელმძღვანელს აღარ აქვს უფლებამოსილება, იყოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
- ყალიბდება მოხელის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მოხელის საქმიანობის რეგულარული (წელიწადში ერთხელ მაინც) შეფასების რაციონალური სისტემა; იქმნება მოხელეთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა; პროფესიული განვითარების სისტემის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2019 წლის ბრძანებით, დამტკიცდა საჯარო დაწესებულების მოხელეთა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმისა და ანგარიშის ფორმა, რომლის შესაბამისადაც, თითოეულმა საჯარო დაწესებულებამ დაამტკიცა პროფესიული განვითარების ყოველწლიური გეგმა;
- 2017 წელს მიიღეს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“. ანაზღაურების სისტემა გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს დაეფუძნა, რაც თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღებას გულისხმობს. დადგინდა საბაზისო ხელფასი, ხოლო შესაბამისი სახელფასო კოეფიციენტის შერჩევის წინაპირობას ყოველი თანამდებობის ფუნქციური დატვირთვა და სამუშაო აღწერილობების შინაარსი განაპირობებს. წარსულს ჩაბარდა დაუმსახურებელი პრემიებისა და დანამატების პრაქტიკა.

ღია მმართველობის სამოქმედო გეგმებით, საქართველო პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ყველა გამოწვევას: საჯარო მომსახურების გაუმჯობესებას, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას, საჯარო რესურსების უკეთესად მართვას, უსაფრთხო გარემოს შექმნასა და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაზრდას.

საჯარო მომსახურებათა გაუმჯობესებისა და განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული; მათ შორის, განხორციელდა და გრძელდება: მინის რეგისტრაციის წარმატებული რეფორმა; მოქალაქეებისთვის დისტანციური სერვისების მიწოდების ხარისხობრივი გაუმჯობესება; უკეთესი სერვისები შშმ პირებისთვის და სხვ. განხორციელდა საჯარო მომსახურებების წარმატებული პროექტები, მათ შორის: ეროვნული სანავიგაციო და სამისამართო პროექტი, საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტი, სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაციის პროექტი და სხვ. ამოქმედდა პროგრამა „სახელმწიფო შენი პარტნიორია“, რაც გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, ქვეყნის ყველა რეგიონის მენარმეთა სახელმწიფო მხარდაჭერას თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის და ბიზნესის წამოწყებისა თუ განვითარების სრულიად ახალ შესაძლებლობებს აჩენს; მიმდინარეობს საჯარო სერვისების მწარმოებელი დაწესებულებების, მათ შორის იუსტიციის სახლების, საზოგადოებრივი ცენტრების, ეროვნული არქივის, ნოტარიუსთა პალატის ინფრასტრუქტურული განახლება - მათი ცენტრალური თუ რეგიონული ოფისების მშენებლობა-აღჭურვა, ასევე, შესაბამისი მომსახურებების ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე განვითარება;

ფართოვდება და ვითარდება **იუსტიციის სახლების** მომსახურება: დღეის მდგომარეობით, მოქალაქეები სერვისებს იღებენ 27 იუსტიციის სახლში; 2013-2020 წლების განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სახლები 450-ზე მეტ საჯარო სერვისს გასცემდნენ და, საერთო ჯამში, 32 მილიონ მომხმარებელს მოემსახურნენ; მიმდინარე წელს იუსტიციის სახლის ახალი ფილიალი გაიხსნა ქარელში. ამჟამად იუსტიციის სახლების მშენებლობა მიმდინარეობს წყალტუბოსა და გარდაბანში; იუსტიციის სახლში დაინერგა თბილისის მერიის, შსს მომსახურების სააგენტოს, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 20-მდე ახალი სერვისი; უახლოეს მომავალში

იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომი გახდება ტურიზმის ეროვნული სააგენტოს, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარების სააგენტოს, პროგრამა „ანარმე საქართველოში“ ახალი სერვისებიც. მთლიანობაში, 2013-2020 წლებში, იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების 145 სერვისი გახდა ხელმისაწვდომი. ასევე, 33 სხვადასხვა კერძო კომპანიასთან თანამშრომლობის შედეგად, იუსტიციის სახლებში დაინერგა კერძო სექტორის ისეთი სერვისები, როგორებიცაა: სამოგზაურო დაზღვევის პოლისის, უძრავი ქონების რემონტის დაზღვევის პოლისის, დოკუმენტების დაზღვევის პოლისისა და საერთაშორისო სიმ-ბარათის გაცემა, ასევე, ენერგორესურსების პროვაიდერ კომპანიებში აბონენტის რეგისტრაცია და ცვლილება.

საჯარო მომსახურებათა გაუმჯობესების მიმართულებით, ინოვაციური მიდგომების დანერგვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა დასახლებაში „საზოგადოებრივი ცენტრების“ პროექტი, რომლის ფარგლებშიც, 2020 წლისათვის, საზოგადოებრივი ცენტრების რიცხვი 85-ს მიაღწევს. სამომავლოდ, პროექტი ეტაპობრივად მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს.

იმავედროულად, მოქალაქეებს ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი my.gov.ge-ის მეშვეობით, ნებისმიერ საჯარო დაწესებულებასთან ელექტრონული მიმონერის საშუალება აქვთ. 2020 წლისთვის, პორტალზე 200 000 რეგისტრირებული მომხმარებლისთვის 700-მდე ელექტრონული სერვისია ხელმისაწვდომი.

მმართველობის სისტემის თანმიმდევრული გარდაქმნის ორგანული ნაწილია „მცირე მთავრობის“ იდეის განხორციელება, რაც არსებითად არის დაკავშირებული დარგობრივ-ცენტრალიზებული მართვის ტერიტორიულ მართვად ტრანსფორმაციასთან, სახელმწიფო მმართველობის სისტემის თანმიმდევრული დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის გზით.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, პირველად მიიღო „დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“. **დეცენტრალიზაციის თანმიმდევრული პოლიტიკა** დაემყარა სამი ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიული მიზნის მიღწევას. კერძოდ: 1) საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილის მოგვარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის ხარისხობრივ გაზრდას, რაც გულისხმობს კონსტიტუციის ახალი რედაქციით გარანტირებული, სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობის სფეროს გაფართოებას; 2) ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფას შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით, რაც ნიშნავს, კონსტიტუციის ახალი რედაქციით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელთ არსებული რესურსების მათ უფლებამოსილებებთან უკეთესი და უფრო სრული შესაბამისობის მიღწევას: ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ქონების გადაცემას, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-მდე გაზრდას; ამასთან, სახელმწიფო იზრუნებს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უკეთ გამოთანაბრებისთვის; 3) სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას.

2025 წლისთვის ჩამოყალიბდება ევროპული სტანდარტების ადგილობრივი თვითმმართველობა და დასრულდება არადემოკრატიული, არაეფექტიანი დარგობრივ-ცენტრალიზებული მმართველობის ეფექტიანი და დემოკრატიულ ტერიტორიულ მართვად საბოლოო გარდაქმნის პროცესი.

საჯარო მმართველობის ძირეული რეფორმის, პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტური და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი დახვეწის მიზნით:

- შეიქმნება მტკიცე საკანონმდებლო საფუძვლები როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებზე; კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვრება შესაბამის დონეებზე პოლიტიკის დაგეგმვის სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი, მათი იერარქია, ურთიერთმიმართება და თავსებადობა როგორც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, ისე მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ დოკუმენტებთან;
- გაუმჯობესდება პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმები და, შესაბამისად, საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები;

- გაუმჯობესდება პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ხარისხი;
- უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის საბოლოოდ ჩამოყალიბება.

განხორციელდება **საჯარო სამსახურის წარმატებული რეფორმის** მხარდამჭერი ღონისძიებები რაციონალური, ეფექტიანი და ეფექტური, კეთილსინდისიერი, დეპოლიტიზებული, მაღალპროფესიული და დამსახურების შესაბამისად კარიერულ წინსვლაზე, უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე დამყარებული საჯარო სამსახურის სისტემის საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად. ამ მიზნით:

- ყველა საჯარო დაწესებულებაში გაძლიერდება საკადრო (ადამიანური რესურსების მართვის) სამსახური, დაიხვეწება ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე, ავტომატიზებული სისტემების სტანდარტები, დასრულდება მათი დანერგვა;
- ინსტიტუციურად გაძლიერდება საჯარო სამსახურის ბიურო, უზრუნველყოფილი იქნება მის მიერ კანონით განსაზღვრული ფუნქციების უკეთ განხორციელება;
- უზრუნველყოფილი იქნება საჯარო დაწესებულებებში პროფესიული განვითარების ეფექტიანი სისტემების შექმნა, გამართული ფუნქციონირება და შემდგომი განვითარება;
- საჯარო დაწესებულებებში დაინერგება და დაიხვეწება სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო მოხელეების შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვისა და ანგარიშგების ეფექტიანი მექანიზმები და ინსტრუმენტები.

ღია მმართველობის პრინციპების დანერგვა და საჯარო სერვისების განვითარება კვლავ იქნება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. განხორციელდება ღონისძიებები ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის, ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტიანობის, მათი ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით:

- დაიხვეწება ადმინისტრაციული კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, გადამუშავდება „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად;
- კანონმდებლობით მოწესრიგდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები;
- განისაზღვრება სახელმწიფო მმართველობის (ადგილობრივი თვითმმართველობის) ორგანოების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების დასაფუძნებლად კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული მოთხოვნები, კონკურენციის შებენიანობისა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების გამორიცხვის მიზნით;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით, დაინერგება ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკა; დაიხვეწება საჯარო ფინანსების განაწილებისა და მართვის სისტემა;
- ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, დადგინდება წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შესრულების ანგარიშგების, ასევე მათი გამოქვეყნებისა და საზოგადოებისთვის წარდგენის სტანდარტები.

გაუმჯობესდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისები:

- მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, შემუშავდება მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტი;
- გაიზრდება სახელმწიფო და მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- შეიქმნება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ხარისხის მონიტორინგის სისტემა, ამ მიზნით დაინერგება ერთიანი სტანდარტი;

- ჩამოყალიბდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტური მიდგომები;
- გაუმჯობესდება სახელმწიფო, მუნიციპალური და, ასევე, კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა;
- გაიზრდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- გაძლიერდება კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება.

1.3. ადამიანის უფლებები და მათი დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები

„ნაციონალური მოძრაობის“ ავტოკრატიის პირობებში, საქართველო ასცდა დემოკრატიული განვითარების გზას: ხელისუფალთა სისტემური ძალადობის შედეგად, უგულებელყოფილი იყო და მიზანმიმართულად ინგრეოდა დემოკრატიული საზოგადოების საყრდენი ღირებულებები - თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატიული წესრიგი. ქვეყანაში გაბატონდა უსამართლობა და უთანასწორობა, ხელყოფილ იქნა ადამიანის ღირსება და კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები, აღარ არსებობდა რეალურად დაცული, კონსტიტუციით გარანტირებული აღარცერთი უფლება, საყოველთაო გახდა დაუცველობისა და ჩაგვრის გარდაუვალობის დამთრგუნველი განცდა.

2012 წლის 1 ოქტომბრის გარდამტეხი არჩევნების შემდგომ, **საქართველო დაუბრუნდა დემოკრატიული განვითარების გზას**. 2012 წლიდან ქვეყანაში კარდინალურად შეიცვალა ვითარება, ხელისუფლებაში ყოფნა უფლებრივ პრივილეგიას აღარ განაპირობებს; ადამიანის უფლებების, უპირველეს ყოვლისა - თანასწორობის პრინციპის, არადისკრიმინაციულობის, დემოკრატიული წესრიგის, საყოველთაოდ, პირველ რიგში, თავად ხელისუფალთა მიერ ყოველდღიურად დაცვა, „ქართული ოცნების“ უმთავრეს პრიორიტეტად იქცა. იმთავითვე აღიკვეთა სისტემური ძალადობის, უფლებრივი დისკრიმინაციის, უსამართლო ჩაგვრის პრაქტიკა; დაუყოვნებლივ შეწყდა პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა, პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო ამნისტიის აქტი, გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები, 2,5-ჯერ შემცირდა პატიმართა რაოდენობა, აღიკვეთა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო დევნა, უზრუნველყოფილი იქნა გამოხატვის სრული თავისუფლება, ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა პოლიტიკური ზენოლა მედიაზე, ხელისუფლების მიერ მათი მონოპოლიზება და წარსულს ჩაბარდა სიცრუეზე დამყარებული პროპაგანდისტვის გამოყენება. დასრულდა ბიზნესის რეკეტი და მისი პოლიტიკური მიზნებით გამოყენება.

2014 წელს პარლამენტმა მიიღო **„ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“**, რომლის განხორციელებაც ინსტიტუციური დემოკრატიის აღმშენებლობის საფუძვლად იქცა; ინსტიტუციური დემოკრატიის მთავარი პრინციპის - სახელმწიფო ორგანოებმა და საჯარო მოხელეებმა აკეთონ ის, რაც კანონით ნებადართულია, ხოლო თავისუფალმა პიროვნებამ - ის, რაც კანონით აკრძალული არ არის - განუხრელი დაცვა, ხელისუფალთა ყოველდღიური საქმიანობის ქვაკუთხედი გახდა;

წარმატებით განხორციელდა **„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია“**, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში მათი მონაწილეობის გააქტიურებას, ხარისხიან განათლებაზე წვდომის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერასა და ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას.

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე, დაარსდა **საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის** საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომლის ფარგლებშიც, ომის შედეგად დაზარალებული სოფლების აღსადგენად, განხორციელდა მთელი რიგი ეფექტიანი სოციალური, ინფრასტრუქტურული, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სასოფლო-სამეურნეო პროგრამები.

2018 წელს დამტკიცდა მთავრობის უპრეცედენტო სამშვიდობო ინიციატივა **„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“**. შედეგად: პირველად შეიქმნა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების

მოსახლეობის კეთილდღეობასა და განვითარებისკენ მიმართული ახალი სტატუს-ნეიტრალური შესაძლებლობები; ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებს დანარჩენ საქართველოსა და საგარეო ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობა მიეცათ; ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო სერვისები, რომლითაც საქართველოს ყველა მოქალაქე სარგებლობს.

სისტემური რეფორმები გატარდა **სასამართლო სისტემაში**, მათ შორის, საკონსტიტუციო დონეზე. რეფორმების 4 ტალღის შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა: სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; სასამართლოს ანგარიშვალდებულება; მართლმსაჯულების ხარისხი და ეფექტურობა; ხელმისაწვდომობა თითოეული მოქალაქისთვის. რეფორმების ფარგლებში განხორციელდა ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები:

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართულებით

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანით დადგინდა ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც, მოსამართლის თანამდებობაზე განწესება ხდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;
- საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, ირჩევს პარლამენტი. ანალოგიურად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით ხდება;
- დამოუკიდებლობის განმტკიცების თვალსაზრისით, სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ცვლილებებით მკაფიოდ ჩამოყალიბდა მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები, დაიხვეწა მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის პროცედურები, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა შერჩევის კრიტერიუმები და მახასიათებლები. სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის ცვლილებები შეეხო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლება-მოვალეობათა ფართო სპექტრს: საბჭოს მიენიჭა მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარების თაობაზე თანხმობის მიცემისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არჩევის უფლებამოსილებები. ამას გარდა, კონსტიტუციას დაემატა დებულება, რომლის თანახმადაც, მოსამართლის შეუცვლელობა გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ გამწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი;
- მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის ნაწილში გაიზარდა მოსამართლეთა სოციალური გარანტიები, კერძოდ, მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- პირველი და მეორე ინსტანციების მოსამართლეებისა და სასამართლოების თავმჯდომარეების შერჩევის პროცესის დახვეწის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნა. ამასთან, კანონი დეტალურად განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ კენჭისყრის ჩატარების შემდეგ გამოსაქვეყნებელი გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტს. კანონი ასევე ითვალისწინებს პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნამდე, შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებთან კონსულტაციების გამართვას;
- აღსანიშნავია, რომ მესამე ტალღის ცვლილებების შედეგად დაინერგა საქმეთა ავტომატური განაწილების სისტემა. მოსამართლეთა შორის საქმეთა ავტომატური და შემთხვევითი განაწილების სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც საერთო სასამართლოების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია და მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მაქსიმალურ გამჭვირვალობას.

გატარებულმა რეფორმებმა გაზარდა სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა, რაც დასტურდება ავტორიტეტული კვლევებით. 2019 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ავტორიტეტული

და ნეიტრალური სუბიექტების - IPSOS FRANCE-ის, Amicus Curiae-ის, პროფესორ იან ვან დაიკისა და საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ მიერ შემდგარი კონსორციუმის კვლევა - „სასამართლო რეფორმების შეფასება საქართველოში“. კვლევის შედეგების თანახმად: რესპონდენტთა 51% საქართველოს სასამართლო სისტემას, მოსამართლეებისა და სასამართლოების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, კარგად აფასებს; მოსახლეობის 52% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში სასამართლო არის სანდო; დებულებას, რომ საქართველოში სასამართლო არის სამართლიანი, ეთანხმება რესპონდენტთა 55%.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საერთო სასამართლოებში ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების 2 კვლევა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა 65-70% სასამართლოს ენდობა.

ანგარიშვალდებულების მიმართულებით

- სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, რამაც შექმნა საფუძველი დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების შემდგომი დახვეწისთვის. ამასთან, სავალდებულო გახდა დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და მისი დეპერსონალიზებული სახით გამოქვეყნება. ასევე, დამოუკიდებელ ინსპექტორს დაევალა ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობა;
- მე-4 ტალღის ფარგლებში დაიხვეწა მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური გადაცდომის სახეები, ცალკე გამოიყო და დისციპლინურ გადაცდომას აღარ წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა. კანონმა დააბუსტა, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის. ამას გარდა, დამოუკიდებელ ინსპექტორს, გარკვეულ შემთხვევებში, მიენიჭა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება და არსებითად გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიები. სავალდებულო გახდა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ კვარტალური ანგარიშის წარდგენა.

შედეგად, მესამე და მეოთხე ტალღის რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა არსებითად გააუმჯობესა და გამჭვირვალე გახადა მოსამართლეთა მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი.

ხარისხისა და ეფექტიანობის მიმართულებით

- მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობის გარანტიის განმტკიცების მიზნით, განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც, სკოლის მსმენელთა მიღების უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლაში მსმენელთა მიერ მიღებული ცოდნის ხარისხის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების ხანგრძლივობა 16 თვემდე გაიზარდა; იუსტიციის მსმენელი, თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შემდეგ, გადის სტაჟირებას საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოში, ადვოკატურასა და ნოტარიატში, პროკურატურასა და/ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა ყოველთვიური სტიპენდიის ოდენობა გაიზარდა 2000 ლარამდე; შემუშავდა სკოლის სტრატეგიული გეგმა; განახლდა იუსტიციის მსმენელების მომზადების პროგრამა და დაინერგა ხარისხის მართვის სისტემა ISO 9001;
- დაინერგა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ახალი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ჩატარება.

ხელმისაწვდომობის მიმართულებით

- გატარებული რეფორმების შედეგად საგრძნობად გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა. სხდომები ტარდება საჯაროდ, ხოლო სხდომის ოქმები და

მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება ვებგვერდზე. სხდომის გამართვამდე არანაკლებ შვიდი დღით ადრე ვებგვერდზე, ასევე, ქვეყნდება სხდომაზე განსახილველი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტის პროექტი;

- სასამართლოში სარჩელის შეტანა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, სპეციალური ვებპორტალის მეშვეობით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სარჩელისა და სხვადასხვა დოკუმენტების ჩასაბარებლად აღარ მივიდეს სასამართლოს შენობაში;
- შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მასშტაბით, არაერთ რეგიონში გაიხსნა ადაპტირებული სასამართლოები. აგრეთვე, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად, მოეწყო მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტში მყოფი ბავშვებისთვის სპეციალური სივრცეები;
- სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები და გადაწყვეტილებები ქვეყნდება სპეციალურ ვებგვერდზე. საძიებო სისტემის მეშვეობით, მომხმარებლებს საშუალება აქვთ, მოძებნონ სასამართლოს მიერ მიღებული მათთვის სასურველი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია **სასამართლო სისტემის პროგრესის საერთაშორისო აღიარება**. კანონის უზენაესობის ინდექსის 2017-2019 წლების მონაცემების მიხედვით, საქართველო, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, რეგიონსა და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფში პირველ ადგილს იკავებს. ფრეიბერის ინსტიტუტის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თანახმად, დამოუკიდებლობისა და საკუთრების უფლებების დაცვის კომპონენტების შეფასებით, საქართველოს სასამართლო სისტემა წინ უსწრებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს: ბულგარეთს, ხორვატიას, უნგრეთს, პოლონეთსა და სლოვაკეთს. სასამართლოს მიუკერძოებლობის კომპონენტში კი, ჩამოთვლილი სახელმწიფოების გარდა, მისი შეფასება აღემატება ესპანეთის, ლიეტუვის, რუმინეთის, ჩეხეთის, პორტუგალიის, სლოვენის, ლატვიის, საბერძნეთისა და იტალიის შეფასებებს. მოწინავე გლობალური კვლევითი ცენტრის „პერიტივ ფაუნდეიშენის“ 2020 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევის თანახმად, მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომპონენტში საქართველო ევროპის 45 ქვეყანას შორის შედის საუკეთესო ოცეულში. საქართველოს სარეიტინგო ქულა 2020 წელს გაიზარდა 3.3 ერთეულით. შედეგად, ქართულმა მართლმსაჯულებამ ერთი საფეხურით გაიუმჯობესა პოზიცია 2019 წლის შედეგთან მიმართებით და მე-19 ადგილიდან მე-18 ადგილზე გადაინაცვლა.

არსებული პროგრესის ერთ-ერთი ნათელი დასტურია **სასამართლო სტატისტიკა**. 2017-2019 წლებში, 2009-2011 წლებთან შედარებით:

- მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა 56447-დან შემცირდა 47111-მდე, 16,5%-ით;
- გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა: თუ 2009-2011 წლებში გამამართლებელი განაჩენი სულ 82 პირის მიმართ მიიღეს, 2017-2019 წლებში აღნიშნული მონაცემი 1345-მდე გაიზარდა, რაც წინა პერიოდთან შედარებით 15,5-ჯერ მეტია და უტოლდება მთლიანად განხილული საქმეების 8%-ს, მაშინ როცა, წინა პერიოდში, გამამართლებელი განაჩენი გამოდიოდა მთლიანად განხილული საქმეების მხოლოდ 0,2%-ში;
- თავისუფლების აღკვეთამისჯილ პირთა რაოდენობა 24973-დან, რაც მთლიანად მსჯავრდებულთა 44,2% შეადგენდა, შემცირდა 11408 -მდე, ე.ი. 54,3%-ით და ამ წლებში მსჯავრდებულთა მხოლოდ 24,2%-ს უტოლდება;
- შემოიღეს არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახეობა - შინაპატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ, 2017-2019 წლებში, სასჯელად რეალურად უკვე 97 პირის მიმართ განისაზღვრა;
- საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, რაც წინა (შესადარებელ) წლებში მხოლოდ 94 მსჯავრდებულის შემთხვევაში გამოიყენეს და მსჯავრდებულთა მხოლოდ 0,2%-ს შეადგენდა, არსებითად გაიზარდა და 3422 მსჯავრდებულის მიმართ იქნა გამოყენებული, რაც მთლიანად მსჯავრდებული პირების 7,3%-ს შეადგენს ანუ აღნიშნული სასჯელის გამოყენების მაჩვენებელი 35-ჯერ (!) გაიზარდა;

- არსებითად გაიზარდა ასევე არასაპატიმრო სასჯელის - ჯარიმის გამოყენების შემთხვევებიც: 3738-დან (მსჯავრდებული პირების 6,6%) 9639-მდე (მსჯავრდებული პირების 20,5 %), ე.ი. 1,6-ჯერ ანუ 157,9%-ით;
- აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევები შემცირდა 44.2 %-ით და 22865-დან 12762 პირამდე ჩამოვიდა;
- არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხვი 2355-დან 699-მდე ანუ 70.3 %-ით შემცირდა;
- 24190-ით შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა;
- 7435-დან 10813-მდე გაიზარდა იმ ადმინისტრაციულ საქმეთა რაოდენობა, რომლებიც დამთავრდა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ.

განსაკუთრებით შთაბეჭდავია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი საჩივრების მკვეთრი შემცირების სტატისტიკა. 2009 წელს საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში საჩივრების რეკორდული რაოდენობა - 2122 საჩივარი შევიდა. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2013-2019 წლებში გაგზავნილ საჩივართა რაოდენობა, 2004-2012 წლებთან შედარებით, 5416-დან 732-მდე ანუ 8-ჯერ შემცირდა. ასეთი მკვეთრი შემცირება ნათლად ადასტურებს, რომ ქვეყანაში არსებითად გაუმჯობესდა ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობა.

ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფისა და დემოკრატიული მართლწესრიგის განმტკიცებისთვის უმნიშვნელოვანესია 2004-2012 წლებში ხელისუფლების მიერ უამრავი პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულების დროული გამოძიება და დარღვეულ უფლებათა რაც შეიძლება სწრაფად აღდგენა. ამ მიმართულებით გადამწყვეტია **პროკურატურის ეფექტურობა**, რისთვისაც 2015 წლის მარტში პროკურატურაში შეიქმნა „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების“ სპეციალური დეპარტამენტი. პროკურატურის სპეციალურმა დეპარტამენტმა უდიდესი მუშაობა გასწია 2004-2012 წლებში ხელისუფლების მიერ დაზარალებულთა ათი ათასობით საჩივრის შესწავლისა და მათზე რეაგირების პროცესში - მოხდა საჩივრების თემატურად გაერთიანება და მათი კომპლექსურად შესწავლა. ეს პროცესი მეტი ინტენსივობით კვლავაც გაგრძელდება, რასაც პროკურატურის სისტემური რეფორმა მეტ ეფექტურობას შესძენს. 2018 წელს, კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისად, მიიღეს ახალი ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ და განხორციელდა უმნიშვნელოვანესი სისტემური რეფორმა: უზრუნველყოფილ იქნა პროკურატურის დამოუკიდებლობა და მკაფიოდ განისაზღვრა სამართალდამცავ სისტემაში მისი როლი და ადგილი. პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც სრულად დამოუკიდებელი უწყება. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო საპროკურორო საბჭოსაც - მისი მთავარი ფუნქცია პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაა: საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს თავად საბჭოს წევრები ირჩევენ; საპროკურორო საბჭო თავად ირჩევს გენერალური პროკურორობის კანდიდატს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაზუსტდა გენერალური პროკურორის უფლება-მოვალეობები. არსებითად გაძლიერდა საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისა და ლიბერალიზაციის მიზნით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კერძოდ:

- მთელი რიგი მსუბუქი დანაშაულებისთვის შემოიღეს არასაპატიმრო სასჯელი - შინაპატიმრობა;
- ჰუმანური მოსაზრებებით, სსკ-ს დაემატა 72¹ მუხლი, რაც ითვალისწინებს და შესაძლებელს ხდის უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვას;
- განხორციელდა ნარკოტიკული დანაშაულის მიმართ ზედმეტად რეპრესიული პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად პარლამენტში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ნებით;

- მოხდა ეკონომიკური და საფინანსო საქმიანობის სფეროს დანაშაულებისთვის ზედმეტად მკაცრი პასუხისმგებლობის შერბილება.

პენიტენციური სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნითა და ამ სისტემაში ადამიანის უფლებების დაცვის შთამბეჭდავი მიღწევების შედეგად, 2019 წელს, პატიმართა რაოდენობამ 9740 შეადგინა, რაც 9609-ით ნაკლებია 2012 წლის შესაბამის (19349) მაჩვენებელზე. 2011 წელს, საქართველო, 22601 პატიმრით, 100 ათას მოსახლეზე გადაანგარიშებით, ევროპაში პირველ ადგილზე იყო; დღეისათვის ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ შემცირდა. იმავედროულად, 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობა და წელიწადში 140-ის ნაცვლად, საშუალოდ მხოლოდ 12-ს შეადგენს. საპატიმრო დაწესებულებებში მთლიანად და სრულად აღიკვეთა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სამარცხვინო პრაქტიკა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციების მიერ პატიმრების წამების ან არაადამიანური მოპყრობის არცერთი პრეცედენტი აღარ ყოფილა.

პენიტენციურ სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილების დასტურია **ახალი საკანონმდებლო ბაზის** შექმნაც. ამ მიზნით 60-მდე კანონში შეიტანეს ცვლილება, პენიტენციური სისტემის შესახებ დაიწერა და მიიღეს მთლიანად ახალი კანონი. სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას ადასტურებს საანგარიშგებო პერიოდში პრობაციონერთა სტატისტიკაც: მთელი ქვეყნის მასშტაბით პრობაციონერთა რაოდენობა 2016-2019 წლებში სტაბილურია და 17-19 ათასის ფარგლებში მერყეობს. პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები არ იზრდება, მცირეა და, წლების მიხედვით, 1,9% (2017 წელი) - 3,8%-ის (2018 წელი) ფარგლებშია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პრობაციონერთა აბსოლუტური უმრავლესობა განმეორებით დანაშაულს აღარ სჩადის და საზოგადოებას სულ უფრო მეტი სოციალურად რეაბილიტირებული ადამიანი უბრუნდება, რაც პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების განხორციელების შედეგია. 2016-2019 წლებში სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები გაირა სულ 3994-მა პრობაციონერმა, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დასაქმდა 380 პრობაციონერი. ქვეყნის პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში ვითარების კარდინალური გაუმჯობესების საფუძველზე, ეს სფერო 2018 წლიდან კვლავ იუსტიციის სამინისტროს გამგებლობას დაუბრუნდა და საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ეფექტიანად იმართება.

მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომი გახდა არა მხოლოდ სოციალური რეაბილიტაციის პროგრამები, არამედ **პენიტენციურ დაწესებულებებში პროფესიული განათლების მიღებაც**; 11 პენიტენციურ დაწესებულებაში პროფესიულ განათლებას იღებს 1076 მსჯავრდებული, რაც პატიმართა საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს - 10,5%-ს შეადგენს.

ადამიანის უფლებების დაცვა, შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა და განვითარება, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და კანონშემოქმედების პროცესში კვლავაც „ქართული ოცნების“ ძირითადი პრიორიტეტებია:

- დამტკიცდება და განხორციელდება ადამიანის უფლებათა დაცვის **განახლებული ეროვნული სტრატეგია**, რომლის უმთავრესი მიზანი ზემოაღნიშნული პრიორიტეტების ყოველდღიურ პრაქტიკაში ასახვა და ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია იქნება; კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკას, მიღებული და განხორციელებული იქნება ახალი სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის;
- ხელისუფლება გააგრძელებს **კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების** თანმიმდევრული, მტკიცე პოლიტიკის გატარებას, რომელიც, ერთი მხრივ დეოკუპაციას, ხოლო მეორე მხრივ - ნდობის აღდგენასა და შერიგებას ეფუძნება; ამ მიზნით სრულად იქნება გამოყენებული ყველა არსებული სამშვიდობო ფორმატი და ბერკეტი; ამასთან, გაგრძელდება ოკუპაციის წნეხის ქვეშ მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა, ხელი შეეწყობა დაშორიშორებული საზოგადოების ყველა რგოლს შორის დიალოგს ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით;
- „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სამომავლოდ კვლავაც მტკიცედ უზრუნველყოფს **საკუთრების უფლების** განუხრელ დაცვას; უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ქონების

სანდო და უსაფრთხო სარეგისტრაციო პროცედურებს, მათ შორის, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის გზით; მიწის რეგისტრაციის წარმატებული რეფორმა ხელს შეუწყობს უფლებათა პირველადი რეგისტრაციის პროცესის მოკლე ვადაში დასრულებას;

- კვლავაც გაგრძელდება ქმედითი ღონისძიებების გატარება **თანასწორობის უფლების** რეალიზებისთვის, ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად;
- განხორციელდება ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში **გენდერული თანასწორობის** დასაცავად; უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თითოეულ ფაქტზე;
- საქართველო აქტიურად გააგრძელებს გაერო-ს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** კონვენციის იმპლემენტაციას და შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სულ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათ სრულფასოვან ინტეგრაციას, რაც განხორციელდება 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“. დაცული იქნება **შშმ პირთა უფლებები** გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შშმ პირთა სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შშმ პირთა დასაქმებას, ასევე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები **„სოციალური მუშაობის შესახებ“** საქართველოს კანონის სრულყოფილი იმპლემენტაციის მიზნით, მათ შორის, გამოიყოფა დამატებითი რესურსი სოციალური მუშაკების საკმარისი რაოდენობის, მათი კვალიფიკაციის ზრდისა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;
- **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის** პრიორიტეტული მიზანი იქნება ის, რომ თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში. გაგრძელდება „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი განხორციელება;
- პრიორიტეტული იქნება **სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება**. გაძლიერდება და, მოსახლეობის ყველა სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინებით, უფრო მრავალფეროვანი გახდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები;
- კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენლებისთვის გაუმჯობესდება საზოგადოებრივ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამები; ხელი შეეწყობა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვას;
- **შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების** სფეროში „ქართული ოცნება“ გააგრძელებს მუშაობას სათანადო საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვის მიმართულებებით. პრიორიტეტული იქნება შრომის უსაფრთხოების კუთხით მიღებული რეგულაციების პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება და შრომის ინსპექციის მანდატის ქმედითი რეალიზაცია;
- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეული სავარაუდო ფაქტის ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი შეეწყობა **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში** შექმნილი

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის დახვეწასა და გაძლიერებას;

- იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულია და მიღებულ იქნება ახალი **აღსრულების კოდექსი**, რითაც შეიქმნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სააღსრულებო წარმოების საკანონმდებლო გარანტიები;
- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, გადამუშავდება **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“**, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება უკეთ უპასუხებს ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევებს.

გაგრძელდება და გაღრმავდება **სასამართლოს სისტემური გაძლიერება**, განმტკიცდება მისი დამოუკიდებლობა და ყველაფერი გაკეთდება მოსახლეობაში სასამართლოს მაღალი ნდობის მოსაპოვებლად. ამ მიზნით, დაგეგმილია:

- სასამართლოების ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებები, როგორებიცაა: მოსამართლეთა და სასამართლო აპარატის მოხელეთა რაოდენობის გაზრდა; სასამართლოების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის დახვეწა და სხვ.;
- დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა;
- სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულყოფილი ელექტრონული ბაზის შექმნა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის დახვეწა საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სამართალდამცავ სისტემაში გაძლიერდება **პროკურატურის როლი**, გაიზრდება მისი ეფექტურობა, კვლავაც პრიორიტეტული იქნება ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ მიზნით დაგეგმილია:

- პროკურატურის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებული განმარტებების შემუშავება, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების მკაფიო რეგლამენტაცია;
- ოჯახში ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე უფრო ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების სრულად შესაბამისი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა; პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია;
- ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა შეფასების სისტემის სრულყოფა და ამ სისტემის ფარგლებში პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების ხარისხისა და მათი სასამართლო უნარ-ჩვევების მონიტორინგის განხორციელება;
- პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა;
- მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა;
- არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა და არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;
- პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფა.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის, დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური გარდაქმნის მიმართულებით:

- გაგრძელდება **სისხლის სამართლის კოდექსის** შემდგომი დახვეწა, რაც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს და დამნაშავეობასთან ბრძოლას უფრო ეფექტიანს გახდის ისე, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლებათა ხელყოფა. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მარეგულირებელ კანონმდებლობას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, ოჯახში ან/და ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, ცივი იარაღის ბრუნვის ეფექტიან რეგულირებას და სხვ.;
- ამალდება შსს-ს **დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობა**, ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობა;
- ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და მართლწესრიგის დაცვისთვის, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით, განხორციელდება **ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და მოხდება სასჯელის გარდაუვალობის უზრუნველყოფა**. უზრუნველყოფილი იქნება მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის ყველა მონაწილის ეფექტური მუშაობა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გაზიარება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემისთვის, **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება „სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად, რაც მოიცავს როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ისე შინაარსობრივ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, **შინაგან საქმეთა სამინისტრო** მაღალპროფესიულ დონეზე უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგის დაცვასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას. ასევე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თანამშრომელთა სამუშაო პირობებს და კიდევ უფრო მოქნილ და სწრაფ სერვისებს შესთავაზებს საზოგადოებას.

- გაგრძელდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა**, რომელიც საპოლიციო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა. განვითარდება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა;
- საგამოძიებო სისტემის რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია **საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნა** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის საფუძველზე. რეფორმის მიზანია გამოძიების პროცესში საგამოძიებლების მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გამოძიების ხარისხის ამაღლება და საპროკურორო ბედამხედველობის გაძლიერება. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში უკვე მომზადებულია და მიღებული იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი და სამოქმედო გეგმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით;
- გაგრძელდება **სასაზღვრო პოლიციის რეფორმა**; რეფორმის ფარგლებში განვითარდება ადამიანური რესურსების უკეთ მართვის, სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და საზღვარზე დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები; გაგრძელდება საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;
- განხორციელდება **საპატრულო პოლიციის რეფორმის** ახალი ეტაპი. რეფორმის ფარგლებში დაინერგება სტანდარტული მოქმედებების პროცედურები და სამართალდარღვევების გამოკვეთის თანამედროვე საშუალებები. გაძლიერდება ქვეით პატრულ-ინსპექტორთა კორპუსი და ამ გზით ამაღლდება ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურით დატვირთულ მიმართულებებზე უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სტანდარტები. საგზაო უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად განვითარდება უკონტაქტო პატრულირება. საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფცია დაინერგება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების ფარგლებში, გააგრძელებს ქვეყნის მასშტაბით ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების დამატება/განვითარებას;
- საზოგადოების წევრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, კიდევ უფრო გაძლიერდება **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** და მეხანძრე-მაშველების შესაძლებლობები; დაგეგმილია საოპერაციო შესაძლებლობების/რესურსების გაძლიერება, მზადყოფნის დონის ამაღლება და რეაგირების ხარისხის გაზრდა, ტექნიკა/აღჭურვილობის ძირეული განახლება და ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზაცია, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი განვითარება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, უზრუნველყოფილი იქნება პოლიციის დანაყოფებში **ბავშვზე ორიენტირებული გარემოს** შექმნა;
- დაინერგება დანაშაულის პრევენციაზე მიმართული მიდგომები, მათ შორის, **ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის** მოდელი; ამ მიზნით, გაგრძელდება ანალიტიკოსთა ქსელის შექმნა საპოლიციო დანაყოფებში მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- გაღრმავდება **თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან**; საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ევროპოლთან 2017 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე;
- ჩამოყალიბდება **ადამიანური რესურსების მართვის** უფრო ქმედითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების, დანინაურებისა და სოციალური დაცვის ეფექტიან მექანიზმებს;
- გაგრძელდება **სსიპ საქართველოს შსს აკადემიაში** სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროგრამებით;
- გაგრძელდება **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების** პროგრამის განხორციელება; მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროში;
- სამინისტროს პრიორიტეტად დარჩება აქტიური **ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოდანაშაულთან**;
- მიმდინარეობს და გაგრძელდება **ახალი საპოლიციო ციფრული პროდუქტების** შექმნა. მათ შორისაა: ანონიმური შეტყობინებების პლატფორმა, საზღვრის კვეთის ელექტრონული სისტემა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საინფორმაციო პლატფორმა, მოქალაქეებთან უკუკავშირის სისტემა და სხვ.;
- საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომელთათვის ღირსეული და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, გაგრძელდება პოლიციის **შენობების განახლება/რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა**, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათი უზრუნველყოფა;
- განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, რაც კიდევ უფრო მოქნილს, კომფორტულსა და მრავალფეროვანს გახდის **მომსახურების სააგენტოს** მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებულ სერვისებს.

გაგრძელდება **პენიტენციური სისტემის** მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით მონყოების პროცესი. ამ მიზნით დაგეგმილია:

- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის მაღალ საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური მიახლოება;

- ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულების შექმნა, სადაც ერთი და იმავე სასწავლო ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე რამდენიმე არასრულწლოვანი თავსდება და ოჯახურ გარემოში ცხოვრობს გათავისუფლებამდე;
- პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებების გაუმჯობესება დაწესებულებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებაში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შემცირების მიზნით;
- ინდივიდუალური შეფასების, მათ შორის, კლასიფიკაციის, სასჯელის დაგეგმვისა და შემთხვევის მართვის ეფექტიანი მეთოდოლოგიების იმპლემენტაცია;
- მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მონყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით;
- პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულ-მსჯავრდებულებისთვის მიწოდებული ჯანდაცვის სერვისების შემდგომი გაუმჯობესება მათი სამოქალაქო სექტორში გაცემული მომსახურების ხარისხთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- გათავისუფლებისთვის მომზადების პოლიტიკის დანერგვა პენიტენციური დაწესებულებიდან პრობაციის სისტემაში გადასვლის, პენიტენციური დაწესებულებიდან/პრობაციიდან საზოგადოებაში დაბრუნების ხელშესაწყობად;
- 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან დანაშაულის პრევენციის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება;
- პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში ბენეფიციარების, თანამშრომლებისა და სტუმრებისათვის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება;
- თანამშრომლებისთვის ღირსეული, რესპექტაბელური და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებსა და პრობაციის ბიუროებში;
- ტრენინგებისა და თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

2. ეკონომიკური განვითარება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება წარმოადგენს. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან „ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო, რამაც საფუძველი დაუდო ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერებასა და მის განმტკიცებას.

ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში „ქართულ ოცნებას“ უმძიმესი ეკონომიკური მემკვიდრეობა დახვდა. წინა ხელისუფლების ეკონომიკური განვითარების ფასადური სურათის უკან, სისტემური დანაშაულების უზარმაზარი ნუსხა არსებობდა. ბიზნესის ტერორი, საკუთრების უფლების უხეში დარღვევა, ელიტური კორუფცია და სხვა უმძიმესი ფაქტორები, წინა ხელისუფლების მთავარ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს წარმოადგენდა. ამ და სხვა სისტემურ დანაშაულებზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ჩვენი ქვეყნის მოკავშირე პარტნიორები აქტიურად საუბრობდნენ. შესაბამისად, 2012 წელს, ქართულმა საზოგადოებამ მტკიცე უარი უთხრა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც კრიმინალურ ტერორს სახელმწიფოს სახელით ახორციელებდა.

ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირველ ნაბიჯები სწორედ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისკენ გადაიდგა. „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ეკონომიკის ხარისხობრივი განვითარებისთვის ფუნდამენტური ინსტიტუტების მშენებლობა. მთელი რიგი მიმართულებებით განხორციელებულმა სისტემურმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო ეკონომიკის ჯანსაღ განვითარებას. ეკონომიკური რეფორმების უწყვეტად განხორციელების შედეგად, რეგიონში და, ზოგადად, მსოფლიოში მიმდინარე არასტაბილური ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, საქართველომ შეძლო რეგიონის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება და გარე შოკების მიმართ მედეგობა.

მაღალი ეკონომიკური ზრდა პროგნოზირებული იყო მიმდინარე წელსაც, თუმცა, პანდემიური მოვლენების განვითარების ფონზე, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, საქართველოშიც, ეკონომიკის ვარდნა დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, გლობალურ პანდემიურ კრიზისზე საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯები ისეთივე წარმატებული იყო, როგორც უშუალოდ პანდემიის შეკავების პოლიტიკა.

აღნიშნულ წარმატებულ და სანდო ეკონომიკურ პოლიტიკას განაპირობებს მმართველი ძალის ეკონომიკური ხედვა, რომელიც კერძო სექტორის მუდმივ განვითარებასა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ერთგულებას ეფუძნება. მცირე მთავრობის კონცეფცია, კერძო სექტორზე გადატანილი აქცენტები და ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური ათვისება, ეკონომიკის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების საფუძველს ქმნის.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ კვლავ გააგრძელებს იმ პრინციპებისა და ღირებულებების ერთგულებას, რითაც ქართული საზოგადოების მხარდაჭერა დაიმსახურა.

2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფის მთავარ ღერძს მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ბოლო წლებში რეგიონში ეკონომიკური ზრდის შენეებისა და მნიშვნელოვანი გამონვევების მიუხედავად, საქართველომ შეინარჩუნა მდგრადობა საგარეო შოკების მიმართ. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, ქვეყანა წარმატებით გაუმკლავდა ყველა საგარეო

შოკს. 2014-2016 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 3.5%-ით გაიზარდა, მაშინ როცა რეგიონის ქვეყნები რეცესიას განიცდიდნენ ან რეცესიასთან ახლოს იყვნენ. შემდგომ წლებში ეკონომიკური ზრდა უკვე 4.8% იყო, ხოლო 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.1%-ით გაიზარდა. ხაზგასასმელია, რომ **COVID-19-ის პანდემიის** დაწყებამდე, პოზიტიური ტენდენციები გრძელდებოდა და 2020 წლის იანვარში 5.1%-იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

ბოლო წლების განმავლობაში **მიმდინარე ანგარიშის** უარყოფითი ბალანსი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2012 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტის 11.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2019 წლის მონაცემებით, დეფიციტი მშპ-ის 5.1%-მდე შემცირდა. ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2019 წელს ისტორიულად ყველაზე დაბალ ნიშნულს გაუთანაბრდა.

2019 წლის ბოლოს **მთავრობის ვალის მაჩვენებელი** მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, 42%-ის ფარგლებში დაფიქსირდა. თუმცა, გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შესამსუბუქებლად, დღის წესრიგში დადგა ფინანსური სახსრების მოზიდვა. შესაბამისად, მთავრობის ვალი მშპ-სთან მიმართებით გაიზარდა 58%-მდე, რაც, თავის მხრივ, მთელი რიგი სტანდარტების მიხედვით, კვლავ ურისკო ნიშნულს წარმოადგენს.

„ქართული ოცნების“ გონივრული ფისკალური პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლებში, თანმიმდევრულად მცირდებოდა **ბიუჯეტის დეფიციტის** მაჩვენებელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, გასულ წელს, აღნიშნული ინდიკატორი, მშპ-თან მიმართებით, 2%-ით განისაზღვრა. თუმცა, არსებულ მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პარამეტრებსა და პროგნოზებზე COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. შესაბამისად, მიმდინარე წელს გარდაუვალი გახდა საბიუჯეტო დეფიციტის მშპ-ის 8.5%-მდე გაზრდა.

ბოლო წლების განმავლობაში ეტაპობრივად მცირდებოდა **მიმდინარე ხარჯების** წილი მშპ-სთან. კერძოდ, 2019 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 21% (პენსიების, მასწავლებელთა ხელფასებისა და მათზე გაცემული ჯილდოების გათვალისწინებით), რაც ბოლო წლების ისტორიულ მინიმუმს წარმოადგენს. გარდა ამისა, უშუალოდ შრომის ანაზღაურებაზე მიმართული სახსრები შემცირდა მშპ-ის 3.6%-მდე, რაც, თავის მხრივ, ისტორიულ მინიმუმს წარმოადგენს და ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

რაც შეეხება **კაპიტალურ ხარჯებს**, 2019 წელს მთავრობის მიერ განეულმა კაპიტალურმა ხარჯებმა რეკორდულ დონეს - 4 მილიარდ ლარს მიაღწია რაც მშპ-ის 8.4 პროცენტია. ბიუჯეტის შემოსავლების თითქმის ერთი მესამედი კაპიტალურ ხარჯებში მიდის, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

საქართველო ბოლო წლებში წარმატებით ახორციელებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმას. **ბიუჯეტის გამჭვირვალობის** 2019 კვლევის (Open Budget Survey - 2019) შედეგების მიხედვით, საქართველო „სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების“ რიგში კვლავ მონიწივე, მე-5 ადგილს იკავებს მსოფლიოს 117 ქვეყანას შორის.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოცემული პოზიტიური მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, სამმა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ საქართველოს გაუზარდა სუვერენული საკრედიტო რეიტინგი. კერძოდ, 2018-2019 წლებში Fitch-მა, Moody's-მა და S&P-მა ქვეყნის სუვერენული რეიტინგი BB-ით შეაფასეს.

მაკროეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის გაძლიერების მიზნით, მომდევნო წლებში „ქართული ოცნება“ გაატარებს შემდეგ პოლიტიკას:

- მთავრობა მიჰყვება ფისკალური დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას. მომდევნო საარჩევნო ციკლში ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებით დაუბრუნდება 3%-იან ნიშნულს;
- გაგრძელდება აქტიური მუშაობა მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გასაუმჯობესებლად. 2024 წლისთვის სამიზნე მაჩვენებელი მშპ-ის 5%-ის ფარგლებში არსებული ნიშნულის შენარჩუნება იქნება;

- დაცული იქნება ქვეყნის ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი;
- საშუალოვადიან პერიოდში, 2019 წლის დონესთან შედარებით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი მთლიან ვალში შემცირდება 15 პროცენტული პუნქტით;
- ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე გაზრდილი საგარეო ვალის მიუხედავად, საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის ვალის მაჩვენებელი შენარჩუნებული იქნება მშპ-ის 55%-ის ფარგლებში. ამასთან, მსხვილი საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდგომ, მთავრობა, დეფიციტის შემცირების ხარჯზე, გააგრძელებს ვალის მნიშვნელოვან შემცირებას;
- ქვეყანა საშუალოვადიან პერიოდში შეინარჩუნებს კაპიტალური ხარჯების მინიმუმ 8%-იან დონეს, რაც, საერთაშორისო მასშტაბით, მაღალი მაჩვენებელია;
- მომდევნო წლებშიც აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობის გაუმჯობესებას;
- მომდევნო საარჩევნო ციკლში ქვეყანა მიაღწევს საინვესტიციო რეიტინგს, რაც ნიშნავს მაღალი სტანდარტის საინვესტიციო სანდოობის მოპოვებას. აღნიშნულ ფონზე ხელი შეეწყობა ქვეყანაში ინვესტიციების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ზრდას, რაც, საკუთრივ, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს;
- ფართოდ დაინერგება საჯარო ინვესტიციების მართვის (PIM) ინსტრუმენტი, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური ინვესტიციების განხორციელებას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, 2024 წლისთვის იგეგმება ბიუჯეტიდან განხორციელებული საინვესტიციო პროექტების სრული (100%) დაფარვა.

2.2. ბიზნესგარემო

მმართველი ძალის დეკლარირებულ პოლიტიკას თავისუფალი, პოლიტიკური ინტერესებისგან დისტანცირებული ბიზნესგარემოს ფორმირება წარმოადგენს. შესაბამისად, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ კერძო სექტორის გაძლიერების პრინციპის ერთგული რჩება. მოქმედ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა 2012 წელს არსებული 121 ათასიდან, 2019 წლისთვის 176 ათასამდე გაიზარდა. ამასთან, 2,6-ჯერ გაიზარდა ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობაც. კერძოდ, 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 109 მილიარდ ლარს გაუტოლდა, 2012 წელს კი 42 მილიარდი ლარი იყო. ბიზნესსექტორში ეკონომიკური აქტივობის ზრდა აისახა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზეც და, შესაბამისად, 2019 წელს, 2012 წელთან შედარებით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 222.5 ათასით (2012 წლის 534.4 ათასიდან 2019 წლის 756.9 ათასამდე) – 41.6%-ით გაიზარდა.

ბიზნესგარემოს დინამიკურ გაუმჯობესებას არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა თუ რეიტინგი ადასტურებს. Heritage Foundation -ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - 2020“-ის მიხედვით, 2019 წელს საქართველო, 2012 წელთან შედარებით, 22 პოზიციით დაწინაურდა და 34-ედან მე-12 ადგილზე გადაინაცვლა. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ კვლავაც დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა. საკუთრების უფლების კომპონენტში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2019 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა, 2012 წელთან შედარებით, 83 პოზიციით გაუმჯობესდა და 2012 წელს არსებული 131-ედან 48-ე ადგილზე გადაინაცვლა.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა ფისკალური რეფორმა, რომლის მიხედვითაც, მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების ზედა ზღვრად განისაზღვრა 500 000 ლარი, ხოლო გადასახადი სიმბოლურ 1%-მდე შემცირდა.

მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრული მონაცემების მიხედვით, 2011 წლის შემდეგ, 2018 წელს პირველად შემცირდა ბიზნესის საგადასახადო წნეხის მაჩვენებელი და 16.4%-ის ნაცვლად, 9.9% შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს. აღნიშნული შემცირება 2017 წლის დასაწყისში მოგების გადასახადის ე. წ. ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება, რომელიც გაუნაწილებელი მოგების ნულოვან დაბეგრას გულისხმობს.

მნიშვნელოვნად გამარტივდა დღგ-ს დაბრუნების მექანიზმები და სისტემის მიერ დამუშავებული დეკლარაციების ფარგლებში, გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში, ავტომატურად ხდება დღგ-ს დაბრუნება, რამაც ბიზნესსექტორს ფინანსური რესურსების ეფექტიანი მობილიზებისა და, შესაბამისად, დინამიკური განვითარების საშუალება მისცა. მაგალითისთვის, 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბიზნესისთვის დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების მაჩვენებელმა სულ 146 მილიონი ლარი შეადგინა, 2019 მონაცემებით კი ბიზნესს, საერთო ჯამში, 615 მილიონი ლარის რესურსი დაუბრუნდა.

2017 წელს ამოქმედდა მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი, რითაც ბიზნესი გათავისუფლდა რეინვესტირებულ კაპიტალზე მოგების გადასახადისგან. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტიციის მოცულობა 310 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო რეფორმის ამოქმედების ფონზე, 2019 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი გაორმაგდა და 634.5 მილიონი დოლარი შეადგინა.

ფართოდ დაინერგა ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები (პროგრამა „ანარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული არაერთი სახელმწიფო პროგრამა და სხვ). ამასთან, ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის საფუძველი ჩაეყარა ინოვაციური ეკოსისტემის შექმნას.

საქართველოს მთავრობამ გაააქტიურა პრივატიზაციის პროცესი, რათა მოხდეს გაჩერებული აქტივების ჩართვა ეკონომიკაში, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, წარმოებებისა და მომსახურე ობიექტების ამუშავება და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.

პროაქტიული გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის ნოემბრიდან დაიწყო პროექტი “100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს”, რომლის ფარგლებში გამოცხადებული ელექტრონული აუქციონები მაღალი კონკურენციის ფონზე მიმდინარეობს. სულ პრივატიზებულია 101 უძრავი ქონება. მათი აუქციონის ჯამური საწყისი ფასი შეადგენდა 61.8 მლნ ლარს, ხოლო აუქციონის შედეგად ქონებების გაყიდვიდან შემოსულმა შემოსავალმა 78.0 მლნ ლარი შეადგინა. განხორციელდა უმნიშვნელოვანესი რეფორმა - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“ და სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ შერწყმა, რაც შესაძლებლობას იძლევა, სახელმწიფო უძრავ/მოდრავი ქონება ერთი ფანჯრის პრინციპით განიკარგოს. ერთიანი მომსახურების ცენტრი ბიზნესს შესთავაზებს განკარგვის გამარტივებულ პროცედურებს ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერის გარეშე.

COVID-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული პირველადი ნეგატიური ეფექტების შესამსუბუქებლად, ბიზნესის, როგორც საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის დახმარების მიზნით, მთავრობამ გაატარა არაერთი გადაუდებელი ღონისძიება. პანდემიის აქტიური ფაზის პერიოდში, ბიზნესისა და მენარმეობის მხარდაჭერის მიზნით, პირდაპირი და ირიბი სახით, ჯამურად გამოიყო 2.1 მილიარდი ლარის რესურსი.

ბიზნესგარემოს მუდმივი გაჯანსაღებისა და სრულყოფის მიზნით, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შემდგომ წლებშიც განაგრძობს ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას:

- დაცული იქნება საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი;
- ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკა დაეფუძნება ბიზნესსუბიექტებს შორის მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას, გაძლიერდება კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩო და გაიზრდება კონკურენციის სააგენტოს ეფექტიანობა;
- მომდევნო წლიდან ამოქმედდება სახელმწიფო შესყიდვების დავების განმხილველი

დამოუკიდებელი ორგანო, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს;

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ერთგული რჩება და მომავალში კვლავაც გაგრძელდება აღნიშნული პრინციპის განუხრელი დაცვა;
- მმართველი ძალის გადანაცვებით, ახალი რეგულაციების შემოღება დამათი იმპლემენტაცია სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნება. უკვე ამოქმედდა რეგულირების გაკლენის შეფასების RIA ინსტრუმენტი, რაც რეგულაციების მოსალოდნელი შედეგების ფართო ანალიზის საშუალებას იძლევა. გაფართოვდება არსებული ინსტრუმენტი ბიზნესგარემოზე ზემოქმედების მქონე საკანონმდებლო ინიციატივების თაობაზე. გაგრძელდება თითოეული რეგულაციის შემოღების ფაქიზად დანერგვა, რათა ნებისმიერი ნეგატიური შედეგი თავიდან იყოს აცილებული;
- ხელისუფლების მხრიდან შენარჩუნებული იქნება გადასახადების დაბალი დონე;
- საგადასახადო ადმინისტრირებაში დაიწყება ავტომატური დეკლარირების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საგადასახადო ორგანოებთან ბიზნესსუბიექტების მუშაობის დროსა და საჭირო რესურსს.

2.3. დასაქმება

ბიზნესზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმებისა და სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნების ფონზე, ბოლო წლებში, უმუშევრობის დონე სტაბილურად კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, უმუშევრობის დონე 2012 წელს არსებული 17,2%-დან, 2019 წლის მონაცემებით, 11,6%-მდე შემცირდა. აქვე აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის მაჩვენებელმა ბოლო 18 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა თვითდასაქმებულთა რაოდენობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლების არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 2003-2012 წლებში, უმუშევარ მოქალაქეთა რაოდენობა 260 ათასიდან 345 ათასამდე გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის დონე 12,7%-დან 17,2%-ს გაუთანაბრდა.

აქვე აღსანიშნავია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტენდენცია. კერძოდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, 2019 წელს, დაქირავებით დასაქმებულების საშუალო ანაზღაურებამ 1129.5 ლარი შეადგინა, 2012 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 712 ლარი იყო.

დასაქმების პოლიტიკის შემუშავებაში ჩვენი გუნდის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, დასაქმებულთა უფლებების დაცვის ეფექტიან აღსრულებასა და ღირსეულ დასაქმებას გულისხმობს. სწორედ ამ თვალსაზრისით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, გადაიხედა შრომის კანონმდებლობა და საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, დაიხვენა ახალი შრომის კოდექსი. აღნიშნული პროცესი უწყვეტად გრძელდება და, ევროდირექტივების ფარგლებში, არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება კვლავაც გაგრძელდება.

დასაქმების მაჩვენებლების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესების მიზნით, შემდგომ წლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- გაგრძელდება სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის მხარდამჭერი პროექტების დაფინანსება და მათი მაქსიმალური ხელშეწყობა;
- სახელმწიფო გააგრძელებს საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირებას და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობისთვის საკანონმდებლო ბაზის დახვეწას. საემიგრაციო გარემოს გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობას, მიგრაციის მართვის გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ზრდას;

- დასაქმებულთა უფლებების დაცვის მიზნით, გაძლიერდება შრომის ინსპექციის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო;
- შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გზით, აქცენტი გაკეთდება დაბალკვალიფიციური კადრების გადამზადებასა და მათი კომპეტენციის განვითარებაზე;
- შემდგომი დასაქმების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება შპმ პირების პროფესიული გადამზადებისა და დუალური განათლების პროცესებში ჩართვა. ამასთან, დასაქმების შემთხვევაში, შპმ პირებს შეუნარჩუნდებათ მინიჭებული შემწეობა;
- შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მიზნით, ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობის გაზრდას როგორც საკანონმდებლო ინიციატივებით, ისე სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებით;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობისთვის დაინერგება მსოფლიოში აპრობირებული „სოციალური დახმარება დასაქმებისთვის“ მიდგომები, რაც სოციალური დახმარების მიღების ნაცვლად, დასაქმების მასტიმულირებელი იქნება;
- საქართველო უკვე მომავალ წელს დაუბრუნდება პანდემიამდელ ნიშნულს, ხოლო 2024 წლისთვის ეკონომიკა არანაკლებ 40 პროცენტით ანუ 20 მილიარდით გაიზრდება, რაც ნიშნავს **ერთ სულ მოსახლეზე დოვლათის არანაკლებ 5400 ლარით ზრდას, ორასი ათას ახალ სამუშაო ადგილს და მეტ კეთილდღეობას თითოეულ ოჯახში.**

2.3.1. წარმოების განვითარება

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარება წარმოადგენს, რადგან სწორედ წარმოება წარმოადგენს დასაქმების ზრდის მთავარ გზას. შესაბამისად, ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია სამენარმეო სულისკვეთების მაქსიმალურ მხარდაჭერაზე.

აღსანიშნავია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) შეფასება - „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი - 2020“, რომლის თანახმადაც, საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. ამასთან, საქართველომ რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაიუმჯობესა მდგომარეობა, რაც უპრეცედენტოა, ხოლო რეიტინგის 9 კომპონენტში უმაღლესი ქულა მიიღო.

ეკონომიკის სამინისტროს ეგიდით სსიპ „**ანარმოე საქართველოში**“ დაარსების დღიდან, აღნიშნული სააგენტო აქტიურად მუშაობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაზე. ამისთვის ამოქმედდა რამდენიმე პროგრამა, რომელთა განახლებაც, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, სისტემატიურად ხდება. ინდუსტრიული კომპონენტის ფარგლებში, 2014-2020 წლებში, დაფინანსდა 614-ზე მეტი პროექტი (საწარმო და სასტუმრო), განსახორციელებელი ინვესტიციის ჯამური მოცულობა 1,2 მილიარდ ლარს სცდება, ხოლო პროექტების ფარგლებში ჯამურად 18500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ასევე, აღსანიშნავია **მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა**, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს როგორც მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას, თანამედროვე სამენარმეო კულტურის დამკვიდრებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ისე ახალი **კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით** გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირებას. 2015 წლიდან დღემდე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 9384 ბენეფიციარი, რომლებზეც ჯამურად, გრანტის სახით, გაცემულმა თანხამ 46,9 მლნ ლარი შეადგინა. პროგრამის შედეგად განხორციელდა 61,6 მლნ ლარის ინვესტიცია და შეიქმნა 15 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი.

გლობალური პანდემიის ფონზე, ბიზნესსექტორის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით, ამოქმედდა 330-მილიონიანი რესურსის **საკრედიტო-საგრანტო მექანიზმი**, რომლის ფარგლებშიც კერძო სექტორს გაუადვილდება ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობა.

ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური სიძნელების დაძლევის მიზნით, სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ არსებულ პროგრამებში ცვლილებები შემუშავდა, ასევე დაინერგა ახალი პროგრამები. კერძოდ, გაფართოვდა საქმიანობის სფეროები როგორც ინდუსტრიული, ისე მიკროგრანტების კომპონენტებში. ამასთან, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმმა სრულად განიცადა რედიზაინი, ის გახდა უფრო მომხიბვლელი როგორც საბანკო სექტორის, ისე სიცოცხლისუნარიანი ისეთი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფისთვის ბაზარზე არსებული მოთხოვნები. დამატებით, სააგენტო მხარს უჭერს სამშენებლო სექტორს, რათა პანდემიის პერიოდში შენარჩუნებული იქნას სექტორის სიჯანსაღე და მდგრადობა. ამ მიზნით ამოქმედდა იპოთეკური სესხების თანადაფინანსების პროგრამა, რომელმაც სამშენებლო სექტორში მოთხოვნას მნიშვნელოვანი სტიმული მისცა.

სამწარმოო გარემოს განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია 2020 წელს ამოქმედებული პროექტი „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“, რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ 20-ზე მეტ სახელმწიფო პროგრამას. პროექტის მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გაამარტივოს და გაზარდოს წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება ან არსებულის გაფართოება სურს.

ქვეყანაში წარმოების გაძლიერების კუთხით, მომდევნო წლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ბიზნესისთვის სერვისების, ინფორმაციისა და განათლების საშუალებების მიწოდების გამარტივების მიზნით, „სახელმწიფო შენი პარტნიორია“ ინიციატივის ფარგლებში, ადგილობრივ/რეგიონების დონეზე ამოქმედდა ე. წ. ფრონტდესკები და საკონსულტაციო ცენტრები - ე. წ. ბიზნესჰაბები. ხსენებული ინიციატივების მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, დამწყებ და მოქმედ საწარმოებს, გამოიყენონ აქამდე მათთვის რთულად ხელმისაწვდომი სერვისები, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურებები;
- სახელმწიფო განაგრძობს მუშაობას ახალი პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირებისა და ამ სექტორების განვითარების მიმართულებით. აქცენტი გაკეთდება მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზებაზე;
- გაგრძელდება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით მოქმედი სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის ზრდა;
- გაფართოვდება სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მოქმედი პროგრამები;
- საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ფარგლებში, სახელმწიფო გარანტიის მოცულობა ახალ სესხებზე განისაზღვრა მაქსიმუმ 90%-მდე. ამასთან, სქემით სარგებლობა შესაძლებელია უკვე არსებული სესხების რეფინანსირება/რესტრუქტურირების შემთხვევაშიც, სადაც სახელმწიფო გარანტიის მოცულობა 30%-მდეა;
- განვითარდება ონლაინ პლატფორმა tradewithgeorgia.com, რაც ექსპორტიორი კომპანიებისთვის სხვადასხვა სერვისის „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მიწოდებას ითვალისწინებს. კერძოდ, კომპანიებს შესაძლებლობა მიეცემათ, ერთ სივრცეში შექმნან კომპანიის პროფილი, გაიარონ ექსპორტის მზაობის ტესტი, დარეგისტრირდნენ საერთაშორისო ღონისძიებაზე, ხელი მოაწერონ ელექტრონულ ხელშეკრულებას და ა.შ.;
- შეიქმნება ექსპორტიორი კომპანიების ახალი მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მათ ტექნიკურ მხარდაჭერას ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ონლაინ-პლატფორმების განვითარება, მარკეტინგული კვლევები, ბრენდინგი და პოზიციონირება, საერთაშორისო სერტიფიკატების აღება და ა.შ.;
- საქართველოში წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურების საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, „აკრედიტაციის ცენტრმა“ მიიღო აღიარება ევროპის აკრედიტაციისგან (EA), რისი საშუალებითაც ცენტრის აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიების მიერ გაცემული დოკუმენტები (სერტიფიკატები, გამოცდის ოქმები და სხვ.) აღიარებულია ევროკავშირის ბაზარზე.

2.3.2. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გაძლიერება

ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დაიწყო ინოვაციების რეფორმა, რაც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობას გულისხმობს.

ინოვაციური პროდუქტების შექმნისა და მხარდაჭერის მიზნით, დღეისათვის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დაფინანსებულია 200-მდე გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპი. აღნიშნულ სტარტაპებში სახელმწიფოს მიერ ინვესტირებულია 10 მლნ ლარამდე ფინანსური რესურსი, რამაც კერძო სექტორიდან დამატებით 30 მლნ ლარზე მეტი ინვესტიციის მოზიდვას დაუდო საფუძველი.

ქვეყანაში შემოყვანილია და ფუნქციონირებს გლობალური ტოპაქსელერატორი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი სტარტაპ უნარების განვითარებასა და მათი გლობალური პოტენციალის ხელშეწყობას. ამ პროგრამის ფარგლებში, სტარტაპებმა, 2020 წლის 6 თვის განმავლობაში, 2,6 მილიონი აშშ დოლარის კერძო ინვესტიცია მოიზიდეს.

ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების ფარგლებში შეიქმნა ტექნოპარკები მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც ხელს უწყობს ინოვაციური სტარტაპ პროექტების შექმნასა და პოპულარიზაციას.

ინოვაციების და ტექნოლოგიების მხარდაჭერის და გაძლიერების მიზნით, მომდევნო წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- გაგრძელდება ინოვაციურ პროექტებში ფინანსებზე წვდომის პროგრამების განხორციელება;
- დაინერგება ციფრული უნარებისა და წიგნიერების პროგრამები, ონლაინ უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების ჩათვლით;
- ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის განსავითარებლად და უნივერსიტეტებში არსებული სამეცნიერო ტექნოლოგიების მხარდასაჭერად, შეიქმნა ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტი. აღნიშნულის ფარგლებში მოხდება სამეცნიერო ტექნოლოგიის კომერციალიზაცია, რაც უზრუნველყოფს სამეცნიერო ინსტიტუტებში შექმნილი ინოვაციური პროექტების ინდუსტრიაში გადატანასა და გლობალურ პროექტებად მათ რეალიზებას;
- საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით გადამზადდება 3000-მდე საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიონალი ყველაზე მოთხოვნად პროფესიებში და განხორციელდება მათი სერტიფიცირება. აღნიშნული ხელს შეუწყობს მსხვილი საერთაშორისო IT-კომპანიების დაკვეთების მიღებას ქვეყანაში და დამატებით მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას;
- გაგრძელდება ტექნოპარკების მუშაობა, აღნიშნული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დაშვებას თავისუფალ სამუშაო და სატრენინგო სივრცეებსა და მაღალტექნოლოგიურ დანადგარებზე;

2.4. საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს. არაერთი განხორციელებული რეფორმის შედეგად, დღეისათვის საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, ასევე, დაბალ საიმპორტო ტარიფებს. ეს ყველაფერი კი საგარეო სავაჭრო ბრუნვის თანმიმდევრულ ზრდას უწყობს ხელს. კერძოდ, 2019 წელს, 2012 წელთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 27.6%-ით გაიზარდა და 13.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი 59.8%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებლით - 3.8 მილიარდი აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტი მხოლოდ 18.1%-ით გაიზარდა და 9.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის წილი ბრუნვაში

11.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 42.9% შეადგინა, ხოლო ექსპორტის წილი ბრუნვაში 5.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 28.5%-ით განისაზღვრა (2012 წელი – 22.8%). ამასთან, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედების შემდგომ, 2019 წელს, 2014 წელთან შედარებით, ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი 31%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებელი – 819,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქონლის ექსპორტის დივერსიფიკაციასა და გაზრდასთან ერთად, ექსპორტიორი კომპანიების რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით, 2014 წელთან შედარებით, 61%-ით გაიზარდა და 910 კომპანია შეადგინა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აქტიურად დაიწყო მსოფლიოს უდიდესი ბაზრების მქონე ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმებაზე მოლაპარაკებები. შედეგად, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდა ორ უდიდეს ბაზართან – ჩინეთთან და ევროკავშირთან. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ასევე გაფორმდა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან – EFTA, ჩინეთის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთან – ჰონგ-კონგთან და დიდ ბრიტანეთთან; თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევა დასრულდა ინდოეთთან და ისრაელთან.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შემდგომი ლიბერალიზაციისა და გაფართოების მიზნით, შემდგომ წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, საშუალოვადიანი და ყოველწლიური გეგმების შესრულება და საკანონმდებლო დაახლოების პროცესის გაგრძელება შესაბამისი რეფორმების გატარების გზით;
- 2024 წლის ჩათვლით, საქართველოს მიერ დანერგილი იქნება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულებების 85%, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების, საბაჟოსა და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებებით შესრულებული იქნება ვალდებულებების 100%;
- ინდოეთსა და ისრაელთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიზნით მოლაპარაკებების წარმართვა და შეთანხმების ხელმოწერა;
- აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით, კონსულტაციების გაგრძელება და, მიღწეული შედეგების შესაბამისად, მოლაპარაკებების წარმართვა;
- არაბული სახელმწიფოების საბჭოსთან საქართველოს მხრიდან ინიცირებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე მუშაობა და, მიღწეული შედეგების შესაბამისად, შემდგომი პროცედურების წარმართვა;
- სერბეთთან და სამხრეთ კორეის რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის კვლევის განხორციელება, მიღწეული შედეგების შესაბამისად მოლაპარაკებების წარმართვა;
- საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოლაპარაკებების დასრულება, ტარიფების შემდგომ ლიბერალიზაციასა და შეთანხმებაში მომსახურების ნაწილის დამატებასთან დაკავშირებით;
- საქართველოსა და მოლდოვას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ევროკავშირსა და მოლდოვასთან ვაჭრობისას დიაგონალური კუმულაციით სარგებლობასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანა.

2.5. ეკონომიკური რეფორმები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში, საქართველო რამდენიმეჯერ ზედიზედ დასახელდა, როგორც ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა, რომელმაც რეიტინგის

რამდენიმე ციკლის განმავლობაში თანამიმდევრულად, ზედიზედ გაიუმჯობესა ეკონომიკური გარემო. საქართველომ რეიტინგის ათივე კომპონენტში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა და მსოფლიო ბანკის მიერ დასახელდა ლიდერ ქვეყნად რეფორმების კუთხით. „ბიზნესის კეთების“ 2018 წლის ანგარიშში საზღვარსაღი არის აღნიშნული, რომ საქართველო, 47 ბიზნესრეფორმით, ლიდერია იმ 20 ქვეყანას შორის, რომელთაც ყველაზე მეტი რეფორმა განახორციელეს. საქართველო ბიზნესგარემოს გამაუმჯობესებელ, წარმატებულ ქვეყანათა ტოპათეულშია და საუკეთესო შეფასების ზღვართან მიახლოებით, 2020 წელს, ქვეყნის ქულამ ისტორიული მაქსიმუმს მიაღწია. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები პოზიტიურად ფასდება საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ და საერთაშორისო საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევს. სწორედ სისტემური რეფორმების წარმატებულმა და ეფექტიანად განხორციელებამ განაპირობა საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში, რაც საქართველოზე, როგორც რეფორმატორი ქვეყნის იმიჯზე, პოზიტიურად აისახება.

საქართველო კვლავ აგრძელებს ეკონომიკური რეფორმების ციკლს, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და, შედეგად, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

2.5.1. სახელმწიფო საწარმოების რეფორმა

სახელმწიფო საწარმოები საჯარო სექტორის მონყვლად სეგმენტად რჩება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საწარმოების სისუსტეები გასული პერიოდის ჭარბი ვალის აღებას უკავშირდება. კერძოდ, 2010-2011 წლებში სახელმწიფო საწარმოების მიერ ხდებოდა ვალის (მილიარდ დოლარზე მეტი) აღება არაპროფილური, წამგებიანი და პოლიტიკური პროექტების დასაფინანსებლად.

განხორციელდება სახელმწიფო საწარმოების რეფორმა, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ 5 სვეტს:

- გაიზრდება საწარმოსთვის კომერციული მიზნების პრიორიტეტიზაცია;
- საწარმოებში დაინერგება კორპორაციული მართვის პრინციპები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებზე დაყრდნობით;
- განისაზღვრება სახელმწიფო საწარმოთა ფლობის პოლიტიკა და რაციონალურობა;
- საწარმოთა საშუალოვადიანი სტრატეგიული სამიზნე მაჩვენებლებით (KPI) მართვა;
- კონკურენტული ნეიტრალურობის პრინციპის ინსტიტუციონალიზაცია.

2.5.2. დამატებული ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების რეფორმა

დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემის დანერგვა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმაა. დღგ-ის დაბრუნების ავტომატური სისტემა ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მნიშვნელოვანი სტიმულატორი იქნება და კერძო სექტორში გააჩენს დამატებით ლიკვიდობას 600 მილიონი ლარის მოცულობით. მოცემული რეფორმა პოსტკოვიდურ ეკონომიკაში საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდის სწრაფი აღდგენისთვის.

- დღგ-ის რეფორმის შედეგად, საქართველო კიდევ უფრო გაიმყარებს ბიზნესის კეთების რეიტინგში არსებულ ელიტარულ ადგილს;
- აღნიშნული რეფორმის ფარგლებში უკვე შექმნილია რისკზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემა, რომელიც გადის ინტენსიურ ტესტირებას და მომავალი წლის იანვრიდან საოპერაციოდ სრულად იქნება მზად,

2.5.3. კაპიტალის ბაზრის რეფორმა

კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. 2016 წელს შემუშავდა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია და მისი თანმდევი სამოქმედო გეგმა. სრულიად განახლდა ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა, საკანონმდებლო კუთხით დაიხვეწა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა. კერძოდ, გადაიხედა და დასავლურ სტანდარტებს დაუახლოვდა ინვესტორთა დაცვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები.

ჩვენი გუნდის მიერ განხორციელდა ეკონომიკისთვის სტრუქტურულად მნიშვნელოვანი **საპენსიო რეფორმა**, რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი საკვანძო ნაბიჯია. ხაზგასასმელია, რომ საპენსიო სააგენტოს სახით ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე პირველად გაჩნდა ინსტიტუციური ინვესტორი. საპენსიო რეფორმის გატარებით, ქვეყანაში პირველად შეიქმნა ლარის გრძელვადიანი რესურსი.

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით, მომდევნო წლებში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

- კაპიტალის ბაზრის განვითარების გრძელვადიან გეგმას წარმოადგენს საქართველოს ე. წ. Frontier Market-ად (პერსპექტიულ ბაზრად) კლასიფიცირება სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსებში. აღნიშნული სტატუსის მისაღწევად, ყურადღება გამახვილდება შემდეგ მიმართულებებზე: 1) გამართული საკანონმდებლო ჩარჩო; 2) ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორებისა და შენახვის გამართული ინფრასტრუქტურა; 3) ლიკვიდური ბაზარი;
- დასახული მიზნების შესრულებაში აქტიურად იქნებიან ჩართულნი როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო და მონეტარული ხელისუფლება;
- გაფართოვდება ემიტენტთა ბაზა სახელმწიფო საწარმოების კაპიტალის ბაზარზე მონაწილეობის ზრდით. პირველ ეტაპზე ეს მოხდება სავალო ფასიანი ქაღალდების, ხოლო შემდგომში, ნილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობით;
- კაპიტალის ბაზრის განვითარების წარმატება მეტწილად დაფუძნებული იქნება ფართო რეფორმაზე, რომელიც შექმნის ისეთ გარემოს, სადაც მენარმეს იაფ კაპიტალზე (კაპიტალის ფორმაცია) ექნება წვდომა, ხოლო ინვესტორი შესაბამის გარანტიებს შეიძენს (ინვესტორთა დაცვა).

2.5.4. საპენსიო რეფორმა

2019 წლამდე არსებული საპენსიო სისტემა დაფუძნებული იყო მხოლოდ უნივერსალურ საპენსიო სქემაზე. წარმატებული საპენსიო სისტემების საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემების უპირატესობები. შესაბამისად, 2019 წლიდან, საქართველოში ამოქმედდა კლასიკური „მეორე სვეტის“ განსაზღვრული შენატანის პრინციპზე დაფუძნებული დაგროვებითი საპენსიო სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე გულუხვია.

2020 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონში, რომლის საფუძველზეც, უნივერსალური პენსიის ოდენობის ზრდა დაექვემდებარა ინდექსაციას. კერძოდ, შემდგომ წლებში პენსიის ზრდა მოხდება ეკონომიკის განვითარებისა და ფასების ზრდის პარალელურად.

- 2021 წელს დასრულდება მუშაობა საპენსიო რეფორმის შემდგომ ეტაპზე - არსებული გეგმის მიხედვით, მოწესრიგდება ე. წ. მესამე სვეტის საპენსიო სქემა ანუ კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სისტემა, რომელშიც შენატანები სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან;
- საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს ე. წ. მესამე სვეტის საპენსიო სქემების სრულ შესაბამისობას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან, მათ შორის, კონკურენტულ და ხელშემწყობ საგადასახადო ჩარჩოს;

- კერძო საპენსიო სქემების ამოქმედებასთან ერთად, დასრულდება მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რაც, გრძელვადიან პერიოდში, სრულად უზრუნველყოფს სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბებას და საქართველოს მოქალაქეთა ღირსეულ სიბერეს.

2.5.5. წიაღის რეფორმა

ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხორციელდება სასარგებლო წიაღისეულის მართვის რეფორმა სექტორში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი და საინვესტიციოდ ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით. რესურსების მართვის პროცესში დამატებითი ღირებულების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, ძირითად ამოცანას წარმოადგენს რესურსების ეფექტიანი მართვა, რაც გულისხმობს წიაღისეულის საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავების ხელშეწყობას.

ბიზნესსუბიექტებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, ჩვენი გუნდის პირობებში, რესურსების მართვის პროცესში „ერთი ფანჯრის“ პრინციპი და ინტეგრირებული სალიცენზიო სისტემა დაინერგა. ამასთან, გამარტივდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელისთვის სახელმწიფო ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურები. სექტორის რეფორმა გრძელდება ახალი სამთომოპოვებითი საკანონმდებლო სისტემის შემუშავებით, რომელიც ასახავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და მიდგომებს.

წიაღის სექტორის ეფექტიანი მართვის კუთხით, მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- სამართლებრივი ჩარჩოს განახლება - სექტორის მარეგულირებელი განახლებული ნორმატიული ბაზის შემუშავება;
- ინტეგრირებული სალიცენზიო სისტემის დანერგვა;
- გეოლოგიურ მონაცემთა მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა;
- ფისკალური რეჟიმის განახლება - საბაზრო ღირებულებაზე დაფუძნებული როიალტის სისტემის დანერგვა;
- საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება - რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მონიტორინგის სისტემის დანერგვა;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება;
- საბადოთა რეკულტივაციის სისტემის გაუმჯობესება; შრომის უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესება;
- აშშ-ის გეოლოგიურ სამსახურთან თანამშრომლობით, ქვეყანაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიური და ეკონომიკური პოტენციალის შეფასება თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

2.5.6. გადახდისუნარობის რეფორმა

აღნიშნული რეფორმა წარმოადგენს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და ეკონომიკის ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას. დღემდე არსებული კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, ვერ უზრუნველყოფდა კრედიტორთა დაცვასა და ბიზნესის განგრძობადობის შესაძლებლობას, არ აჩენდა რეაბილიტაციის სტიმულებს, რაც სისტემის არაეფექტიანობას განაპირობებდა. გადახდისუნარობის სისტემის სირთულეები მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენდა ბიზნესგარემოს კუთხით.

რეფორმა ორიენტირებულია კერძო სექტორის ინტერესებზე, რომლის მთავარი მიმართულება სამართლიანი რეგულირებაა, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება, მაგალითად, საგადასახადო

მოთხოვნების უპირატესობების მნიშვნელოვნად შეკვეცაში კერძო კრედიტორების სასარგებლოდ. ხაზგასასმელია, რომ გაბედული ნაბიჯი გადაიდგა საქმის წარმოების ზედამხედველობის კერძო პროფესიებზე გადაცემის მიმართულებით, რაც გამოიხატება აღსრულების ეროვნული ბიუროს სავალდებულო ჩართულობაზე უარის თქმაში. სახელმწიფოს ნაცვლად ამ ფუნქციების შესრულებას ახლად შექმნილი პროფესიის წარმომადგენლები - გადახდისუნარობის პრაქტიკოსები უზრუნველყოფენ.

ახალი რეფორმის მიხედვით:

- აქცენტი გაკეთდება სიცოცხლისუნარიანი ფირმების რეაბილიტაციაზე, იმ შემთხვევაში კი, თუ რეაბილიტაცია არ არის შესაძლებელი, სისტემა ითვალისწინებს კომპანიების ორგანიზებული ფორმით ბაზრიდან სწრაფი გასვლის ხელშეწყობას;
- დაცული იქნება კრედიტორთა უფლებები, რაც გაზრდის გადახდისუნარობის გარემოს პროგნოზირებადობასა და საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობას;
- რეფორმა გამოიწვევს ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესებას, ფინანსური სიტემის განვითარების ხელშეწყობას, ბიზნესგარემოს გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობის ზრდას, ინვესტორების დაცვას, პროდუქტიულობის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტივების ეფექტიან გამოყენებას გაჩერებული აქტივების ეკონომიკაში სწრაფად დაბრუნების გზით;
- რეფორმა ხელს შეუწყობს უმოქმედო სესხების ნილის შემცირებასა და ქვეყანაში ახალი საკრედიტო რესურსის გამოთავისუფლებას. მაღალი „ამოღების კოეფიციენტის“ (Recovery rate) პირობებში, კრედიტორები გაააქტიურებენ ინვესტირებას სხვა სიცოცხლისუნარიან კომპანიებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის კრედიტებზე ხელმისაწვდომობას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას.

2.5.7. მენარმეთა შესახებ კანონი

საქართველოს მთავრობამ, ქვეყანაში ბიზნესგარემოს სრულყოფის მიზნით, დააინიცირა რეფორმა, რომელიც მენარმეთა შესახებ კანონის სახით წარდგენილია პარლამენტში. კანონი თანამედროვე მიდგომებზეა დაფუძნებული, რომელიც მიზნად ისახავს შიდა საკორპორაციო ურთიერთობების დეტალურ მონესრიგებას და, სამენარმეო თავისუფლების ხელშეწყობასთან ერთად, ამ სფეროში გამჭვირვალობის ზრდას.

რეფორმის შედეგად:

- მოხდება ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება;
- კანონი მკაფიოდ დაარეგულირებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესსუბიექტების მმართველების ინტერესთა კონფლიქტთან, კეთილსინდისიერების ვალდებულებასთან;
- მონესრიგდება სამენარმეო საზოგადოებიდან პარტნიორის ვალდებულებების შესრულების, საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები.

2.5.8. ენერგეტიკის რეფორმა

საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, გაგრძელდება ენერგეტიკის სფეროს ფართომასშტაბიანი რეფორმა. ენერგეტიკის სექტორის რეფორმირებისა და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით, უკვე მიღებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისკენ და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და ენერგეტიკულ გაერთიანებასთან აღებული ვალდებულებების შესაბამისად, საქართველო ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორია და შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის ბუნებრივი რესურსების ევროპისკენ ტრანზიტის კუთხით.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად:

- საქართველო გააძლიერებს საკუთარ რეგიონულ როლს, როგორც ტრანზიტორი ქვეყანა;
- დარგში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების დანერგვისა და ბუნებრივი მონოპოლიების შესუსტების უზრუნველსაყოფად, გაიმიჯნება გადაცემისა და განაწილების საქმიანობა;
- სრული დატვირთვით ამოქმედდება საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული და ღია ბაზრის პრინციპების დანერგვას;
- 2021 წლიდან 2026 წლამდე ეტაპობრივად მოხდება მსხვილი მომხმარებლების ბაზარზე გაყვანა, მათი მოხმარების სიდიდისა და ძაბვის მიხედვით. პარალელურად, განხორციელდება შესაბამისი რეგულირებული სადგურების ეტაპობრივი დერეგულირება სიმძლავრეების მიხედვით.

2.5.9. საგადასახადო დავების რეფორმა

განხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავების რეფორმა. რეფორმის ფარგლებში შეიქმნება პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული საგადასახადო და საბაჟო დავების განმხილველი კოლეგიური ორგანო, რომლის წევრების შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუფლების წესი ერთმნიშვნელოვნად უზრუნველყოფს თვით ამ ორგანოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. კანონით დაწესდება დავების განმხილველი ორგანოს წევრის დამოუკიდებლობისა და ამ ორგანოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის დამატებითი სამართლებრივი გარანტიები.

რეფორმის შედეგად:

- განხორციელდება როგორც დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება, ისე გადასახადის გადამხდელთა პოზიციების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვნად შემცირდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის განხილვისა და გადაწყვეტის დრო;
- გაიზრდება დავის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხი;
- დაწესდება ამ გადაწყვეტილებების დროული აღსრულების ეფექტური მექანიზმი;
- შესწავლილი იქნება საგადასახადო დავების სიმრავლის მიზეზები, რის შემდეგაც მომზადდება და პრაქტიკაში დაინერგება დავების პრევენციისა და შემცირების კონცეფცია.

2.6. ინფრასტრუქტურის განვითარება

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო რეგიონებში თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნას. ამასთან, საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქვეყნის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში მაქსიმალურ ინტეგრირებაზე.

ჩვენი გუნდის მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურაზე გამოყოფილი სახსრები. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე, სახელმწიფომ, ჯამურად, 8.5 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი მიმართა, ხოლო

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტი, 2013 წელს არსებული 523 მილიონი ლარიდან, 2019 წელს, 1.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა.

ხაზგასასმელია, რომ **Covid-19-ის** გლობალური პანდემიის დროს საქართველოში მიმდინარე არცერთი სისტემური ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობა არ შეფერხებულა.

2.6.1. საგზაო ინფრასტრუქტურა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობას. 2020 წლის ბოლოსთვის აშენებული იქნება 267 კმ ჩქაროსნული მაგისტრალი, საიდანაც 2013 წლამდე აშენებულია 68 კმ, ხოლო 2013 წლიდან დღემდე - 198 კმ, მათ შორის, 2020 წლის ბოლომდე გაიხსნება ჯამში 70 კმ-მდე ჩქაროსნული მაგისტრალური გზა.

2013-2020 წლებში განხორციელდა 3300 კმ გზის რეაბილიტაცია. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია. 2013 წლის შემდგომ, სულ განხორციელდა 291 ხიდის რეაბილიტაცია, აშენდა 218 ახალი ხიდი.

მაღალი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის ლოგისტიკური ფუნქციის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, მომდევნო წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- დამატებით აშენდება 200 კილომეტრამდე ავტობანი - დასრულდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა. აშენდება 200-მდე ხიდი და 70-მდე გვირაბი, შედეგად, თბილისი-ბათუმის მიმართულებით მგზავრობას დაახლოებით 3,5 საათი დასჭირდება;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალზე დასრულდება რიკოთის, სამტრედია-გრიგოლეთის, გრიგოლეთი-ჩოლოქის, ბათუმის შემოვლითი გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- გაგრძელდება ყველა სასაზღვრო-გამშვები პუნქტის მიმართულებით საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალების მშენებლობის პროექტები, მათ შორის, 2024 წლისთვის დასრულდება ქვეშეთი-კობის 23კმ-იანი მონაკვეთისა და 9კმ-იანი გვირაბის მშენებლობა, დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27კმ-იანი ჩქაროსნული გზა. დაიწყება ავტომაგისტრალების მშენებლობა ბათუმი-სარფის, თბილისი-სადახლოსა და თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებებით;
- გაგრძელდება ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა კახეთის მიმართულებით, მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15კმ-იანი მონაკვეთის, თბილისი-საგარეჯოს 35კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა;
- დასრულდება ბაღდათი-აბასთუმნის, საჩხერე-ონის, თბილისი-შატილის, ბათუმი-ახალციხის და სხვა მნიშვნელოვანი გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- განხორციელდება 1500 კილომეტრამდე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია და 200-მდე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- შედეგად, 2024 წლისთვის, ქვეყანაში საერთაშორისო მნიშვნელობის გზების 95% და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების 85% იქნება სრულად მოწესრიგებული;
- სტიქიის პრევენციისთვის, აქტიურად გაგრძელდება ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

2.6.2. წყალმომარაგება

მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენი მთავრობის პირობებში ამ სექტორის დაფინანსება 10-ჯერ გაიზარდა და მხოლოდ 2020 წელს 400 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა, 2012 წელს, წყლის ინფრასტრუქტურის

მონესრიგებაზე მხოლოდ 34 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამ მიმართულებით, 2013-2020 წლებში, სულ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გამოყოფილმა სახსრებმა 1 მილიარდ 457 მილიონი ლარი შეადგინა, 48 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 750-ზე მეტი პროექტი განხორციელდა.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2020 წლის დასასრულს, რეგიონებში 24-საათიან წყალმომარაგებაზე წვდომა ექნება 630 000 აბონენტს. ქუთაისის, ზუგდიდისა და ჭიათურის მოსახლეობას პირველად აქვთ უწყვეტი წყალმომარაგება.

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ფართომასშტაბიანი წყლის ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აბასთუმანში, სიღნაღში, მარნეულში, ბახმაროში, ფოთში, მესტიაში, წყალტუბოში, გუდაურში, დაბა ბაკურიანსა და სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში მიმდინარე პროექტები როგორც წყალმომარაგების, ისე წყალარინების სექტორებში.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურისტული მნიშვნელობის რეგიონებისთვის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფას. 2020 წელს რამდენიმე პროექტი ხორციელდება გუდაურსა და დაბა ბაკურიანში, რათა ზამთრის ტურისტულ სეზონს ქვეყანა მომზადებული შეხვდეს.

ხარისხიანი, 24-საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონებში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობას. წყალარინების გამწმენდი ნაგებობები შენდება და აშენდება ფოთში, ზუგდიდში, მარნეულში, მესტიაში, გუდაურში, ბახმაროში, სიღნაღში, ტყიბულში, მარტვილში, მუხრანში, ჯვარში, აბასთუმანში, სტეფანწმინდასა და სხვა დასახლებებში, რათა მაქსიმალურად შემცირდეს გარემოზე მავნე ზემოქმედება, რაც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

ქართლისა და იმერეთის გამყოფი ხაზისპირა 26 სოფელში მიმდინარეობს წყალმომარაგების პროექტები, რის შედეგადაც დამატებით 20 ათასამდე მოსახლე 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ჩვენი მოქალაქეებისთვის უწყვეტი, ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდება მომდევნო წლების განმავლობაშიც დარჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრიორიტეტად. მომდევნო წლების განმავლობაში:

- მიმდინარე და 2024 წლამდე დაგეგმილი პროექტების დასრულების საფუძველზე, უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით ათეულობით ქალაქი, დაბა და სოფელი, მათ შორის: ხაშური, თელავი, სტეფანწმინდა, ვანი, ბაღდათი, სამტრედია, ფასანაური, მატანი, დედოფლისწყარო და მისი სოფლები, სიღნაღი, თეთრინწყარო, ზუგდიდი, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის სოფლები, გარდაბანი და მისი სოფლები - მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი,, ახალი სამგორი და სხვ.;
- 2024 წლამდე დაახლოებით 2 850 000 აბონენტს, საქართველოს მოსახლეობის 77%-ს, ექნება გამართული წყალმომარაგება.

2.6.3. ინტერნეტიზაცია

მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2019 წლის ბოლოს, ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობამ 941 000 მიაღწია, რაც 94,7%-ით (457 700 აბონენტით) მეტია 2012 წელთან შედარებით, ხოლო 2019 წელს ფიქსირებული ფართობოლოვანი ინტერნეტის აბონენტების სიმკვრივემ შინამეურნეობაზე 80,8% შეადგინა.

მობილური ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობამ, 2019 წელს, 3,2 მლნ, ხოლო მისმა სიმკვრივემ მოსახლეობაზე 93% შეადგინა. 2012 წელთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 138,8 % -ით (1 860 000 აბონენტით) გაიზარდა.

ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, 2017 და 2019 წლებში, სათემო ინტერნეტიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელდა. იმ მაღალმთიან

დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოსახლეობა 200-ზე ნაკლებია, საქართველოს მთავრობამ სათემო ინტერნეტქსელების განვითარებას დაუჭირა მხარი.

ქვეყნის ინტერნეტიზაციის უზრუნველსაყოფად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, დაიწყება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. შესაბამისად, შინამეურნეობებს წვდომა ექნებათ არანაკლებ 100 მბ/წმ-ის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებსა და საწარმოებს - არანაკლებ 1 გბ/წმ-ის სიჩქარის ინტერნეტზე;
- „ლოგ ინ ჯორჯიას“ პროექტის ფარგლებში, ათასამდე დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ნახევარ მილიონ მოსახლეს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს მაღალი ხარისხის ინტერნეტით;
- ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდება სათემო ინტერნეტიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- განხორციელდება სატელეკომუნიკაციო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისა და საქართველოს გავლით ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბების ღონისძიებები;

2.6.4. რეგიონული განვითარება

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ, 2013-2020 წლებში, 1,750 მილიარდი ლარი მიიმართა მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ტიპის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მათ შორის, გზის რეაბილიტაციის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, სანიაღვრე არხების, საბავშვო ბაღების, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურისა და რეკრეაციული სივრცეების მოსაწყობად.

2019 წლიდან ასევე განახლდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტები.

2019-2020 წლებში, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, აშენდა 41 ახალი სასწრაფო დახმარების ცენტრი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 272-ს და აშენდა 104 ახალი ამბულატორია.

რეგიონების განვითარებისთვის დამტკიცდა „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც კახეთის, იმერეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება რეგიონული ცენტრების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური როლისა და ფუნქციების გაძლიერებისთვის.

ამასთან, „აზიის განვითარების ბანკის“ მხარდაჭერით დაიწყო „ქალაქების მდგრადი განვითარების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონებში ურბანული ინფრასტრუქტურის სრულყოფას, აგრეთვე, საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მიმდინარე წელს „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ 6 ქალაქისთვის - თელავის, ფოთის, გორის, ბუგდიდის, რუსთავისა და ქუთაისისთვის საერთაშორისო სტანდარტების ავტობუსები შეისყიდა. აღნიშნული ქალაქების მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესება როგორც ავტობუსებით, ისე შესაბამისი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიების ჩართულობით, 2021 წელსაც გაგრძელდება.

- რეგიონებს შორის განვითარების უთანასწორობის შემცირების, ინკლუზიური განვითარებისა და მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, 2021-2024 წლებში, 6 მილიარდი ლარი მოხმარდება რეგიონებში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის

განვითარებას - სოფლის გზების რეაბილიტაციას, წყალმომარაგება-წყალარინების, სკოლების, საბავშვო ბაღების, კულტურის ობიექტების, სპორტული ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

- ქვეყნის რეგიონების თანაბარი განვითარებისა და ეკონომიკური აქტივობისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენის მიზნით, გაგრძელდება რეგიონებში ახალი, ისეთი მიზიდულობის ცენტრების შექმნა და განვითარება, როგორებიცაა აბასთუმანი, მესტია, ველისციხე, წყალტუბო და სხვ.

2.6.5. მთის განვითარება

„მთის კანონის“ ამოქმედებიდან 2019 წლის ჩათვლით, კანონით დადგენილი შეღავათებისა და მაღალმთიანი დასახლებების ფონდისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიემართა 331 მილიონი ლარი. მათ შორის, კანონით დადგენილი სოციალური შეღავათებისთვის 224.8, მაღალმთიანი დასახლებების ფონდისთვის კი 106 მილიონი ლარი გაიცა.

მიმდინარე წელს განხორციელდა ცვლილება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში; შედეგად, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებს, რომლებიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრზე მდებარეობენ, მიენიჭათ მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. იმავდროულად, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც დასახლებების 80% ან მეტი მაღალმთიანი სტატუსის მატარებელია, დარჩენილ დასახლებებსაც განხილვის გარეშე მიენიჭათ მაღალმთიანის სტატუსი.

2.6.6. სივრცითი მონაცემები

დამტკიცდა ახმეტისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების სივრცითი მონაცემების გეგმები. მიმდინარეობს მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული დოკუმენტაციების დამტკიცების პროცედურები; ასევე დამტკიცდა აბასთუმნის, თუშეთის 12 სოფლის, მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის თემის 11 სოფლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 4 დასახლების, ფოთში მალთაყვას უბნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციები. მიმდინარეობს ქალაქ ზუგდიდის, დაბა სურამის, დაბა სტეფანწმინდის, კურორტ ლეზარდესა და გრიგოლეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციებისა და სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავება; იწყება დაბა გომისმთისა და კურორტ წყალტუბოს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციების შემუშავება.

2.6.7. მყარი ნარჩენების მართვა

2013 წლიდან მყარი ნარჩენების მართვის კუთხით ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კეთილმოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 31 არსებულ ნაგავსაყრელს, დაიხურა 23 ძველი, ამორტიზებული ნაგავსაყრელი და რეგიონებში მოეწყო ნარჩენების გადამტვირთავი 5 სადგური. მიმდინარეობს და 2024 წლისთვის განხორციელდება ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტები იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქვემო ქართლში, მცხეთა მთიანეთში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

2.2.8. ტრანსპორტი და ლოგისტიკა

სატრანსპორტო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური გუნდის მთავარ პრიორიტეტს სატრანსპორტო დარგების კოორდინირებული ფუნქციონირება წარმოადგენს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია-მშენებლობა და ქვეყნის კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს.

საქართველო განაგრძობს „ლიაცის“ პოლიტიკას. ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, ავიაკომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ ფრენის სიხშირეები და ტარიფების ოდენობა, რაც ხელს უწყობს კონკურენციის გაზრდას. შესაბამისად (პანდემიით განპირობებული ფრენების შეზღუდვამდე), მუდმივად მზარდი იყო საქართველოში არსებული აეროპორტებიდან მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგულარული და არარეგულარული რეისებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა. კერძოდ, 2012 წელს საქართველოს აეროპორტები მხოლოდ 1.4 მილიონ მგზავრს მოემსახურა, 2019 წლის მდგომარეობით კი აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაოთხმაგდა და 5.2 მილიონი მგზავრი შეადგინა. ამასთანავე, გაორმაგდა შესრულებული რეისების რაოდენობა (მათ შორის სატვირთო) და 2012 წელს არსებული 11850 რეისიდან, 2019 წელს, 24447-მდე გაიზარდა.

გაიზარდა ფრენების გეოგრაფიული არეალი, მომხმარებლებს მიეცათ სასურველი მიმართულებით გამგზავრების უფრო დიდი არჩევანის საშუალება. ასევე, საჰაერო მიმოსვლის გაფართოებამ ხელი შეუწყო საქართველოს ტურისტული პოტენციალის განვითარებას. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებიდან რეგულარულ რეისებს 50-მდე ავიაკომპანია 83 მიმართულებით ასრულებდა, რაც 2012 წელთან შედარებით 22 ავიაკომპანიით მეტია.

2012 წლიდან დღემდე, საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფრენების უსაფრთხოებასა და საავიაციო უშიშროებაზე ზედამხედველობის სტანდარტები. ახალი მაჩვენებლებით (2013 წლამდე საავიაციო უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი იყო მხოლოდ 32%, 2018 წელს კი შესრულების მაჩვენებელი 87,64%-მდე გაუმჯობესდა), საქართველო, საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების დანერგვისა და ზედამხედველობის თვალსაზრისით, რეგიონში პირველ, ხოლო ევროპაში მეათე ადგილზეა.

ევროპასთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, სრულად მოხდა მგზავრთა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით საავიაციო სფეროში არსებული ევროპული სტანდარტების დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში.

სატრანსპორტო და ლოგისტიკური ფუნქციის სრულყოფის მიზნით, მომდევნო წლებში იგეგმება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- შეიქმნება ერთიანი ციფრული პლატფორმა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სატრანსპორტო გადაზიდვების მიმართულებით ყველა ელექტრონული/ციფრული სერვისი;
- მიმდინარეობს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებისა და რეკომენდებული პრაქტიკის, ასევე, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპული რეგულაციების დანერგვა;
- იგეგმება ბათუმის აეროპორტის ტერმინალის გაფართოება, სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია;
- სააეროპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მიმდინარეობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება. პროექტის დასრულების შემდეგ, ტერმინალის ფართობი გაიზრდება 5-ჯერ, ხოლო მგზავრთა გამტარუნარიანობა გაოთხმაგდება (დაახლოებით 2 მლნ მგზავრი წელიწადში);
- კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, გააქტიურდება და გაგრძელდება მუშაობა ქართულ ავიაბაზარზე ახალი კომპანიების მოზიდვისა და ახალი მიმართულებების განვითარების კუთხით;
- იგეგმება საზღვაო „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვა საქართველოს ნავსადგურებში;
- ქართველ მებღაურთა დასაქმების ხელშეწყობა და საზღვაო განათლების დახვეწა (სასწავლებლების განვითარება);
- სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, იგეგმება ფოთში APM ტერმინალის გაფართოება და Pace Group-ის ახალი ტერმინალის მშენებლობა (პროექტი დაწყებულია - აშშ-

ის მთავრობის კერძო საინვესტიციო კორპორაციამ (OPIC) 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით დააფინანსა); ასევე, მიმდინარეობს ბათუმის საზღვაო ნავსადგურში კარბამიდის ტერმინალის მშენებლობა (აშშ-ის კორპორაცია TRAMO GROUP-ის ინვესტიცია);

- სარკინიგზო გადაზიდვების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, გაგრძელდება სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის რეფორმირება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით;
- იგეგმება რკინიგზის რესტრუქტურის განხორციელება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტის მეშვეობით, რაზეც ევროკომისიასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს;
- სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყობა **ანაკლის ღრმანყოფანი პორტის** განვითარებას.

2.7. ენერგეტიკა

„ქართული ოცნების“ ენერგეტიკული პოლიტიკა მიზნად ისახავს ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოსაფრთხოების ზრდას, ასევე, შიდა რესურსების მაქსიმალურ ათვისებას, რაც, თავის მხრივ, დარგის მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვას ეფუძნება.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში არაერთი პროექტი განხორციელდა. 2013-2019 წლებში სულ ექსპლუატაციაში შევიდა 39 ელექტროსადგური, რომელთა დადგმული სიმძლავრე, ჯამურად, 1140 მეგავატს შეადგენს, ხოლო განხორციელებული ინვესტიცია 1 მილიარდ 776 მილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს. შედარებისთვის: 2003-2012 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა მხოლოდ ერთი, 24 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური და ერთი გამოტურბინა 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრით.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყანაში არსებული განახლებადი ენერჯების ოპტიმალური ათვისების მიმართულებით. ამჟამად გაფორმებულია 130 მემორანდუმი, მათგან 106 მოიცავს მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების განვითარებას, 4 - დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების განვითარებას, 16 - ქარის, 4 კი მზის ელექტროსადგურების მშენებლობას. გაფორმებული მემორანდუმების მიხედვით, ელექტროსადგურების სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრეა 3622 მგვტ, სავარაუდო გამომუშავება კი 15302 მლრდ კვტსთ -ია

დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებზე გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს 4 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობას დადგმული სიმძლავრით 1217 მგვტ (სავარაუდო გამომუშავება - 4,26 მლრდ კვტსთ).

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2 ახალი თბოელექტროსადგურის პროექტის განვითარების კუთხით (თითოეული დადგმული სიმძლავრით 250 მგვტ-ის ფარგლებში), რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ელექტროსისტემის საბაზისო სიმძლავრეების გაძლიერებას.

მოსახლეობის **ელექტროენერჯით უზრუნველყოფის მიზნით**, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, უკვე განხორციელდა პროექტი - „სინათლე ყველა სოფელს“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ელექტროენერჯის მიწოდების ქსელში ჩაერთო 29 სოფელი.

ენერგეტიკის ტრადიციული წყაროების ათვისების პარალელურად, **ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარება** ჩვენი ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, გორის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირველად განხორციელდა „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტი. არსებული მდგომარეობით, 2021 წლისათვის იგეგმება დაახლოებით 300 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება. გარდა ამისა, მიმდინარეობს კვლევა ქარის 18 ელექტროსადგურის მშენებლობის შესაძლებლობაზე, სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრით - 1160 მგვტ. ასევე, მიმდინარეობს კვლევა მზის 6 ელექტროსადგურის მშენებლობაზე, 93 მგვტ-მდე ჯამური დადგმული სიმძლავრით.

2003-2012 წლების განმავლობაში, საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტის ძირითად წყაროს

რუსეთი წარმოადგენდა. მითითებულ პერიოდში მთლიანად იმპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობაში რუსეთის წილი 69,5%-ს შეადგენდა. 2013 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ელექტროენერჯის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირების მიმართულებით. შესაბამისად, 2013-2020 წლებში, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯის რაოდენობა მთლიანი იმპორტის 14%-მდე შემცირდა.

მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის მიზნით, 2013-2020 წლებში, ჯამურად განხორციელდა 300 ათასზე მეტი აბონენტის გაბიფიცირება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის გამომარაგების მიზნით განსახორციელებელი სამუშაოები უწყვეტად გრძელდება. გარდა ამისა, საქართველოს რეგიონების შემდგომი გაბიფიცირების შესაძლებლობების შესწავლის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა. მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სამგორის სამხრეთის თალის გამოფიტული ნავთობის საბადოზე, დაგეგმილია მინისქვეშა გამსაცავის მშენებლობა. პროექტის სრული ღირებულება დაახლოებით 250 მილიონ ევროს შეადგენს, სავარაუდო სრული მოცულობა - 400 მლნ მ³-ს, სამუშაო მოცულობა კი - 210-280 მლნ მ³-ს. ხაზგასასმელია, რომ გამსაცავის მშენებლობა ენერგოუსაფრთხოების და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და ენერგოუსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, მომდევნო წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- გამსაცავის პროექტის განხორციელება დაყოფილია 2 ფაზად. კერძოდ: I ფაზა დაეთმობა კვლევით სამუშაოებს, ხოლო II ფაზა - უშუალოდ მინისქვეშა გამსაცავის დაპროექტება-მშენებლობას. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს;
- საქართველოს მასშტაბით, დამატებით, 400-მდე სოფლისა თუ დაბის გაბიფიცირება დასრულდება, რაც დამატებით 90 000-მდე აბონენტს გულისხმობს, საერთო ჯამში კი ქვეყნის მოსახლეობის 90% ექნება საშუალება, ისარგებლოს ბუნებრივი აირით;
- „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვან აქცენტს გააკეთებს ენერგოეფექტურობის გაძლიერებაზე. კერძოდ, იგეგმება ენერგოეფექტურობის ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩოსა და სტანდარტების დანერგვა არსებული საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით, რაც ითვალისწინებს შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღებასა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით პროექტების განხორციელებას;
- ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნის პირობებში, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ გააგრძელებს ენერგეტიკის მდგრადი განვითარების პრინციპის დაცვით სასისტემო მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურების აშენების პროცესს;
- გაგრძელდება ენერჯის განახლებადი წყაროების (ქარის, მზის, ბიომასის) განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
- სატრანზიტო მიმართულების განვითარების მიზნით, საქართველოში, 2024 წლისთვის, დამატებით 1140 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები აშენდება, მათ შორის, განმტკიცდება და გაძლიერდება მებობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზები.

2.8. სოფლის მეურნეობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დარგის განვითარებისთვის უპრეცედენტო ნაბიჯები გადაიდგა. გაიზრდა საბიუჯეტო დაფინანსება, განხორციელდა მრავალი ხელშეწყობით პროგრამა, გამარტივდა ფინანსებზე წვდომის საშუალებები, რის შედეგადაც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდ ნაწილს გაუმარტივდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყება და განვითარება.

ჩვენი აგროპოლიტიკის ძირითად მიზანს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული. კერძოდ, 2012 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 511 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 2019 წელს კი 889 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია ექსპორტირებული (ზრდა 74%). აქვე აღსანიშნავია, რომ აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 753 მილიონი აშშ დოლარიდან 363 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა (კლება 52%).

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლიდან ხორციელდება „**შეღავათიანი აგროკრედიტის**“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 44000-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა, რომლებზეც, საერთო ჯამში, 2 მილიარდ 600 მილიონ ლარამდე ბანკის სესხი გამოიყო, ხოლო სახელმწიფოს მონაწილეობამ პროცენტის თანადაფინანსების ნაწილში 360 მილიონი ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის განვითარება**. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული მიმართულებით, 2014 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, სულ 99 პროექტი დაფინანსდა, ჯამურმა ინვესტიციამ კი 133 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ბოლო წლებში აქცენტი გაკეთდა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვაზე. 2018 წლიდან დაიწყო პროგრამა „**ახალგაზრდა მეწარმე**“, რომლის ფარგლებშიც, 2018-2020 წლებში, სულ 24 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციით, 239 პროექტი განხორციელდა.

სოფლად სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან ხორციელდება **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების** განვითარების პროგრამა. დღეის მდგომარეობით, კოოპერატივების რაოდენობა 1050-ს შეადგენს. აღნიშნულ კოოპერატივებში ჯამურად 10898 მეპაიეა გაერთიანებული, კოოპერატივების მიერ მოზიდულმა კაპიტალმა კი 32 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

მრავალწლოვანი კულტურების განვითარების მიზნით, 2015 წლიდან ხორციელდება პროგრამა „**დანერგე მომავალი**“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2015-2020 წლებში, მრავალწლოვანი ბაუბები გაშენდა 9900 ჰექტარი მიწის ფართობზე, ჯამურმა ინვესტიციამ კი 110 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

სასოფლო-სამეურნეო მიწების **წყლით უზრუნველყოფა** ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გამართვაზე. შესაბამისად, 2013 წლის შემდეგ განხორციელდა 82,6 ათასი ჰექტარი მიწის წყალუზრუნველყოფა, რაზეც 420 მილიონი ლარი დაიხარჯა.

აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებისა და რისკების შემცირების მიზნით, 2014 წლიდან ხორციელდება „**აგროდაზღვევის**“ პროგრამა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, გაცემულია 114000-ზე მეტი პოლისი და, საერთო ჯამში, 103 ათასი ჰექტარი მიწის ფართობია დაზღვეული, ანაზღაურებულმა ზარალმა კი 44 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

2016 წლიდან ხორციელდება ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა – „**ქართული ჩაი**“. სულ პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1200 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციებს.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და წახალისების მიზნით, 2017 წლიდან ხორციელდება „**სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამა**“. აღნიშნული პროგრამით 600-ზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა, ჯამური ინვესტიცია კი 38 მილიონ ლარზე მეტით განისაზღვრა.

სოფლის მეურნეობის წარმოების გამარტივების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს „**სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამას**“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოს თანადაფინანსებით, სულ 22 მილიონ ლარზე მეტის ტექნიკის შეძენა გახდა შესაძლებელი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა **ყურძნისა და ღვინის წარმოების** მიმართულებაზე. აქტიური ღონისძიებების შედეგად, ღვინის წარმოების მიმართულებით ისტორიული შედეგები დაფიქსირდა. კერძოდ, 2013 წლის შემდეგ გასამზაგდა გადამმუშავებული ყურძნის მოცულობა და ჯამურად 280 ათასი ტონა შეადგინა; ასევე გასამზაგდა გადამმუშავებული ყურძნის ღირებულება და აღნიშნული მაჩვენებელი 310 მილიონ ლარს გაუტოლდა; გაორმაგდა ექსპორტირებული ღვინის მოცულობა და, 2019 წლის მონაცემებით, 95 მილიონი ბოთლი შეადგინა, ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები კი 240 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა.

გლობალური პანდემიის (COVID-19) გამონვევების საპასუხოდ, ხელისუფლებამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა - ფერმერების დახმარების უპრეცედენტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის გათვალისწინებულია ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. აღნიშნული მიზნებისთვის მოხდა 250 მლნ ლარზე მეტი ღირებულების მხარდაჭერის პაკეტის ფორმირება.

მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგის გასაძლიერებლად, „ქართული ოცნება“ განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქართული ოცნების“ აგროპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანს წარმოადგენს **ადგილობრივი პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა**; შესაბამისად, თითოეული პროექტი თუ პროგრამა აღნიშნული ამოცანის შესრულებაზე იქნება ორიენტირებული;
- 2020-2024 წლებში სოფლის მეურნეობის დარგის განსავითარებლად, სახელმწიფოს მხრიდან **მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი დაიხარჯება**;
- ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ასევე, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებული და შენახვა-რეალიზაციის სანარმოო პროცესების ხელშეწყობისთვის გაგრძელდება ფიზიკური და იურიდიული პირების **იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა**;
- **გაგრძელდება და მეტად მასშტაბური გახდება: ერთნაირი და მრავალნაირი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა; გადამმუშავებული და შემნახველი სანარმოების თანადაფინანსების პროგრამა; სათბურების თანადაფინანსების ღონისძიებები; მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა; მეცხოველეობის განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამები; საზღვაო და შიდა წყლებში აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა**;
- უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხი და ხელმისაწვდომობა;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამები;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის, რისკების შემცირების მიზნით, **გაგრძელდება და დაიხვეწება აგროდამზღვევის პროგრამა**;
- არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენისგან, კერძოდ სეტყვისგან დაცვის მიზნით, **შიდა ქართლი, კახეთის მგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით**;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით, **გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო მავნე ორგანიზმებისა და ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანი სისტემების სრულყოფა**;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე არსებული სიტუაციის შესაბამისად, დაიგეგმება სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამები;

- გაგრძელდება **ახალი ბაზრების ათვისებისთვის აქტიური მუშაობა** და არსებულ ბაზრებზე პოზიციების გაუმჯობესება;
- სოფლად **ახალგაზრდა ფერმერებისა და მენარმეების** სტიმულირებისთვის შემუშავდება სპეციალური პროგრამები;
- განხორციელდება **ქალ ფერმერთა და მენარმეთა განვითარებისკენ** მიმართული ღონისძიებები;
- 2020-2024 წლებში გაგრძელდება **ფერმერთა და მენარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა** თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- მომდევნო სამი წლის განმავლობაში განხორციელდება **1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია**;
- განხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული **სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია**. 10 ჰა-მდე იჯარით აღებული მიწების გადაცემა მოხდება პირდაპირი მიყიდვის წესით;
- განხორციელდება საქართველოს **მიწის ბალანსის შედგენა**, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მიწის ფონდის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- გაგრძელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროების DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ **ვეროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება**;
- ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთის მიზნით, **გააქტიურდება ლაბორატორიული კვლევები**;
- მიწის ფართობების წყალუმრუნველყოფის მიზნით, მომდევნო წლებში, განხორციელდება 220 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია, რაც დამატებით 40000 ჰექტრამდე ფართობის გასარწყავებასა და 1000 ჰექტრამდე ფართობის დაშრობას უზრუნველყოფს;
- მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება გარემოსთან ადაპტირებული, **კლიმატონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებისა და ბიონარმეების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით**.

2.9. ტურიზმი

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთდა საქართველოს უნიკალური ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებასა და მის განვითარებაზე. 2019 წლის მონაცემებით, ტურიზმის წილმა მშპ-ში 8,1%-ს შეადგინა, ხოლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 150 ათას ადამიანს გადააჭარბა. ჩვენი პოლიტიკური გუნდის გონივრული პოლიტიკის შედეგად, მმართველობის რვაწლიანი პერიოდის თავზე, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, ძალზედ შთამბეჭდავი შედეგების მიღწევა გახდა შესაძლებელი. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა და 4,7 მილიონი მოგზაურიდან, 2019 წელს, 9,4 მილიონს გაუთანაბრდა. ტურისტული ინფრასტრუქტურის გაძლიერების მიზნით, ხელისუფლების სხვადასხვა მხარდაჭერი პროექტების განხორციელების ფონზე, ტურისტებისთვის განთავსების ადგილების რაოდენობა გასამმაგდა - 2012 წელს არსებული 33000-დან, არსებული პროგნოზით, 2020 წლის ბოლოსთვის 101000-ს გადააჭარბებს.

თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. კერძოდ, 2012 წელს არსებული 1,41 მილიარდი დოლარიდან, 2019 წელს ამ რიცხვმა 3.27 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, როგორ აღინიშნა, ყოველწლიურად მატულობს განთავსების ობიექტების რიცხვი როგორც საერთაშორისო, ისე საშუალო კლასის სასტუმროებში. შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამას -

„ანარმოე საქართველოში“ დაემატა სასტუმრო ბიზნესის განვითარების კომპონენტი, რომელიც საქართველოს რეგიონებში სასტუმროების მშენებლობის ნახალისებაზეა ორიენტირებული.

მსოფლიოში COVID-19-ის გავრცელების პირობებში, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველოს მთავრობამ უპრეცედენტო პროექტი წამოიწყო. შეჩერებული ტურისტული აქტივობის ფონზე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ სასტუმროებში მოეწყო საკარანტინო ზონები. პროექტმა ხელი შეუწყო ადრეულ ეტაპზე პროცესის ეფექტიან მართვას, ვირუსის გავრცელების შეჩერებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. ტურიზმის სექტორზე **COVID-19 პანდემიის შედეგად** მიყენებული ბარალის დასაბალანსებლად, მთავრობამ, სექტორის მხარდასაჭერად, საგანგებოდ მიზნობრივი ღონისძიებები შეიმუშავა; ტურიზმის ინდუსტრიის მხარდასაჭერად, პირდაპირი და ირიბი გზით, ჯამურად, **200 მილიონი** ლარის რესურსი გამოიყო.

საქართველოში COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ღონისძიებებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ უმაღლესი შეფასება მისცა, ხოლო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ საქართველოს მიერ განხორციელებული საკარანტინო ზონების პროექტი საუკეთესო მაგალითად დაასახელა. ამასთან, პანდემიის გათვალისწინებით, საქართველო დასახელდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო მიმართულებად, რაც გამორჩეული მიღწევაა ქვეყნის როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პოზიციონირებისთვის.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისების მიზნით, იგეგმება შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- მომდევნო 4 წლის მანძილზე განხორციელდება სამიზნე ქვეყნების დივერსიფიცირება, რაც გულისხმობს მემობელი ქვეყნების საბაზრო წილის შემცირებას 70%-მდე, ევროკავშირისა და შორეული ბაზრების (ჩინეთი, აშშ და სხვ.) საბაზრო წილის ზრდას 30%-მდე;
- 2023 წელს, საქართველო, მასპინძელი ქვეყნის სტატუსით, წარდგება მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან ტურისტულ გამოფენაზე – ITB Berlin 2023;
- სამედიცინო ტურიზმის განვითარების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, განხორციელდა ბალნეოლოგიური კურორტების იდენტიფიცირება და ამ მიმართულებით სსიპ-ის - „ანარმოე საქართველოში“ მხრიდან, ცალკეული სახელმწიფო პროგრამის შემუშავება სპეციალური დაფინანსების პირობებით - ხელი შეეწეობა აღნიშნული მიმართულების განვითარებას;
- ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე, ხორციელდება კურორტების (წყალტუბო, აბასთუმანი და სხვ.) ეტაპობრივი განვითარება;
- **გასტრონომიული ტურიზმის** განვითარების მიზნით, მოხდება რეგიონების დამახასიათებელი/ავთენტური სამზარეულოს პოპულარიზება ქვეყანაში წამყვანი შეფების, ტუროპერატორებისა და მედიის ჩართულობით;
- ღვინის ტურიზმის განვითარების მიზნით, ხორციელდება პროექტი - „ღვინის გზა“. პროექტი მოიცავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ ღვინის იმ საოჯახო მარნებსა და საწარმოებს, რომლებიც ეწევიან მასპინძლობას ღვინის ტურიზმის ფარგლებში;
- მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოში მაღალმხარჯველუნარიანი საქმიანი მოგზაურების მოზიდვის მიზნით **საქმიანი ტურიზმის განვითარება** ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება;
- ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების, ფრესკული მხატვრობისა და ქვეყანაში არსებული სინამდვილის პოპულარიზაციის მიზნით, იგეგმება **პილიგრიმული (რელიგიური) ტურიზმის** განვითარება.

2.9.1. მთის კურორტების განვითარება

ჩვენი გუნდის მიერ სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების მიზნით, არაერთი პროექტი განხორციელდა. შესაბამისად, 2018-2019 წლების ზამთრის სეზონზე, 2011-2012 წლის იმავე სეზონთან შედარებით, ვიზიტები გაიზარდა 88 883-დან 603 253-მდე, რაც ნიშნავს ვიზიტორთა რიცხოვნობის 578%-იან ზრდას.

ბოლო 7 წლის მანძილზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი; მათ შორის: სამთო-სათხილამურო კურორტებზე აშენდა 30-მდე ახალი საბაგრო; გაიხსნა ახალი კურორტები და შეიქმნა სათხილამურო არეალი (თეთნულდი, გოდერძი, კოხტა-მიტარბი, კობი-გუდაური); მოეწყო ხელოვნური გათოვლიანების სისტემა გუდაურსა და ბაკურიანში (აშენდა ხელოვნური ტბა, რაც უზრუნველყოფს გათოვლიანების სისტემის სტაბილურ მუშაობას); კურორტების განვითარების სწორი დაგეგმარების მიზნით, შემუშავდა განვითარების გენერალური გეგმები - ე. წ. მასტერპლანები; ყველა კურორტი აღიჭურვა თანამედროვე სპეცტექნიკით; დამსვენებლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, დაარსდა მოთხილამურე პატრულის ინსტიტუტი.

საქართველოს სამთო კურორტების განვითარების მიზნით, მომდევნო წლების განმავლობაში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სამთო-სათხილამურო კურორტების (გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, თეთნულდი და ჰანვალი) განვითარების მიზნით, 2020-2024 წლებში, დაგეგმილია სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება და ოთხსეზონური ტურისტული პროდუქტების შექმნა;
- 2020-2024 წლებში დაგეგმილია მინიმუმ 15 ინოვაციური და მდგრადი ტურიზმის ხელშემწყობი პროექტის განხორციელება სამთო-სათხილამურო კურორტებზე;
- 2023 წელს საქართველო უმასპინძლებს თხილამურსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს, ჩემპიონატის ჩატარებამდე კი აქ 12 საერთაშორისო შეჯიბრი გაიმართება. აღნიშნული ჩემპიონატის მსვლელობისას საქართველოს ათასობით ვიზიტორი ეწვევა.

2.10. გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არაერთი რეფორმა გატარდა: ჩამოყალიბდა ნარჩენების მართვის თანამედროვე, ევროპულ პრინციპებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა; შეიქმნა გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული, ევროპული სტანდარტების შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა; სამრეწველო საწარმოები თუ ინფრასტრუქტურული პროექტები ექვემდებარება გარემოზე სრულყოფილ შეფასებას, რა დროსაც, გადანყვეტილების მიღების პროცესში, უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა.

ჩვენი გუნდის გადანყვეტილებით, ფაქტობრივად, თავიდან ჩამოყალიბდა გარემოსდაცვით დარღვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უწყება. 2012 წლამდე, სრულად მოშლილი იყო გარემოსდაცვითი კონტროლი და ზედამხედველობა. ჩამოყალიბდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და მისი 8 რეგიონული სამსახური, რომლებიც აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით, მონესრიგდა რეგიონული სამსახურების ინფრასტრუქტურა და ჩამოყალიბდა სატყეო პატრული.

მნიშვნელოვნად გაიზარდა დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი, გაფართოვდა არსებული და შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები. 2012-2019 წლებში, დაცული ტერიტორიების ფართობი გაიზარდა 280 869 ჰა-ით. 2012-2019 წლებში, ჯამში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია. მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა,

2012-2019 წლებში მოეწყო:

- 7 ეკოტურისტული ატრაქცია: აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში;
- 32 ეკოტურისტული ბილიკი: სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, აჭარის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში;
- 10 ვიზიტორთა ცენტრი: სამცხე-ჯავახეთის (1), იმერეთის (4), სამეგრელო-ზემო სვანეთის (1), აჭარის (2), ქვემო ქართლის (1), მცხეთა-მთიანეთის (1) რეგიონებში.

2012 წელს, დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 298 910 ვიზიტორი, ხოლო 2019 წელს - 1 199 011 ვიზიტორი. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა დადებითად აისახა მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

განხორციელდა სატყეო სექტორის კომპლექსური რეფორმა. რეფორმის განხორციელებამ ქვეყანას საშუალება მისცა, მოუპოვებინა უპრეცედენტო საერთაშორისო საგრანტო მხარდაჭერა 38 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც მოხმარდება 3 რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, გურია) 8 მუნიციპალიტეტში ტყის მდგრადი მართვის დანერგვას. ხაზგასასმელია, რომ 2012 წლამდე ტყის ინვენტარიზაცია არ განხორციელებულა. ჩვენი გუნდის გადანყვეტილებით, 2013-2019 წლებში, განხორციელდა ტყის ინვენტარიზაცია 297 300 ჰა ფართობზე. გარდა ამისა, თუ 2012 წლამდე სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია საერთოდ არ ხორციელდებოდა, 2013-2019 წლებში მოწყობილი და რეაბილიტირებულია 448,4 კმ სატყეო გზა. 2012 წლის შემდეგ გაიზარდა ტყის აღდგენისა და მოვლის ღონისძიებების მასშტაბები (მათ შორის, სრულად განხორციელდა ბორჯომის ნახანძრალი ტყის აღდგენა). მოსახლეობისა და კერძო სექტორისთვის მერქნულ რესურსზე წვდომის გამარტივების მიზნით, სხვადასხვა რეგიონში მოეწყო 26 საქმიანი ეზო.

2012 წლიდან დაიწყო გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგის სრულიად მოშლილი სისტემის აღდგენა. შეიქმნა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი.

ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით, 2017 წლიდან, ქვეყანაში მოიხმარება ევრო-5 სტანდარტის ბენზინი. ქვეყანაში მოხმარებული საწვავის ხარისხის სტანდარტთან შესაბამისობას უზრუნველყოფს 2016 წლიდან ამოქმედებული საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლის სისტემა.

ქვეყანაში გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, „ქართული ოცნება“ განაგრძობს შემდეგ რეფორმებს:

- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება. 2020-2024 წლებში განხორციელდება მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების 150-მდე ერთეული ავტომატური სადგურის/საგუშაგოს შექმნა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამონტაჟება/გამართვა;
- გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძელდება მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება; განვითარდება ტყის მრავალმიზნობრივი სარგებლობა, რაც შექმნის დამატებით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს;
- 2020-2024 წლებში, დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და დაცვის მიმართულებით დაგეგმილია ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება (სულ, დაახლოებით, 185 000 ჰა), შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. განხორციელდება სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირება;
- ტყის რესურსის ონლაინ და ადგილობრივი კონტროლის გაზრდის მიზნით, დაინერგება ფოტოხაფანგების, უპილოტო საფრენი აპარატების, სამეთვალყურეო და სხვა მოწყობილობების გამოყენებით ეფექტური კონტროლის სისტემა;
- ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა და ხელი შეეწყობა ნარჩენების ხელახალ გადამუშავებას;
- გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სისტემა და მოეწყობა რადიაციული ნარჩენების მართვის ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

3. სოციალური განვითარება

3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

3.1.1. ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 3.2-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის** პროგრამის ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ხარისხიან ჯანდაცვის სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან პროგრამა კიდევ უფრო საჭიროებებზე ორიენტირებული გახდა და სოციალური სამართლიანობის პრინციპის გატარების მიზნით, განისაზღვრა შემოსავლების მიხედვით ბენეფიციარების დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 100%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 7,4 მილიონზე მეტი შემთხვევა/2,6 მილიონი ბენეფიციარი, რაზეც 3,9 მილიარდ ლარზე მეტი გამოიყო, მათ შორის: გეგმური ამბულატორიული (გამოიყო 337,3 მილიონი ლარი, დაფინანსდა 4,1 მილიონი ბენეფიციარი), გადაუდებელი ამბულატორიული (გამოიყო 355,1 მილიონი ლარი, დაფინანსდა 4,5 მლნ შემთხვევა), გადაუდებელი სტაციონარული და გეგმური ქირურგიული (გამოიყო 3,1 მილიარდი ლარი, დაფინანსდა 2,3 მილიონი შემთხვევა), მშობიარობა და საკეისრო კვეთა (გამოიყო 176,6 მლნ ლარი, დაფინანსდა 296,5 ათასი შემთხვევა) და ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპია (გამოიყო 167,1 მილიონი ლარი, დაფინანსდა 319,5 ათასი შემთხვევა). გაიზარდა სამედიცინო მომსახურების მოხმარება, კერძოდ: 2012-2018 წლებში თითქმის თორმეტჯერ (2,3-დან 43,7-მდე) ამბულატორიულ მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე და ორჯერ და მეტად (8.0-დან 16.7-მდე) ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 სულ მოსახლეზე. შემცირდა სერვისების მოხმარებასა და დანახარჯებთან დაკავშირებით არსებული განსხვავებები მდიდარ და ღარიბ შინამეურნეობებს შორის - 2010-17 წლებში 16,7%-დან 6,8%-მდე შემცირდა იმ პირთა პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას სიძვირის გამო. ყოველწლიურად მცირდება მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები (2012 წ. - 73%, 2018 წ. - 52%), მათ შორის, ჰოსპიტალურ სერვისებზე (2010წ. - 598,5 ლარი, 2017 წ. - 365,3 ლარი). სამედიცინო სერვისებზე ჯიბიდან გადახდების შემცირების ხარჯზე, შემცირდა (2010 წელი - 13.1%, 2017 წელი - 9.6%,) იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც იყვნენ ავად და ფინანსური ბარიერების გამო ვერ შეიძინეს მედიკამენტები.

2017 წლის ივლისიდან კიდევ უფრო გაიზარდა **მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა** ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებით. პროგრამა ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველი პირებისთვის (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათასს), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისათვის, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისათვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისათვის. 2019 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2020 წლის 1-ელ მაისამდე, პროგრამით ისარგებლა 103 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა, მათ შორის 66 ათასამდე საპენსიო ასაკის პირმა.

გაფართოვდა ონკოლოგიის მიმართულებით გათვალისწინებული მედიკამენტების ჩამონათვალი და ასევე, გაიზარდა პაციენტებისათვის განკუთვნილი შესაბამისი წლიური ლიმიტი. კერძოდ, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან, ქიმიო-, ჰორმონო- და სხივური თერაპიის გარდა, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ხელმისაწვდომი იქნება მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინკინაზას ინჰიბიტორები, ბისფოსფონატები, რაც ონკოლოგიური მკურნალობის სრულად დაფარვისკენ გადაადგმული კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

2012 წლის შემდეგ, 2,8-ჯერ - 29,0 მილიონი ლარიდან 80,1 მილიონ ლარამდე გაიზარდა **საზოგადოებრივი ჯანდაცვის** დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ შორის, უპრეცედენტოდ, 5-ჯერ გაიზარდა იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი (22.5 მილიონი ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 89%-დან 100%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ყოველწლიურად მზარდი უფასო გამოკვლევებით ათიათასობით ადამიანმა (2012 წელი - 38002, 2019 წელი - 62 000) ისარგებლა. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება, რაც ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგია. 2013 წლის შემდეგ, პროგრამის ფარგლებში 12712 -მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (დაიხარჯა 43,2 მილიონი ლარი), ხოლო ამბულატორიული მომსახურება ხელმისაწვდომი იყო 125 467 პაციენტისთვის (დაიხარჯა -17,8 მილიონი ლარი). დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს, წინა წლებთან შედარებით, დაფიქსირდა დედათა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (13.1/100 000 ცოცხალშობილზე) და წინსვრებით შესრულდა ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზანი - ქვეყანაში ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა 48-დან (1990 წელი) 8,7-მდე (2018 წელი) 1000 ცოცხალშობილზე, ნაცვლად სამიზნე 16-ისა. 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა დარეგისტრირებული ორსულებისთვის, 2014 წლის ივნისიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავათი ორსულობის 13 კვირამდე და რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის შემთხვევაში, რკინის პრეპარატით. 2016 წელს დაიწყო სიფილისით დაავადებული ორსულების სპეციფიკური მკურნალობა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C-ჰეპატიტის ელიმინაციის** (აღმოფხვრის) პროგრამის განხორციელება, რაზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 21,7 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკას და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით, C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირად ღირებული მედიკამენტებით. პროგრამაში, ასევე, ჩართული არიან პირები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან. გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2018 წლიდან ხორციელდება დეცენტრალიზაციის პროექტი და 2019 წლის აგვისტოდან სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსებას. პროგრამის დაწყებიდან, 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით, სკრინინგული კვლევით გამოკვლეულია 2,3 მილიონი ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 71 ათასზე მეტი პირი, მათ შორის სრულად განიკურნა 48 400-ზე მეტი პირი, განკურნების მაჩვენებელი 98,8%-ს შეადგენს. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული.

2012 წელთან შედარებით, 121%-ით, 77,7 მილიონი ლარიდან 171,9 მილიონ ლარამდე გაიზარდა **პრიორიტეტულ სფეროებში მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების** დაფინანსება, მათ შორის: 85%-ით - ფსიქიკური ჯანმრთელობის, 177%-ით - დიაბეტის მართვის, 275%-ით - დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, 158%-ით - იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, 94%-ით - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, 48%-ით - რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. 2013-2019 წლებში, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებულ შემთხვევათა რაოდენობა 4,8 მილიონზე მეტია, ხოლო ბენეფიციართა რიცხვი 1 516 382 შეადგენს. გაუმჯობესდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის როგორც სტაციონარული, ისე ამბულატორიული და თემზე დაფუძნებული მომსახურების მოცულობა და ხარისხი. 2013 წლიდან პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: ამბულატორიული სერვისები (42942 მოსარგებლე), თავშესაფრით უზრუნველყოფა (160 მოსარგებლე, გამოიყო 3 მლნ ლარი), ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება (2067 ბავშვი, გამოიყო 2,9 მლნ ლარი), ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტი (3374 მოსარგებლე), სტაციონარული მომსახურება (18725 მოსარგებლე, გამოიყო 79,8 მლნ ლარი). გაიზარდა სათემო სერვისების დაფინანსება და გაზრდილი თანხის 54%-ზე მეტი სათემო ამბულატორიულ მომსახურებაზე გადანაწილდა. ახალი დაფინანსების პირობებში, ბალანსი სათემო

და სტაციონარულ სერვისებს შორის 40%-60%-ს შეადგენს. რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად, გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების მიწოდება - 2013 წლიდან 62,0%-ით გაიზარდა და სულ 45 680 შეადგინა პროგრამით დაფინანსებულ შემთხვევათა რაოდენობამ (გამოიყო 102 მლნ ლარი). **მართვის ეფექტიანი მექანიზმების** განხორციელების მიზნით, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდა და დაბუსტდა სამედიცინო მომსახურების სანებართვო პირობები, დამტკიცდა გაიდლაინები და არაერთი კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტი. 2017 წლის მაისიდან დაიწყო სელექციური კონტრაქტების დანერგვა მომსახურების ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმებით. 2019 წლის სექტემბრიდან სავალდებულო რეჟიმში ამოქმედდა ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემა სტაციონარებში. ჯანდაცვის დიჯიტალიზაცია ჯანდაცვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა. 2019 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა **დაფინანსების ახალი მექანიზმი** - გათანაბრებული ტარიფები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მონაწილე კლინიკებისთვის კარდიოქირურგიის, კარდიოლოგიისა და რეანიმაციის სერვისებზე, რაც ამცირებს თანაგადახდის მოცულობას და ზრდის სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

2013 წლიდან ხორციელდება **პირველადი ჯანდაცვის** განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა „სოფლის ექიმის“ პროგრამის მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი; 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში და სახელმწიფოს მიერ ფინანსდება მათი საქმიანობისთვის აუცილებელი, მათ შორის მედიკამენტებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობის ხარჯები. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან;

ფარმაცევტული სფეროს განვითარების, სწორი მკურნალობისა და ნამალზე დანახარჯების წილისა და თვითმკურნალობით მიღებული ზიანის შემცირების მიზნით: 2014 წლიდან, გაუქმებიდან 20 წლის შემდეგ (გამონაკლისია ნარკოტიკები, ანტიბიოტიკები, ფსიქოტროპული მედიკამენტები), დაიწყო რეცეპტის ინსტიტუტის ეტაპობრივი დანერგვა. 2016 წლის 1-ლი აგვისტოდან ამოქმედდა და 2018 წლიდან დაიწყო ელექტრონული რეცეპტების სისტემის სავალდებულო გამოყენების პროცესი. 2017 წლის დეკემბერიდან ევროკავშირის GMP გაიდლაინები აღიარებულია ეროვნულ სტანდარტად. 2019 წლის 1-ლი ივლისიდან წარმოების ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ეროვნული GMP სტანდარტის შესაბამისად.

დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება ექიმთა სერტიფიცირების ინსტრუმენტის - სასერტიფიკაციო-საგამოცდო ტესტებისა და ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო ტესტების მუდმივ რეჟიმში განახლება/მომზადება. 2018 წელს დამტკიცდა უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები, ასევე, პროფესიული რეაბილიტაციის წესი, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები. უწყვეტი სამედიცინო განათლების აქტივობების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტ-ქულების სისტემა შესაბამისობაში მოვიდა კრედიტების ევროპულ სისტემასთან. პირველად შეიქმნა ევროპულ და სხვა მოწინავე ქვეყნებში უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების ფარგლებში მინიჭებული კრედიტ-ქულების საქართველოში აღიარების მექანიზმი. დიპლომისშემდგომ განათლებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, 2019 წლიდან პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში სარეზიდენტო მზადება უფინანსდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 100 000-ზე ნაკლები სარეზიდენტო ქულის მქონე პირებს. ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მიმდინარეობს უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულო სისტემის ეტაპობრივად შემოღების პროცესი.

2014 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს **საქართველოს სოლიდარობის ფონდი**. ფონდის მიერ მობილიზებულ იქნა 18 მლნ ლარი, რაც ქვეყნის მასშტაბით 400-ზე მეტი საჯარო უწყების, 100-

მდე კერძო ორგანიზაციისა და ათასობით მოქალაქის ჩართულობის შედეგია. შემომწირველთა მხარდაჭერით, ფონდმა სიმსივნით დაავადებული 711 ბავშვისა და 22 წლამდე ახალგაზრდის მკურნალობა და დიაგნოსტიკური კვლევები დააფინანსა, მათ შორის, 301 ბავშვისა და ახალგაზრდის სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობა დაფინანსდა საქართველოში, ხოლო 410 შემთხვევაში – როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

უმნიშვნელოვანესია ჯანდაცვის სისტემის განვითარებისკენ მიმართული ზემოაღნიშნული რეფორმების წვლილი ახალი **COVID-19 ვირუსით** გამონვეულ დაავადებასთან ბრძოლის სფეროში და ქვეყნის წარმატებაში. ევროპისა და მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველომ შეძლო COVID-19-ის შემთხვევების მაღალი გავრცელების თავიდან აცილება. ქვეყნის ბრძოლა ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მსოფლიოში წარმატებულ მაგალითად განიხილება. ახალი კორონავირუსული დაავადების მართვისთვის, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 350 მილიონ ლარზე მეტი განისაზღვრა.

ეფექტიანი და სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

- ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად: მოსახლეობის **საყოველთაო ჯანდაცვის** პროგრამით კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- გაგრძელდება ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველთა, საპენსიო ასაკის პირთა, ვეტერანთა და სხვ.) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო **მედიკამენტებით** უზრუნველყოფა, სათანადო მექანიზმების დახვეწა და მედიკამენტების სიის გაფართოება;
- სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი **ონკოლოგიური დაავადებების** მართვა და მკურნალობა იქნება;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – **პირველადი ჯანდაცვის** სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება, რაც გააუმჯობესებს ჯანმრთელობის მაჩვენებლებს და შეამცირებს დანახარჯებს გადაუდებელ და სტაციონარულ მომსახურებაზე, დაიხვეწება პირველად დონეზე სერვისები და სისტემის დაფინანსების მექანიზმები. გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა; გაძლიერდება ავადობისა და სიკვდილიანობის ყველაზე მძიმე ტვირთის მქონე დაავადებათა პრევენცია და, შესაბამისად, ამ დაავადებების მქონე მოსახლეობის დაცვა ჯანდაცვის კატასტროფული დანახარჯებისგან. გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა. განხორციელდება **ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის** დანერგვის ღონისძიებები, რაც გაზრდის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, უზრუნველყოფს არასაჭირო ჰოსპიტალიზაციისაგან დაცვას და შეამცირებს გადაუდებელი შემთხვევებისა და ჰოსპიტალიზაციის დანახარჯებს;
- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის** მიმართულებით გატარდება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ღონისძიებები. გაიზრდება პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება და ეფექტიანობა. შეიქმნება წამალდამოკიდებულთა ერთიანი ბაზა და შემუშავდება სერვისების მიწოდების ახალი მოდელი. სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი წამყვანი პრიორიტეტი იქნება **ონკოლოგიური დაავადებების მართვა და მკურნალობა**, რისთვისაც დაინერგება მკურნალობის თანამედროვე ეფექტიანი მეთოდები; C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სერვისების დეცენტრალიზაციის პროცესი;
- უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება. **პრიორიტეტულ სფეროებში** გაიზრდება პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება; გაგრძელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, საოჯახო

საცხოვრისების და თავშესაფრის სერვისების გაფართოება და სერვისების მიმწოდებელი პერსონალის გადამზადება;

- გაგრძელდება **სალიცენზიო და სანებართვო პირობების** დახვეწა, დაიწყება ნებაყოფლობითი საერთაშორისო აკრედიტაციის მექანიზმების შემუშავების პროცესი, გაგრძელდება პროვაიდერების სელექციური შერჩევა ხარისხის სტანდარტების, ხელმისაწვდომობის, უტილიზაციის მაჩვენებლისა და დაფინანსების ახალი მეთოდების გათვალისწინებით;
- გატარდება **ერთიანი სატარიფო პოლიტიკა** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და დაიწყება სამედიცინო სერვისების ანაზღაურებისათვის დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების სისტემის (DRG) დანერგვა; გათანაბრებული ტარიფების ინიციატივა გახდება ქვეყნის მასშტაბით ერთიანი სტანდარტისა და ხარისხის მოთხოვნის საფუძველი. საქართველოს ყველა მოქალაქე კვლავ იქნება დაცული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯებისაგან;
- განხორციელდება **ფარმაცევტული** სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, დაინერგება სამკურნალო საშუალებების შექმნის, სტანდარტიზაციის, ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის თანამედროვე მიდგომები.
- შემუშავდება და დაინერგება **დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების** განვითარების სტრატეგია. განხორციელდება ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო საგამოცდო ინსტრუმენტის სრულყოფა. განხორციელდება ღონისძიებები უწყვეტი სამედიცინო განათლების სავალდებულო სისტემის ეტაპობრივად შემოღებისათვისა და დარგობრივი ასოციაციების/პროფესიული ორგანიზაციების აღიარების ეფექტიანი მექანიზმის ასამოქმედებლად;
- გაგრძელდება საქართველოს **სოლიდარობის ფონდის** ფუნქციონირება. ფონდის მიერ მობილიზებული თანხა კვლავ მოხმარდება ფონდის ბენეფიციარების მკურნალობის დაფინანსებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ფონდის მიერ გამოყენებული იქნება მრავალმხრივი წყაროები თანხების მობილიზებისთვის.

3.1.2. სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 92%-ით - 1,7 მილიარდი ლარიდან 3,3 მილიარდ ლარამდე - გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა **სახელმწიფო პენსიის** ოდენობები: 2012 წლისთვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 110 ლარი იყო, ხოლო 2020 წლის იანვრიდან 2-ჯერ მეტით - 220 ლარით განისაზღვრა; 2020 წლის 1-ლი ივლისიდან დამატებით 30 ლარით გაიზარდა და 250 ლარი შეადგინა 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსიამ; 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ასაკით პენსიის მიმღებთა რაოდენობა 762 621 პირს შეადგენდა. 2016 წლის სექტემბრიდან შემოღებულ იქნა პენსიის დანამატი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისთვის და შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს. შესაბამისად, მთაში მცხოვრები საპენსიო ასაკის პირების პენსია 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 220 ლარის ნაცვლად 264 ლარით, ხოლო მთაში მცხოვრები იმ პენსიონერთა პენსია, რომელთა ასაკი 70 წელი და მეტია, 1-ლი ივლისიდან - 300 ლარით განისაზღვრა. 2020 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით, სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა 776 680 პირს შეადგენს, მათ შორის 70 წლის და მეტი ასაკის პირთა რაოდენობა - 411 038-ს. ასაკით პენსიონერების გარდა, დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები, დანამატის ოდენობა სოციალური პაკეტის 20%-ს შეადგენს. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სოციალური პაკეტის დანამატის მიმღები იყო - 13 764 პირი. 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებაც, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ელექტროენერჯის

შეღავათი მიიღო - 80 477-მა აბონენტმა. არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, 2018 წელს დაიწყო **დაგროვებითი საპენსიო რეფორმის** განხორციელება. 2019 წელს, კანონის შესაბამისად, შეიქმნა და წამატებით ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სსიპ - საპენსიო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა უზრუნველყოფს სქემაში მონაწილეთა ფინანსურად უზრუნველყოფილ და ღირსეულ სიბერეს პენსიაზე გასვლის შემდგომ. სოციალური სისტემის მდგრადობისა და დაგროვებითი საპენსიო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, 2020 წელს დამტკიცდა სახელმწიფო პენსიების ინდექსაციის წესი, რომლის შესაბამისად, მომავალში არანაკლებ ინფლაციის მაჩვენებლით გაიზრდება ასაკით პენსიონერთა პენსია, შესაბამისად, ფასების ზრდა გავლენას ვეღარ მოახდენს რეალური პენსიის მოცულობაზე და მის მსყიდველობითუნარიანობაზე; 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის ინფლაციასთან ერთად გათვალისწინებულია რეალური ეკონომიკური ზრდის 80 პროცენტის დამატებაც და მიუხედავად ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პარამეტრებისა, პენსიის ზრდა არ იქნება 20 ლარზე ნაკლები, ხოლო 70 წლისა და უფრო მაღალი ასაკის პენსიონერებისთვის - 25 ლარზე ნაკლები. ინდექსაციის წესის ამოქმედება, მნიშვნელოვანია არა მარტო ასაკით პენსიონერებისთვის, არამედ 40 წლამდე ასაკის და განსაკუთრებით, არსებული და მომდევნო 10-20 წლის განმავლობაში პენსიაზე გამსვლელი მოსახლეობის სოციალური გარანტიების შექმნისთვისაც.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შემლუდვისა და გარდაცვალების გამო გასაცემი **სახელმწიფო კომპენსაციის** ოდენობები. კომპენსაციის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სახელმწიფო პენსიის ოდენობა, პირის სამხედრო/სპეციალური წოდება და შესაბამის ორგანოებში მუშაობის სტაჟი. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები იყო 22 182 პირი, 2013-2019 წლებში სახელმწიფო კომპენსაციებზე განუღებმა ხარჯმა 661 მლნ ლარი შეადგინა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით - **საარსებო შემწეობით**. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის (ბავშვის ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების გამო) და შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასევე, გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის ღონისძიებების დაფინანსება, სპეციფიკური კატეგორიების საყოფაცხოვრებო სუბსიდიებისა და შესაბამისი პირებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა და სხვ. 2013 წლიდან გაორმაგდა საარსებო შემწეობის ოდენობა და განისაზღვრა ერთწევრიანი ოჯახისთვის 60 ლარის, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე - 48 ლარის ოდენობით. 2015 წელს შეიცვალა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, საარსებო შემწეობის ოდენობა და ადმინისტრირების სქემა, კერძოდ: შეფასება ხდება მაქსიმალურად ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შეიცვალა საარსებო შემწეობის ოდენობა და ოჯახებისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულიდან გამომდინარე გაიცემა შესაბამისი ოდენობის შემწეობა.

პროგრამა უფრო მეტად გახდა ორიენტირებული ბავშვების და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე, შემოღებულ იქნა საარსებო შემწეობის დიფერენცირებული სისტემა და ბავშვის ბენეფიტი, რომელიც 2019 წლიდან 10-დან 50 ლარამდე გაიზარდა. 2013-2019 წლებში პროგრამის განხორციელებაზე 5,3 მილიარდი ლარი დაიხარჯა, მათ შორის, საარსებო შემწეობაზე - 1,9 მილიარდი ლარი, ხოლო დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობებზე - 797,7 მლნ ლარი. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის მიმღები იყო 119 582 ოჯახი, 427 373 პირი (მათ შორის, 69 376 პენსიონერი, 31 302 შშმ პირი, 150 213 18 წლამდე ბავშვი). ადამიანის დასაქმება ავტომატურად აღარ არის საარსებო შემწეობის მოხსნის საფუძველი. გატარებული ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვებს შორის უკიდურესი სიღარიბე და ასევე, უკიდურესი, ფარდობითი და ზოგადი სიღარიბე შინამეურნეობებს შორის. საქსტატის ოფიციალური მონაცემებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2012-2019 წლებში 30,0 პროცენტიდან 19.5 პროცენტამდე შემცირდა. ყოველთვიურად გაიცემა **საყოფაცხოვრებო სუბსიდია**

სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, მათ შორის, დახმარების მიმღებია: „ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კატეგორიები, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები, 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული პირები, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები და კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიები. 2013-2019 წლებში დახმარება 203 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო. შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე ყოველთვიურად უზრუნველყოფილია **სოციალური პაკეტით**. 2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად იზრდებოდა სოციალური პაკეტის ოდენობები: 2012 წლისათვის მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა სოციალური პაკეტის ოდენობა განისაზღვრებოდა 100 ლარის, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთა და შშმ ბავშვთა სოციალური პაკეტის ოდენობა - 70 ლარის ოდენობით; 2020 წლიდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა, ასევე, შშმ ბავშვთა სოციალური პაკეტის ოდენობა განისაზღვრა - 220 ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირთა - 140 ლარის ოდენობით. 2020 წლის 1-ლი ივლისიდან მკვეთრად გამოხატული შშმ პირთა, ასევე შშმ ბავშვთა სოციალური პაკეტის ოდენობა განისაზღვრა 250 ლარით. 2020 წლის 1-ლი ივლისის მდგომარეობით, სოციალური პაკეტის მიმღებია 172 552 პირი, მათ შორის, 125 332 შშმ პირი (მათგან, 11 252 შშმ ბავშვი). 2014 წლიდან ხორციელდება **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების** ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ვრცელდება მესამე და მომდევნო ბავშვზე საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლება ფიქსირდება. 2016 წლიდან პროგრამას დაემატა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის ბავშვისთვის დახმარება. პროგრამის ფარგლებში 2014-2019 წლებში დახმარება გაენია - 51 502 პირს. 2019 წლის ივლისიდან, ხორციელდება მრავალშვილიანი მშობლების ელექტროენერჯის სუბსიდირება დადგენილი წესით. 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით მრავალშვილიანი მშობლების ელექტროენერჯის სუბსიდიით 1222 ოჯახმა ისარგებლა. **სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის** მიზნით, ხორციელდება საქართველოში მცხოვრები შშმ პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტმა 2019 წელს 31,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც 1,9-ჯერ აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

დევნილებზე ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, ყოველწლიურად იზრდება. 2013 წლამდე იძულებით გადაადგილებულ პირებს ძალის გამოყენებით ასახლებდნენ და სტანდარტებთან შეუსაბამო ფართობებს მათი ნების საწინააღმდეგოდ უკანონებდნენ. 2013 წლის შემდეგ, დევნილები სრულად არიან დაცული საცხოვრებელი ფართობიდან გამოსახლებისგან. სახელმწიფო ზრუნავს, რომ დაბრუნებამდე დევნილებს უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების პირობები შეუქმნას. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. იმ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს კი, რომლებიც წლების განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში ცხოვრობდნენ, ფართობები უკანონდებათ. 2013 წლიდან, საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამების ფარგლებში საცხოვრებელი ფართობი 21 000-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათ შორის: 10 804 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში სახელმწიფომ სახლი 4117 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართობი, მასში მცხოვრებ 5334 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1542 დევნილი ოჯახი განსახლდება. 2016-2019 წლებში გრძელვადიანი საცხოვრებელი 459 ეკომიგრატი ოჯახი დაკმაყოფილდა. 2017-2019 წლებში 521 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართობები და მიწის ნაკვეთები.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „**შრომის უსაფრთხოების შესახებ**“. კანონით დადგინდა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგში სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო ადგილზე მყოფი სხვა პირების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამოქმედდა შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის

სავალდებულო წესი, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნას და დამსაქმებელთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. შრომის ინსპექტორთა ფუნქცია არ არის მხოლოდ დამდგარი შემთხვევების შესწავლა, მათი უმთავრესი ამოცანა უბედური შემთხვევების პრევენციაა. შრომის ინსპექტირების სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ სანქციების დანერგვაზე, არამედ დამსაქმებელთან პარტნიორულ ურთიერთობაზე. 2020 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი, მხოლოდ **დასაქმების ხელშეწყობაზე** ორიენტირებული უწყება - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელიც მოქალაქეებს სთავაზობს სრულ სერვისს სამუშაო ადგილების მოძიების, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის, პროფესიული უნარების შეფასების, განვითარებისა და სტაბილური დასაქმებისთვის. 2020 წლამდე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების სერვისების მეშვეობით მუშაობა დაიწყო 7000-მდე ადამიანმა, მათ შორის 500-ამდე შშმ პირმა.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრის თვიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებულმა 650001 - 100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებმა, ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად (ერთწევრიანი ოჯახი - 70 ლარი; ორწევრიანი ოჯახი - 90 ლარი; სამი და მეტი წევრის შემთხვევაში თითოეულ წევრზე 35 ლარი). ყოველთვიური დახმარება, თვეში 100 ლარის ოდენობით, განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის, სოციალური პაკეტით განსაზღვრულ დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოყოფილ იქნა 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში. დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დანესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით, 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით. ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით 780 მილიონი ლარი განისაზღვრა.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სილატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- გაგრძელდება **მიზნობრივი პროგრამების** განხორციელება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური სერვისების **გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ხარისხი**, განვითარდება ახალი სერვისები; ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით გაიზრდება სოციალური პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა;
- გაგრძელდება საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს **სახელმწიფო პენსიის** ინდექსაციას ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფს დაბალი გადასახადების პირობებში, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას; ასაკობრივი პენსია ეტაპობრივად არანაკლებ 300 ლარამდე, სხვადასხვა საპენსიო კატეგორიებისთვის - არანაკლებ 400 ლარამდე გაიზრდება;
- გაგრძელდება **დაგროვებითი საპენსიო სისტემის** - საპენსიო ასაკში ღირსეული ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფი მოდელის დანერგვა; ამ მიზნით, განხორციელდება დაგროვებითი საპენსიო სქემის ეფექტიანი მართვა და კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, მონაწილეებისა და მათი მემკვიდრეების ინტერესების შესაბამისად საპენსიო აქტივების განკარგვა;

- გაგრძელდება პირთა სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის მუშაკების და სხვ.) **სახელმწიფო კომპენსაციით** უზრუნველყოფა;
- დაიხვეწება **სოციალურად დაუცველი ოჯახების** სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია და საარსებო შემწეობის გაცემის წესი; შემუშავდება და განხორციელდება შრომისუნარიანი წევრების დასაქმების ნახალისებისა და ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმები;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის (შშმ პირები, შშმ ბავშვები, მარჩენალდაკარგულები და სხვ.) **სოციალური პაკეტის** გაცემა, გაიზრდება სოციალური პაკეტის ოდენობები;
- გაუმჯობესდება **იძულებით გადაადგილებულ პირთა** სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; გაგრძელდება დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების გაცემა;
- განხორციელდება **დემოგრაფიული** მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ღონისძიებები; „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიზნებიდან გამომდინარე, განვითარდება ოჯახის მხარდაჭერი ახალი სერვისები; უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური და ადგილობრივი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირება;
- განხორციელდება **შრომის უსაფრთხოების** ეფექტიანი მექანიზმები; შრომითი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდება შრომითი მედიაციის განვითარება, დაიხვეწება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო; გაძლიერდება და განვითარდება შრომის ინსპექტირების არსებული მექანიზმი; უზრუნველყოფილი იქნება შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- ქმედითი **დასაქმების** პოლიტიკის განხორციელების მიზნით, გაგრძელდება დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებისა და სერვისების განხორციელება, რაც მოიცავს პროფესიული უნარების განვითარებას, მომზადება-გადამზადებას, სტაჟირებას, კონსულტირებასა და კარიერის დაგეგმვას; გაგრძელდება შრომის ბაზრის დეტალური კვლევა, სამუშაოს მაძიებელთა ინფორმაციული დახმარება და სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა მჭიდრო კოორდინაცია;
- „**მაღალმთიანი** რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვლავაც გაიყვამა: პენსიის, სოციალური პაკეტის და სამედიცინო პერსონალისთვის განსაზღვრული დანამატები, ასევე, აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დადგენილი წილი;
- ხელისუფლება გააგრძელებს **დევნილთა** საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. არსებულ განსახლების კრიტერიუმებსა და პროცედურებში ხარვეზების იდენტიფიცირებისა და დახვეწის გზით, განხორციელდება დევნილთა საჭიროებებზე მორგებული განსახლების ახალი პროექტები; გაგრძელდება ნგრევადი ობიექტების იდენტიფიცირება და მათში მცხოვრებ დევნილთა უსაფრთხო ადგილას განსახლება; გაგრძელდება დევნილებისთვის საარსებო წყაროებზე წვდომის, მცირე სამენარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის მხარდაჭერა, ხელი შეეწყობა სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებადი სოციალური პროექტების განხორციელებას; განსახლების პროგრამების მეშვეობით, მომავალ 4 წელიწადში დამატებით 13 000 დევნილ ოჯახს ექნება ღირსეული საცხოვრებელი. 2024 წლამდე, დაგეგმილია დამატებით 1200 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათი ახალ და უსაფრთხო გარემოში გადაყვანის გზით.

3.2. განათლება

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. დამტკიცდა გაეროს მდგრად განვითარების მიზნებთან თავსებადი „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი

სტრატეგია 2017-2021“, რომლის შესაბამისად, განათლება კიდევ ერთხელ აღიარებულ იქნა ქვეყნის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედად, სოციალური კონსოლიდაციის გარანტად და პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელ პირობად. შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიები - საქართველოს მთავრობის სპეციალური საკანონმდებლო ინიციატივით, ცვლილება შევიდა „საბიუჯეტო კოდექსში“, რომლის შესაბამისად, განათლების სფეროს დაფინანსება 2022 წლისთვის არ უნდა იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ზე ნაკლები.

2012 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. სისტემური რეფორმა განხორციელდა **ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების** სფეროში. 2013 წლის შემდეგ საჯარო საბავშვო ბაღები გახდა უფასო და მნიშვნელოვნად, 2,6-ჯერ გაიზარდა ადრეული და სკოლამდელი განათლების დაფინანსება. დაფინანსების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების თანხაც თითოეულ აღსაზრდელზე, ამით გაფართოვდა და გაცილებით სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი.

2015 წლიდან დაიწყო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ძირეული და მასშტაბური რეფორმა, რომლის შემდგომ შესაძლებელი გახდა საგანმანათლებლო ფუნქციების დაბრუნება და გაძლიერება საბავშვო ბაღებში. 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რომელმაც შექმნა მყარი საფუძვლები ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. 2016 წლიდან, პირველად საქართველოს განათლების ისტორიაში, დაიწყო სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელება. პროგრამა უზრუნველყოფს 5-6 წლის ბავშვების სათანადოდ მომზადებას სკოლის პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის და ყველასათვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნას ზოგადი განათლების მისაღებად. განისაზღვრა საგანმანათლებლო, უსაფრთხოების, კვების, ჰიგიენის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალი სტანდარტები.

სისტემური ცვლილებების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლამდელი განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა: ქვეყნის მასშტაბით 41,2%-ით გაიზარდა აღსაზრდელთა რაოდენობა, არსებული 1646 საბავშვო ბაღისა და 57 ალტერნატიული ცენტრის 5 509 ჯგუფში 164 331 ბავშვი - შესაბამისი ასკობრივი ჯგუფის 70% დადის. სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 1 463 ჯგუფში, სადაც 49 865 ბავშვი ირიცხება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს პირველად გაუჩნდათ ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ჩართვის შესაძლებლობა. საბავშვო ბაღებსა და ალტერნატიულ ცენტრებში დასაქმებულია 15 794 აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე.

აქტიურად მიმდინარეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. 2020 წლის ბოლომდე მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დასრულდება 22 საბავშვო ბაღის, ხოლო 2021 წელს, საქართველოს მთავრობისა და დონორების დაფინანსებით - 34 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. სულ, ქვეყნის მასშტაბით, 2021-2024 წლებში დამატებით დაგეგმილია 80-მდე საბავშვო ბაღის აშენება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ რეაბილიტაცია უტარდება 40 საბავშვო ბაღს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, აქტიურად გაგრძელდება რეაბილიტაციის პროექტების განხორციელება 2021-2024 წლებშიც.

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა **ზოგადი განათლების** მიმართულებით. 2012 წლის შემდეგ 113%-ით, 455,6 მლნ ლარიდან 970,8 მლნ ლარამდე გაიზარდა ზოგადი განათლების დაფინანსება. საბაზო განათლების სავალდებულობის, ზოგადი განათლების საყოველთაობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს 2312 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 2086 საჯარო სკოლა, სადაც 547 ათასზე მეტი მოსწავლე სრული სახელმწიფო დაფინანსებით იღებს ზოგად განათლებას. სახელმწიფო დაფინანსებით საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს 534 სამედიცინო კაბინეტი (სკოლის ექიმი) და დასაქმებულია 400-ზე მეტი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და 130-ზე მეტი ფსიქოლოგი. 2012 წლის შემდეგ, ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე, ყოველწლიურად იზრდება ინკლუზიური განათლების ხარისხი და სასწავლო პროცესში ჩართული სსსმ მოსწავლეების რაოდენობა. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დადგენილი აქვს 8195 მოსწავლეს, რომლებიც თავიანთ

შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით არიან უზრუნველყოფილი. 2018 წელს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით სპეციალური მასწავლებელი აღიარებულ იქნა მასწავლებლის ერთ-ერთ სახედ და მის ვალდებულებად სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების საგანმანათლებლო პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა განისაზღვრა. ინკლუზიური ზოგადი განათლების პოლიტიკის განხორციელებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფების ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, კერძოდ: უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასწავლო რესურსებით, უზრუნველყოფილია უწყვეტი მომსახურება დღის ცენტრების ყველა ბენეფიციარისთვის. გაიზარდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ბავშვების რიცხვი (2019 წელს 365 მოსწავლე, 36 ქვეყნიდან), რომლებიც დისტანციურად ეუფლებიან ქართულ ენას; განხორციელდა ათეულობით პროექტი მონყვლადი ჯგუფების (ბოშები, მესხები, შშმ და სსსმ მოსწავლეები) სოციალიზაციის მიზნით.

2012 წლიდან განხორციელდა სკოლების სრული ინტერნეტიზაცია და საქართველოს მასშტაბით 2086 საჯარო სკოლას მიენოდება ინტერნეტი, აქედან 1100 სკოლას - მაღალსიჩქარიანი ბოჭკოვანი არხებით. ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით საჯარო სკოლები, ასევე, სრულად არის უზრუნველყოფილი Microsoft 365-ის სერვისებით. ქვეყანაში მიმდინარე ეპიდემიოლოგიური მოვლენებიდან გამომდინარე, დისტანციური სწავლების უზრუნველყოფის მიზნით, უმოკლეს ვადაში წარმატებით განხორციელდა შესაბამისი ონლაინ პლატფორმის (Microsoft Teams) დანერგვა და დისტანციურ სწავლებაში ჩაერთო 47 656 მასწავლებელი და 401 964 მოსწავლე.

განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად: სახელმძღვანელების (2019 წელს 4 მლნ-ზე მეტი სახელმძღვანელო) და სავარჯიშო რვეულების კომპლექტები ყოველწლიურად უსასყიდლოდ გადაეცემათ ყველა საჯარო სკოლის 550 000-ზე მეტ და კერძო სკოლების სოციალურად დაუცველ, ომში დაღუპული პირების ოჯახების მოსწავლეებს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საოჯახო მეურნეობების დანახარჯები განათლებაზე; 1100 მეტი საჯარო სკოლის 65 000-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილია სატრანსპორტო მომსახურებით; სსიპ - ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ბაზაზე დამატებითი მომსახურების სახით 100-110 მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია პანსიონური მომსახურება; სახელმწიფო სრულად უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგად განათლებას; ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების 3 ათასზე მეტი მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილია ყოველკვარტალური ფინანსური დახმარებით; სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, წარჩინებულ მოსწავლეებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ოლიმპიადებში; 2013-2019 წლებში დაფინანსდა 3 990 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე, მათ შორის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ხელოვნების და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით, ფინანსურად წახალისდა 3500-ზე მეტი მასწავლებელი და 3400-მდე დირექციის/ადმინისტრაციის წარმომადგენელი; 2019 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ორგანიზებულია არაფორმალური განათლების წრეები მათემატიკაში, წიგნიერებასა და ხელოვნებაში, ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ტრანსპორტირებით და კვებით; 2019 წლიდან, თბილისის საჯარო სკოლების 12 000-ზე მეტმა მოსწავლემ და 650-მა მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო მუზეუმების სასწავლო ტურებში, 9590 მოსწავლე და 290 მასწავლებელი დაესწრო 22 სპექტაკლს აკადემიურ თეატრებში, სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეების მუსიკალურ საღამოებზე დასწრება; მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია საზაფხულო თემატური ბანაკები.

უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მასშტაბით 596 სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 1525 მანდატური იცავს, რაც მოსწავლეთა თითქმის 80%-ს ფარავს. იმ სკოლებში, სადაც არ არიან მანდატურები წარმოდგენილი, მანდატურის სამსახურის მიერ სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით გადამზადდნენ სკოლის დირექტორების მიერ დანიშნული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები, რომლებიც აღიჭურვნენ მეტალოდეტექტორებით. მანდატურთა შრომის ანაზღაურება 50%-ით გაიზარდა. ბავშვთა უფლებების დაცვის, მათისაუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მიზნით, დამტკიცდა „ზოგადსაგანმანათლებლო

დანესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. შემუშავდა ბულინგისა და ნივთიერებათა ავადმომხარების პრევენციის პროგრამები და ბენეფიციარებისთვის ფსიქო-სოციალური მომსახურების განვითარების ერთიანი მიდგომები და სტანდარტები. შეიქმნა სკოლებში კრიზისის დროს მობილური ჯგუფის ოპერირების მექანიზმი - კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი. საქართველოს მასშტაბით ყველა მოსწავლეს ემსახურება 10 ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრი, რომლებიც ფარავს ყველა რეგიონს.

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებისა და მასწავლებელთა შრომის ღირსეული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა და განხორციელდა ახალი სახელფასო პოლიტიკა პედაგოგების პროფესიული მიღწევების გათვალისწინებით, კერძოდ: 2012 წელთან შედარებით 65%-ით გაიზარდა მასწავლებლის საბაზო ხელფასი (2012 წელი - 245 ლარი, 2019 წელი - 405 ლარი) და მასწავლებელთა სახელფასო დანამატი მათი სტატუსის შესაბამისად (უფროსის - თითქმის 3-ჯერ, ნამყვანის - 3,4-ჯერ, მენტორის - 3,8-ჯერ). 2018-2019 სასწავლო წელთან შედარებით, საჯარო სკოლაში 2019-2020 სასწავლო წლისთვის 15 000-ით გაიზარდა უფროსი, ნამყვანი და მენტორი მასწავლებლის რაოდენობა და შეადგინა 37 902. 2018 წელს შეიცვალა სპეციალური მასწავლებლის შრომის ანაზღაურების მოდელი და გაიზარდა ანაზღაურების ოდენობა, ასევე, 2019 წლის ოქტომბრიდან, საშუალოდ, 20%-ით გაიზარდა სკოლის დირექციის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სკოლის ექიმისა და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგო. სახელმწიფომ საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს ჯილდო შესთავაზა მათი სისტემიდან გასვლის სანაცვლოდ. მასწავლებლის კარიერული ზრდის ხელშესაწყობად ხორციელდება, მასწავლებლების საჭიროებების შესაბამისად, მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებები და სკოლის დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების პროფესიული განვითარების პროგრამები. ამოქმედდა მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა და მასში ჩართულია დაახლოებით 2300 მაძიებელი. შემუშავდა სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და პროფესიული განვითარების რეგულირების წესი.

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, 2015-2018 სასწავლო წლებში დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის შემუშავდა და დამტკიცდა ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და დაიწყო მისი დანერგვა დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ერთიანი სტრატეგია “ახალი სკოლის მოდელის” სახით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ყველა სკოლაში სასკოლო კულტურის განვითარებასა და საკლასო ოთახის დონეზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. დასახული მიზნების განსახორციელებლად მიმდინარეობს: კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება და წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემის შექმნა. შეიქმნა ერთიანი საგანმანათლებლო ელექტრონული პორტალი (EL.GE), სადაც მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილია სპეციალური სივრცე, გამოყოფილია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით თემატური რესურსები. გარდა ამისა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაკომპლექტდა სკოლების მხარდაჭერი 23 ჯგუფი, რომლებიც შერჩეული სკოლების პედაგოგებთან ითანამშრომლებენ კონკრეტულ სკოლაზე მორგებული საგნობრივი კურიკულუმების შედგენა-დანერგვისა და სასკოლო კულტურის განვითარების მიზნით. საპილოტე რეჟიმში „ახალი სკოლის მოდელის“ საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე დანერგულია სკოლის ელექტრონული ჟურნალი „ონლაინ სკოლა“, 2020-2021 სასწავლო წლიდან იგეგმება ელექტრონული ჟურნალის დანერგვა 400 საჯარო სკოლაში. მიმდინარეობს მუშაობა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალ სტანდარტებსა და პროცედურებზე, რომლებიც საქართველოს ყველა სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს. ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილების საფუძველზე დაიწყო ახალი სახელმძღვანელოების მომზადება, გრძელდება შეფასების სისტემის განვითარება-დახვეწის პროცესი და სახელმძღვანელოების შინაარსობრივი და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა მოსწავლეების ასაკობრივ განვითარებასა და შესაძლებლობებთან. ახალი სახელმძღვანელოები შესულია I-VII კლასებში, 2020-2021 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები შევა VIII კლასში და მომდევნო წლებში ეტაპობრივად

დაიფარება ყველა კლასი. დაიხვეწა სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი, რომელიც 2018 წლიდან მიმდინარეობს ონლაინრეჟიმში, გრიფირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. დაიხვეწა და დამტკიცდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განახლებული წესი და პირობები. გაუქმდა სკოლის გამოსაშვები გამოცდები. მასწავლებელთა გამოცდებს დაემატა ახალი გამოცდა სპეციალური მასწავლებლებისთვის.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და აღჭურვის მიზნით, 2017-2019 წლებში დაიხარჯა 184,0 მლნ ლარი. დასრულდა 34 საჯარო სკოლის, მათ შორის, 19 მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის მშენებლობა, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1200-მდე საჯარო სკოლის შენობას. დაწყებულია 11 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა“ და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა 91 სკოლის სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა. მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები 2 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, დაწყებულია სხვადასხვა სახის 29 ინფრასტრუქტურული პროექტი (რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება). 2019 წლისთვის სრულად ადაპტირებულია საჯარო სკოლების 11%, ნაწილობრივ ადაპტირებული - 40%. შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა საჯარო სკოლების უძრავი ქონების ინვენტარიზაციისა და ამომავლის მონაცემთა ბაზების დამუშავების, შემდგომში ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით. მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ უკვე ყოველწლიურად მიმდინარეობს სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებში 2019-2020 წლებში დამატებით 80 მილიონი ლარით დაფინანსდა 1000-მდე სკოლის მცირე სარემონტო სამუშაოები.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის გასავითარებლად.

2018 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“. პროფესიული განათლება სტრუქტურულად და შინაარსობრივად დაუკავშირდა განათლების სხვა საფეხურებს; პროფესიული განათლების ახალი სისტემა ორიენტირებულია როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებებზე. განათლების საფეხურებს შორის კავშირების უზრუნველსაყოფად, დაიწყო პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების პროცესი. 15-წლიანი წყვეტის შემდეგ, 2020 წელს პროფესიული განათლების სისტემამ პირველად მიიღო სტუდენტები, რომლებსაც პროფესიის შესწავლასთან ერთად სრულ ზოგად განათლებასაც სთავაზობს. პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სკოლის ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს და სურვილის შემთხვევაში, სწავლას უმაღლესი განათლების საფეხურზე გააგრძელებს. კანონის მიღების შემდგომ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებასა და მათი დასაქმების ხელშეწყობას. 2019 წლიდან, საქართველოს ყველა რეგიონში, შეთავაზებულია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები სრული სახელმწიფო დაფინანსებითა და სახელმწიფო სერტიფიცირებით. პროგრამების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული კომპანიები, დარგობრივი ასოციაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 5,3-ჯერ გაიზარდა პროფესიული განათლების დაფინანსება. სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ განათლებას სახელმწიფო სასწავლებლებში. 2019 წელს დამტკიცდა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა ფარგლებში შესაძლებელი გახდა სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. გაიზარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (ევროკავშირის წარმომადგენლობა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა, გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოება, აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი, კარგი მმართველობის ფონდი, ბრიტანეთის მთავრობა და სხვ.) მხარდაჭერაც რეფორმის პრიორიტეტების განხორციელებისთვის. შემუშავდა დაფინანსების ახალი მოდელი და დაიწყო მუშაობა მისი დანერგვისათვის. დაწყებულია მუშაობა კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებზე, მათ შორის, სწავლის პროცესში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების რეალიზების წესზე.

გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ 91 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად 10 000-მდე პროფესიული სტუდენტი, მათ შორის, ინკლუზიური განათლების დაწესებულების შედეგად 200-მდე სსსმ პირი ირიცხება. 2013 წლიდან, პროფესიული განათლების მიღება შეძლო 60 ათასზე მეტმა პირმა. 2014 წლიდან პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრებისთვის, შედეგად, დაახლოებით 4000 მსჯავრდებული ჩაერთო პროფესიული მომზადების პროგრამებში. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და დამსაქმებელთა უშუალო მონაწილეობით, შემუშავდა და დაინერგა კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზებისა და კერძო სექტორის ჩართულობის შედეგად, მკვეთრად გაიზარდა კურსდამთავრებულთა დასაქმების (2013წ. - 33%, 2019წ. - 62%), ასევე თვითდასაქმების (2016 წ. - 8%, 2019 წ. - 11%) მაჩვენებლები. 2016 წლიდან დაიწყო დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) პროგრამების განვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა დამსაქმებლის სრულფასოვანი მონაწილეობა მომავალი სამუშაო ძალის მომზადების პროცესში. მეღვინეობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტურიზმის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროებში, 50 კომპანიის ჩართულობით, დაწესებულება 30-მდე დასახელების დუალური საგანმანათლებლო პროგრამა. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარების მიზნით, დაფინანსდა საჯარო სკოლების მოსწავლეების პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული 900-ზე მეტი საორიენტაციო და 40 სასერტიფიკატო კურსი, რომელშიც ჩაერთო 10 000-ზე მეტი მოსწავლე.

2019 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შემუშავდა პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალი მოდელი, რომელიც ეფუძნება კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის პასუხისმგებლობის გაზიარებას და ითვალისწინებს სისტემის მართვას საჯარო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე, სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას.

პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, არაერთი ნაბიჯი გადაიდგა: მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში, რაც პროფესიული განათლების სისტემას კიდევ უფრო დაახლოებს ევროპულ სივრცესთან; შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები, დადგინდა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მოქნილი და განვითარებაზე ორიენტირებული ოთხდონიანი სისტემა; დამტკიცდა ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომლის ამოქმედებით შეიქმნა შესაძლებლობა, დაიწყოს ერთობლივი გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მომზადდეს კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; განახლდა და დამტკიცდა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი.

რეფორმის პროცესში აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესაძლებლობების გაუმჯობესება პედაგოგიური უნარების, სტუდენტთა შეფასების ახალი მიდგომების და ინკლუზიური სწავლების მიმართულებით. გაიზარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ერთი საათის (საბაზო) ანაზღაურება: 2019 წელს - 11 ლარამდე, 2020 წლიდან - 15 ლარამდე. გაზრდილი ანაზღაურების პირობებში, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ბიზნესსექტორიდან პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევა, რაც აუმჯობესებს სწავლების ხარისხს. დაწყებულია მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალ მოდელზე და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ახალ სქემაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული მასწავლებლების მოტივაციის ზრდას და სისტემაში ახალი კადრების მოზიდვას.

2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 74 მლნ ლარი. დაფუძნდა 7 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 10 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩაუტარდა სრული

სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). მოდულური პროფესიული პროგრამების მოთხოვნების გათვალისწინებით, აღიჭურვა ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და აქტიურად გაგრძელდა სახელოსნოების მშენებლობა პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობისთვის. 2020 წელს სტუდენტებს პირველად მიიღეს 2 ახალი სასწავლებელი კასპსა და შუახევში. მიმდინარეობს სამუშაოები დამატებით 5 მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/ფილიალის მშენებლობის მიმართულებით და მოსამზადებელი სამუშაოები „ექსელენს ცენტრის“ განვითარებისთვის, რომელიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებს. გეოგრაფიული დაფარვის გასაუმჯობესებლად, ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებისთვის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არ ფუნქციონირებს პროფესიული სასწავლებელი. ამ მიზნით, გათვალისწინებულია, სულ მცირე, 20 სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მიმდინარეობს კვლევა სამ მუნიციპალიტეტში „საგანმანათლებლო ჰაბის“ განვითარების მიმართულებით, - თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო დაწესებულების, მომავლის უნარებისა და პროფესიების შესწავლის შესაძლებლობის შესაქმნელად.

2012 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად, 2,1-ჯერ, გაიზარდა უმაღლესი განათლების დაფინანსება. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით: სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტის სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამების ფარგლებში ყოველწლიურად ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურებზე (პროგრამების წლიური ბიუჯეტი - 2 725 000 ლარი); დაფინანსდება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (პროგრამების წლიური ბიუჯეტი - 285 000 ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი - 4 834 500 ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი - 4 100 000 ლარი); დაფინანსდება მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პროგრამის ბიუჯეტი - 20 000 ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და 2014-2019 წლების განმავლობაში 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის, რომელთა ნაწილი უკვე დაბრუნდა და მიღებული ცოდნის რეალიზებას საქართველოში განაგრძობს. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

განხორციელდა უნიკალური აკადემიური პროექტი - დაფუძნდა და 2020 წლის სექტემბერში პირველი ნაკადის სტუდენტებს მიიღეს ქუთაისის საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობა ფონდი “ქართუს” ფინანსური კონტრიბუციით ხორციელდება და პროექტის ჯამური ღირებულება 1 მილიარდ ლარს შეადგენს. პროექტის სრულად დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტი გააერთიანებს სტუდენტებს და მკვლევრებს რეგიონიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, დასავლეთ ევროპიდან და აშშ-დან. უნივერსიტეტი სრულად უზრუნველყოფს სტუდენტურ გრანტებს მონყვლადი ჯგუფებისთვის.

ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და რეკომენდაციების (ESG 2015) შესაბამისად, დაიხვეწა და ევროპულ სისტემებთან შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები. გატარებული რეფორმის შედეგად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) სრულიწევრი და დარეგისტრირდა ევროპულ რეესტრში (EQAR). ცენტრმა მოიპოვა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში მოქმედი სამედიცინო პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების საერთაშორისო დონეზე აღიარებას. განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად, შეფასდა 45 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 400 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, 95 პროგრამის აკრედიტაციის პროცესი განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. 2017 წლიდან დაიწყო პროგრამის “ვისწავლოთ საქართველოში” განხორციელება. შედეგად, საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად მოზიდული უცხოელი სტუდენტების რაოდენობამ 15 ათას სტუდენტს გადააჭარბა. საქართველო Erasmus+ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მონაწილე ქვეყანაა, პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულშია სხვადასხვა ქვეპროგრამაში მიღებული დაფინანსებისა და გამოყოფილი სასტიპენდიო ადგილების მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში ქართული უნივერსიტეტებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით განხორციელდა ინსტიტუციური თანამშრომლობის 37 და ჟან მონეს 24 პროექტი, შვიდი ქართული უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობს Erasmus Mundus Joint Master Degree რვა პროგრამაში, განხორციელდა 7480 მოკლევადიანი საერთაშორისო მობილობა (2019), 139 სტიპენდიანტი სწავლობს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე. ქართული უნივერსიტეტები თანამშრომლობენ ევროპის ყველა ქვეყანასთან და დაამყარეს კონტაქტები აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის პარტნიორებთან. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD) თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, მხარეთა თანადაფინანსებით სწავლა გააგრძელონ გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სადოქტორო პროგრამებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 2016 წლიდან დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა 40 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, მათ შორის, დაფინანსდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორცაა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (25 მლნ ლარი).

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მასში დასაქმებულ მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი. ამ ფორმით ქვეყანაში სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუტი.

2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით დარეგულირდა სამეცნიერო თანამდებობებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სტატუსი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. დასრულდა საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციას, დაიბრუნოს მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო რენომე და რეგიონში გახდეს ასტროფიზიკის წამყვანი ცენტრი.

მეცნიერების განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით, 2013-2020 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ადმინისტრირებული სახელმწიფო საგრანტო კონკურსების ფარგლებში, 269 085 168 ლარის მოცულობით, 3158 საგრანტო პროექტი დაფინანსდა. 2019 წელს ჩატარდა 14 ეროვნული და 8 ბილატერალური კონკურსი, რომელთა წარმატების ინდექსი 23,5 პროცენტია. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მოხდა ახალი კონკურსების ადმინისტრირება: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების, ასევე, საქართველოს ოკუპირებულ და საზღვრისპირა რეგიონებში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიზნით. ფონდის მიერ, ყოველწლიურად ცხადდება 20-მდე საკონკურსო პროგრამა სხვადასხვა

პრიორიტეტულ სფეროში. 2016-2019 წლებში დაფინანსდა: 1472 ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევითი პროექტი, მათ შორის, ფუნდამენტური კვლევები - 319, გამოყენებითი კვლევები - 34, ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები - 115, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტები - 342 პროექტი; საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებისა და ოკუპირებული ტერიტორიების სამეცნიერო-კვლევით საგრანტო კონკურსების ფარგლებში - 400-მდე სამეცნიერო პროექტი და 79 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება; მეცნიერების პოპულარიზაციის საგრანტო კონკურსის ფარგლებში - 80-მდე პროექტი; უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ მეცნიერ თანამემამულეთა ქართულ სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების მიზნით - 21 კვლევითი პროექტი; ახალგაზრდა მკვლევრების მეცნიერებაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით - 524 ახალგაზრდა მეცნიერი, უცხოეთში სამეცნიერო კვლევითი სტაჟირებისათვის - 12 სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა. სამეცნიერო წარმატებებისათვის გაიცა სახელობითი სტიპენდიები. შეიქმნა გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამის კონკურსი, რომლის მიზნია სამეცნიერო-აკადემიური სექტორისა და კერძო სექტორის ერთობლივი კვლევების ხელშეწყობა. ამოქმედდა გრანტების მართვის ერთიანი სისტემა (GMUS). სწავლების პროცესში მეცნიერების ინტეგრაციისა და მეცნიერებაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით, საგრანტო დებულებებით, დაწესდა კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენების ვალდებულება და განისაზღვრა კომერციალიზაციისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვის წამახალისებელი პირობები. თანამედროვე ევროპული მიდგომების დანერგვისა და შეფასების მეტი ობიექტურობისა და ხარისხის მიღწევის მიზნით, 2019 წელს ფუნდამენტური კვლევების კონკურსის ფარგლებში შემოსული პროექტების შეფასება მოხდა ექსპერტთა ჯგუფის (პანელის) მიერ.

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, წარმატებით ხორციელდება სამინისტროსა და სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლობა კვლევით და საგანმანათლებლო საერთაშორისო ორგანიზაციებთან (CERN, DUBNA, JULICH CENTER, DAAD, CNR, CNRS და სხვ.). საქართველოს მეცნიერება რეალურად გახდა ევროპის სამეცნიერო სივრცის ნაწილი. მნიშვნელოვანი წარმატება აქვთ ქართველ მეცნიერებს „ჰორიზონტი-2020“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში. საქართველოს მონაწილეობით წარდგენილი საპროექტო წინადადებებიდან დაფინანსდა 40 პროექტი, სულ 5 177 880 ევროს ოდენობით. ქართველი მკვლევრები ჩაერთვნენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული ასოციაციის COST-ის კავშირების დამყარების ხელშეწყობის ინსტრუმენტების (COST Actions) 22 აქციაში.

ევროკავშირის საგარეო დახმარების ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის (ENPI)-ის ფარგლებში, 2019 წლის დასაწყისში, საქართველოსთვის დაიწყო 1.5 მლნ ევროს ბიუჯეტის მქონე პროექტის „მკვლევართა მობილობის პროგრამის“ განხორციელება. ამოქმედდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „Twinning“ პროექტი (ბიუჯეტი შეადგენს 1 300 000 ევროს), რომელიც ითვალისწინებს კვლევასა და კერძო სექტორს შორის უკვე არსებული კოლაბორაციის განმტკიცებას და ასევე, მხარეებს შორის თანამშრომლობის ახალი სქემების შემუშავებას და გრძელვადიან პარტნიორობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2019 წელს გაიხსნა და დროის მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონალურმა საგანმანათლებლო კვლევითმა ცენტრმა“, რომელიც მეცნიერებათა ევროპული აკადემიის რეგიონალური ცენტრების ქსელის პირველ ხუთეულშია. სამინისტროსა და იულისის კვლევით ცენტრს (FZJ) შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის „ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდი“ (GGSB) ფარგლებში საქართველოსა და გერმანიას შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის განვითარებას ითვალისწინებს. საქართველო განეწინააღმდეგა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ევროპულ ორგანიზაციასა (EURAXESS) და ევროპულ მკვლევართა ასოციაციაში (EUROSCIENCE). სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ფინანსური კონტრიბუციის განხორციელების ხარჯზე, მიღწეულ იქნა საქართველოს მეცნიერების სრული წვდომის შესაძლებლობა უმსხვილეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაზე - ELSEVIER-ზე.

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, 2015 წელს პირველად ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული, ხოლო 2016 წლიდან ყოველწლიურად იმართებამეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი. ფესტივალის მიზანია სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის,

ასევე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოება. მეცნიერების ფართო საზოგადოებაში პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის HORIZON 2020 მარი სკლოდოვსკა-კიურის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსზე „ევროპელ მკვლევართა ღამე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარდგენილმა პროექტმა “CAPTAIN: Science is the Captain” გაიმარჯვა და 197 500 ევროს ღირებულების გრანტი მოიპოვა.

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2017-2019 წლებში დაფინანსდა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (0,5 მლნ ლარი) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (11,4 მლნ ლარი) ინფრასტრუქტურული პროექტები.

მეცნიერების სფეროში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემებით, 2012 წელთან შედარებით 10-ჯერ გაიზარდა საქართველოს სახელით და/ან საქართველოს მეცნიერთა თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა (SCOPUS-ის მიხედვით) საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ წარმატებით დაძლია განათლების და მეცნიერების სისტემაში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული პრობლემები და დისტანციური სწავლებით უზრუნველყო განათლების ხელმისაწვდომობა და სწავლის შედეგების მიღწევა ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების საფეხურებზე. სისტემის ყველა თანამშრომლისა და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იყო როგორც სპეციალური ელექტრონული პლატფორმები, ისე ელექტრონული რესურსები. ამასთანავე, მოსწავლეთა მხარდაჭერა მიმდინარეობდა სხვა ალტერნატიული გზებით - ტელე/ვიდეოგაკვეთილები, სატელეფონო კომუნიკაცია, კონსულტაციები, კომპლექსური დავალებები და საპროექტო სამუშაოები. ჩამოყალიბდა 17 დარგობრივი ქსელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების დისტანციურ რეჟიმში მისაწოდებლად. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სასწავლო პროცესი განხორციელა ძირითადად დისტანციურ რეჟიმში, სინქრონული და ასინქრონული მეთოდებით, შეიმუშავა ელექტრონული სწავლების შერჩეული აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებული ინსტრუქცია/ვიდეოგამკვლევები და უზრუნველყო სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინა სასწავლო გეგმების, სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემების მოდიფიცირება. სტუდენტები სრულად იყვნენ უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო/საბიბლიოთეკო რესურსებით. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტებისთვის, რომლებმაც პანდემიის გამო ვერ მოახერხეს საკუთარ საცხოვრებელში დაბრუნება, შემუშავდა ერთჯერადი დახმარების პროგრამა 150 ლარის ოდენობით. 2020 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პირებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის საფასურის დაფინანსებას. სამეცნიერო დაწესებულებების ნაწილი აქტიურად ჩაერთო COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებებისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებაში. დისტანციური სწავლების ფორმატით განხორციელდა მომზადება-გადამზადების პროგრამების ნაწილიც. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შექმნა სპეციალური მექანიზმები ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების დისტანციურ რეჟიმში განსახორციელებლად. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეფასდა.

განათლება და მეცნიერება

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების - განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება რეფორმის მომდევნო, მრავალმხრივი ეტაპი. დაგეგმილია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად,

ბავშვების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამომუშავებასთან ერთად, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას უზრუნველყოფს. ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი წინაპირობა ადამიანური კაპიტალის განვითარებაა.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

- საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება კვლავაც იქნება **უფასო**;
- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები გარდაიქმნება **სკოლამდელი განათლების** დაწესებულებებად, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი - აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება **სასკოლო მზაობის** ცენტრების გახსნის მხარდაჭერა, შემუშავდება და განხორციელდება “სკოლა-ბაღის” კონცეფციის სტანდარტი;
- განისაზღვრება სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა **შრომის ანაზღაურება**, გაგრძელდება დასაქმებულთა **კვალიფიკაციის ამაღლების** ხელშემწყობი ღონისძიებები; დაიწყება სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვის ხელშემწყობი ღონისძიებები;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება საჯარო დაწესებულების **მონიტორინგი**. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე გადამუშავდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ყველა რაიონში განხორციელდება სახელმწიფო ენის სწავლება **ბილინგვური მოდელით**, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო მზაობის გაუმჯობესებას, ხარისხიან საგანმანათლებლო პროცესს ზოგადი განათლების საფეხურზე და გრძელვადიან პერსპექტივაში, საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი მოსახლეობის საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას;
- უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლებიდან ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე ტრანზიციის ხელშემწყობი ღონისძიებები ყველა ბავშვისთვის;
- შეიქმნება 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების სტატისტიკური მონაცემების ამსახველი ინტეგრირებული **ელექტრონული სისტემა**;
- დასრულდება ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 50-ზე მეტი საბავშვო ბაღის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გაგრძელდება ახალი საბავშვო ბაღების დაფუძნება, განხორციელდება არსებული **ინფრასტრუქტურის** განვითარების პროექტები.

ზოგადი განათლება

- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება**; გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად; 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება სამინისტროს მიერ დაფუძნებული/რეორგანიზებული საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაცია;

- შემუშავდება და დაინერგება **სკოლების მართვისა** და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები;
- გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული **ეროვნული სასწავლო გეგმებისა** და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება, გადამუშავდება საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; დაინერგება ფართომასშტაბიანი სასკოლო შეფასების სისტემა; დაიწყება ელექტრონული რესურსების განვითარება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები, განხორციელდება სკოლაში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებისა და განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- გაგრძელდება ახალი **სახელმძღვანელოების** შექმნის პროცესი გრიფირების განახლებული პროცედურებით;
- მთელი საქართველოს მასშტაბით აქტიურად დაინერგება და განვითარდება **ინკლუზიური განათლების** კომპონენტები სსსმ/შშმ პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- ფართო მასშტაბით დაინერგება ბილინგვური სწავლების განსხვავებული მოდელი **არაქართულენოვანი სკოლების** მოსწავლეებში; 2020-2021 სასწავლო წლიდან დაიწყება პროგრამის პილოტირება;
- განისაზღვრება **განათლების მიღმა დარჩენილი** პირების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის პოლიტიკა, მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული კურიკულუმი;
- **დიასპორის წარმომადგენლებისთვის** ხელმისაწვდომი იქნება ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსი; ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- სკოლაში **უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის** დაცვის მიზნით, შეიქმნება პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე, ფსიქო-სოციალური მომსახურების მიღების მოქნილი და შედეგებზე ორიენტირებული მექანიზმები, გაიზრდება მანდატურის სამსახურის მომსახურებით მოსარგებლე საჯარო სკოლების რაოდენობა, განხორციელდება მანდატურების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების, ასევე, უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების გადამზადების პროგრამები;
- შემუშავდება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესი, განხორციელდება **მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების** ღონისძიებები მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად;
- გაგრძელდება სასკოლო **ინფრასტრუქტურის** განვითარება. დასრულდება სრულად ადაპტირებული 80 ახალი სკოლის მშენებლობა და 850-მდე საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. განხორციელდება 91 ავარიული საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაცია სსსმ მოსწავლეებისათვის საჭირო გარემოს შექმნის მოთხოვნების გათვალისწინებით; 2021-2024 წლებში დაგეგმილია საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით 600 მილიონი ლარის ღირებულების 200-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა, მათ შორის, 2021-2022 წლებში დასრულდება 26 სკოლის მშენებლობა, 80 სკოლის რეაბილიტაცია და 11 სკოლის ენერგოეფექტური კომპონენტის გაძლიერება.
- უზრუნველყოფილი იქნება საჯარო **სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის** ფუნქციის წარმატებული განხორციელება.
- ეტაპობრივად დაიხვეწება სწავლების **დისტანციური და ჰიბრიდული მეთოდოლოგია**.

პროფესიული განათლება

- გაიზრდება პროფესიული განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება**, ამოქმედდება პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელი;
- შემუშავდება პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების 2021 და შემდგომი წლების **გრძელვადიანი სტრატეგია** და შესაბამისი სამოქმედო გეგმები;
- შეიქმნება **კოლეჯების** შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმი, - კერძო სექტორთან თანამშრომლობით დაფუძნდება **პროფესიული განათლების განვითარების სააგენტო**, რომელიც კერძო-საჯარო პარტნიორობაზე დაფუძნებით უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას;
- გაძლიერდება **დარგობრივი გაერთიანებებისა და კერძო სექტორის** როლი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა**, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მონყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- დამტკიცდება **პროფესიული განათლების მასწავლებლის** პროფესიული სტანდარტი და მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული **შრომის ანაზღაურების** ახალი სქემა;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- გაიზრდება დუალური და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების **პროგრამების** რაოდენობა, რის საფუძველზეც გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა (65%-მდე) და მომზადება-გადამზადების მონაწილეთა (70%-მდე) დასაქმების მაჩვენებელი; განისაზღვრება მოკლე ციკლის პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩო, დაიწყება მათი დანერგვა და სტუდენტთა მიღება პროგრამებზე; გაიზრდება ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბები;
- დაიწყება **არაფორმალური განათლების აღიარება** და გაფართოვდება აღიარების მასშტაბები;
- პროფესიული განათლების სისტემის **ინტერნაციონალიზაციის** მიზნით, შეიქმნება საერთაშორისო სერტიფიცირების შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად და ინგლისური ენის სწავლების გასაძლიერებლად;
- დაინერგება პროფესიული განათლების **მართვის ელექტრონული სისტემა**; შეიქმნება პროფესიული განათლების საინფორმაციო პორტალი;
- **ინფრასტრუქტურის** განვითარების მიზნით ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელდება: 2020 წელს - 3 პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, 2021-2024 წლებში - 6 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა, 2 საერთო საცხოვრებლის განვითარება, 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაცია. საჭიროების შესაბამისად, გაგრძელდება ახალი პროფესიული სასწავლებლების დაფუძნება. განხორციელდება ღონისძიებები არსებული გეოგრაფიული ქსელის საჯარო-კერძო ფორმატში გაფართოების მიზნით.

უმაღლესი განათლება

- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება**;
- შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც

ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;

- განხორციელდება **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების **შეფასების ერთიანი კონცეფცია**;
- სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყობა უმაღლესი საგანმანათლებლო **პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის** მოპოვებას.
- გაგრძელდება პროგრამა **“ვისწავლოთ საქართველოში”**;
- **ხელმისაწვდომობის** გაზრდის მიზნით: გაგრძელდება მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსება, ამოქმედდება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები, გაგრძელდება სკოლისშემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის, გაგრძელდება მსჯავრდადებულის მიერ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების მიღების ხელშეწყობის ღონისძიებები.
- გაფართოვდება **ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის** საგანმანათლებლო პროგრამები, გაძლიერდება საერთაშორისო თანამშრომლობა, ხელი შეეწყობა უცხოელი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მობილიზებას, ფონდი „ქართუს“ მიერ სტუდენტური გრანტები მონაცვლადი ჯგუფებისთვის სრულად იქნება უზრუნველყოფილი;
- საქართველო მომზადდება **Erasmus+** პროგრამულ ქვეყნად, რის შედეგადაც, გარდა უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის კომპონენტებისა, საქართველოს გაეხსნება ნვდომა პროგრამის ყველა კომპონენტზე;
- გაგრძელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება **ინფრასტრუქტურის** და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

მეცნიერება

- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა;
- გაიზრდება მეცნიერების სახელმწიფო **დაფინანსება**; დაინერგება მეცნიერების შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი;
- ხელისუფლება იზრუნებს **მეცნიერებისა და მკვლევარების პრესტიჟის** ამაღლებაზე;
- კანონის შესაბამისად, სამეცნიერო შედეგების კვალობაზე, გაიზრდება მეცნიერ-თანამშრომელთა **შრომის ანაზღაურება**;
- განხორციელდება **მკვლევართა ახალგაზრდა თაობების** მოზიდვის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- **ქართველ მკვლევართა ყველა თაობის გადამზადების**, მათთვის ახალი ცოდნის მიწოდების, ახალი კომპეტენციების გამომუშავების, მათი თანამედროვე გლობალურ სამეცნიერო სივრცეში უკეთ ორგანიზების მიზნით, განხორციელდება პროექტი - **„მეცნიერების მენეჯმენტის სკოლა“**;
- დაიხვეწება მეცნიერების **მართვის სისტემა**, სახელმწიფო განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებისთვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტებს და იზრუნებს საქართველოში მოქმედი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუციების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე;

- ჩამოყალიბდება მეცნიერმზომელობის - ხარისხის მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზომვის ეფექტური მოდელი;
- გაგრძელდება **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების** სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;
 - დაინერგება **რეფერირების** საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკა და ნორმები;
 - თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებს თანამედროვე სტანდარტებით უზრუნველყოფილი **სამეცნიერო ქალაქი**, სადაც განთავსდება სფეროს ყველა სათავო დაწესებულება;
 - შეიქმნება **ეროვნული სამეცნიერო პორტალი**;
 - გაიზრდება სახელმწიფოს დაფინანსებით სამეცნიერო **საგრანტო კონკურსების** რაოდენობა;
 - გაძლიერდება **STEM-ის მიმართულებით** ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა;
 - გაძლიერდება **საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების** მხარდაჭერა;
 - ხელი შეეწყობა **საზღვარგარეთ მოღვაწე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის** ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობას;
 - **ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ადრონული თერაპიის ცენტრი** ჩამოყალიბდება როგორც უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტის მქონე მეცნიერებისა და განათლების კერა;
 - ხელი შეეწყობა **საერთაშორისო ჩარჩო პროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში** სამეცნიერო ინსტიტუციებისა და კვლევითი ჯგუფების აქტიურ ჩართულობას და ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას, შეიქმნება შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები; ხელი შეეწყობა ქართველი მკვლევარების ჩართულობას ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის „**Horizon Europe**“-ის საგრანტო კონკურსებში;
 - **მეცნიერების პოპულარიზაციის** მიზნით, განხორციელდება საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები და ჩატარდება საგრანტო კონკურსები;
 - მხარდაჭერილი იქნება საუნივერსიტეტო **სივრცეში საგრანტო ოფისებისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის** ოფისების დაფუძნება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით;
 - **ცოდნის ეკონომიკის განვითარების** მიზნით, შეიქმნება „მეცნიერების კომერციალიზაციის ცენტრი“ და ამოქმედდება „სამეცნიერო ინოვაციების ბროკერების“ ქსელი;
 - გაუმჯობესდება **სამეცნიერო ინფრასტრუქტურა** და მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს.

3.3 კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა

2012 წლის შემდეგ, **კულტურისა და ძეგლთა დაცვის** სფეროს დაფინანსება 41,6%-ით, 159,3 მილიონი ლარიდან 225,5 მილიონ ლარამდე გაიზარდა. იუნესკოს მიერ დადგენილი ინდიკატორების შესაბამისად, 2016 წლის ბოლოს ჩატარებული კვლევის თანახმად, კულტურული აქტივობების წვლილმა ქვეყნის ეკონომიკაში - 2,7%, ხოლო კულტურის სფეროში დასაქმებამ 5,2% შეადგინა, რაც უტოლდება ევროპის საშუალო მაჩვენებელს. 2019 წლიდან ამოქმედდა კულტურის სფეროს დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმი - სახელოვნებო პროექტების ხელშეწყობა თემატური კონკურსების გზით, რის შედეგადაც გაიზარდა კულტურის სფეროში დასაქმებულ პირთა და დაფინანსებულ ორგანიზაციათა რაოდენობა; 2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელოვნებო ორგანიზაციების სახელოვნებო პოლიტიკის ეტაპობრივი გაუმჯობესების ღონისძიებები საბაზისო დაფინანსების განსასაზღვრად. 2020 წელს, რეფორმის პირველ ეტაპზე, მუზეუმებისა და პროფესიული თეატრების თანამშრომლებს შრომის ანაზღაურება, საშუალოდ, 100 ლარით გაეზარდათ.

ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა კულტურის სფეროს მართვის ეფექტურობის გასაზრდელად: პირველად ქვეყნის ისტორიაში, შემუშავდა და დამტკიცდა კულტურის სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების შიდაუნეებრივი, უწყებათაშორისი და რეგიონული სამოქმედო გეგმები, განხორციელდა მათი შესრულების მონიტორინგი; შემუშავდა „კულტურული დიპლომატიის სტრატეგია და 2018 წლის სამოქმედო გეგმა“; მომზადდა „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტი, სამოქმედო გეგმები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით. გაიზარდა ფართო საზოგადოებისათვის კულტურის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები, მათ შორის: აქტიურად მიმდინარეობს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, შშმ პირთა შემოქმედებითი უნარების განვითარების, მაღალმთიანი რეგიონებისათვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის და საქართველოს რეგიონებში არსებულ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობისთვის კულტურის ხელმისაწვდომობის პროგრამები; 2016-2020 წლებში, აღნიშნული მიმართულებით 800-მდე პროექტი და ღონისძიება განხორციელდა. ყოველწლიურად, თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში იმართება 6 თეატრალური, 2 ფოლკლორული, 9 კინოფესტივალი და 15 მუსიკალური კონკურსი/ფესტივალი. თანამედროვე ხელოვნების განვითარების მიმართულებით ყოველწლიურად თბილისსა და რეგიონებში 20-მდე პროექტი ხორციელდება. 2017-2019 წლებში, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, განხორციელდა 2000-ზე მეტი ღონისძიება, 90-ზე მეტი საგანმანათლებლო პროექტი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის; საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობების ფარგლებში 27 მუნიციპალიტეტში ამოქმედდა სალოტბარო სკოლები, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდობა უფასოდ სწავლობს ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან გალობას, ხალხურ სიმღერას, ცეკვასა და ხალხურ საკრავებს. სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი 29 პროფესიული თეატრის მიერ 2013-2020 წლებში გაიმართა 18 428 სპექტაკლი, მათ შორის: 600-ზე მეტი პრემიერა, 1500-მდე გასვლითი და საგასტროლო სპექტაკლი, 200-მდე საქველმოქმედო სპექტაკლი, რომლებსაც 3 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

სახელოვნებო განათლების მიმართულებით: განხორციელდა 200-ზე მეტი პროექტი. 20-ზე მეტი სტუდენტის აკადემიურ პროგრამებზე სწავლება დაფინანსდა უცხოეთის მაღალრეიტინგულ სახელოვნებო სასწავლებლებში. 2013-2020 წლებში მოსწავლეების, სტუდენტების, პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის პროგრამით რვაასამდე ფიზიკურმა პირმა, სხვადასხვა შემოქმედებითმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში (ფესტივალი, კონკურსი, ტრენინგი, სემინარი, ვორქშოფი, მასტერკლასი და სხვ.) აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ფინეთში და სხვ. განხორციელდა უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი სასწავლებლების სტუდენტების დაფინანსება სამაგისტრო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ხელი შეეწყო სკოლისგარეშე და უმაღლესი სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ტრადიციულად დამკვიდრებულ საერთაშორისო პროექტებს. 2018 წელს, პირველად განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლების სტუდენტებისთვის. 2019 წლიდან ხორციელდება უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერი პროექტები, რომლებიც საგანმანათლებლო რესურსის მომზადებას და მასშტაბურ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების გამართვას ისახავს მიზნად. 2019-2020 წლებში, სახელოვნებო განათლების და შემოქმედებითი კვლევების მიმართულებით ახალი, მცირე გრანტების საკონკურსო პროგრამა შემუშავდა, რომლის ფარგლებში 20-ზე მეტმა პროექტმა მოიპოვა გრანტი. უახლესი აპარატურით აღიჭურვა და კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით საუნივერსიტეტო მაუწყებლობას განახორციელებს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზია - TAFU TV.

მოსახლეობის ფართო ფენებში კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სამინისტრო ხელს უწყობს ხელოვნების სხვადასხვა დარგში (თეატრი, მუსიკა, კინო, ლიტერატურა, ქორეოგრაფია, ფოლკლორი და სხვ.) წელიწადში არანაკლებ 240 პროექტის, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, მათ შორის: გამოფენებს ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საჯარო ლექციებს, შეხვედრებს, საიუბილეო საღამოებს საერთაშორისო კონფერენციებს და სხვ. ქვეყნის მასშტაბით, ყოველწლიურად ფართოდ აღინიშნება

ევროპის მემკვიდრეობის დღეები. აქცია „ღამე მუზეუმში“, რომლის ფარგლებში 2019 წელს ქვეყნის 40 მუნიციპალიტეტის 121 მუზეუმში ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების 426 ღონისძიება. 2014 წლიდან ხორციელდება პროექტი „კინო სკოლაში“, რომელმაც საქართველოს რეგიონების 600 სკოლა მოიცვა. პროექტის არსებობის განმავლობაში დღემდე სულ გაიმართა ქართული და უცხოური ფილმების 16 000-მდე ჩვენება-დისკუსია. სახელმწიფოს ხელშეწყობით დედაქალაქსა და რეგიონებში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს 50-ზე მეტი საერთაშორისო და ეროვნული ფესტივალი. 2020 წელს ეროვნულმა კინოცენტრმა საზოგადოებას წარუდგინა კინოსაგანმანათლებლო ონლაინპლატფორმა, რომელიც ევროკავშირის პროგრამის – „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით შეიქმნა. გრძელდება საქმიანობა კულტურული დიპლომატიის მიმართულებით. მოხდა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს შორის კულტურის სფეროში შეთანხმების პარაფირება. უცხოეთში ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიმართულებით, აღსანიშნავია მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ქართული ენის ჩართვა.

ქართული კინოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კინომემკვიდრეობის პროექტის ფარგლებში 2017-2020 წლებში „გოსფილმოფონდიდან“ საქართველოს დაუბრუნდა 52 ფილმის სანყისი მასალები. პროექტ „საქართველოს მათიანის“ ფარგლებში განხორციელდა 25 000 ყუთზე მეტი საარქივო საფილმო მასალის დახარისხება, აღწერა, საცავში განთავსება და ციფრულ მატარებელზე ნაწილობრივი გადატანა. 2017 წელს შეიქმნა დოკუმენტური კინომემკვიდრეობის ციფრული კატალოგი. 2019 წლიდან დაიწყო ქართული კინომემკვიდრეობის დიגיტალიზაციის პროცესი. დღეისთვის უკვე აციფრულია და ციფრული რესტავრაცია ჩაუტარდა 14 ქართულ მხატვრულ ფილმს. ქართული ფილმები წარდგენილი იყო 300-მდე საერთაშორისო კინოფესტივალზე (ბერლინალე, კანი, სარაევო, ლოკარნო, სანდენსი და სხვ.), სადაც მოპოვებულ იქნა 80-მდე ჯილდო; 2020 წელს, ბრიუსელის თანამედროვე ხელოვნების ცენტრმა „ბოზარმა“ ქართული ფილმების რეტროსპექტივას უმასპინძლა, ნაჩვენები იყო თანამედროვე ქართველი რეჟისორების 10-მდე ფილმი; 2020 წელს, ბერლინის 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული პავილიონი მეთხუთმეტედ იყო წარმოდგენილი. 2020 წელს „ევრიმაჟის“ ფონდის მიერ დაფინანსდა 3 ქართული კინოპროექტი (700 000 ევრო). 2020 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში დასახელდა ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმი „დასანყისი“.

2017-2019 წლებში, პროგრამით „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა“, სახელმწიფო დაფინანსებით, განხორციელდა 103 ობიექტის რეაბილიტაცია-კონსერვაციისა და მუზეუმების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების 18,2 მილიონი ლარის სამუშაოები, მათ შორის: გაიხსნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტირებული საგამოფენო სივრცე; დაიწყო სსიპ - დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის შემადგენლობაში არსებული ნიკოსეული სასახლის რეაბილიტაცია; პოლონეთის მხარის ინიციატივით, ქუთაისში საბეიმოდ გაიხსნა სტეფან კრუკოვსკის სახელობის პოლონურ-ქართული ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრი; ესტონეთის მხარესთან თანამშრომლობის ფარგლებში, დასრულდა ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მიმდებარედ ტურისტული ატრაქციის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება. ფონდმა „ქართუმ“ განახორციელა კულტურული მემკვიდრეობის 463 ობიექტის რეაბილიტაცია, მათ შორის, 2017-2019 წლებში კულტურული მემკვიდრეობის 197 ობიექტზე განხორციელდა 38,2 მილიონი ლარის სხვადასხვა სახის სამუშაოები. განხორციელდა ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორცაა: აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ისტორიული ადმინისტრაციული შენობის სრული რეაბილიტაცია, ამავე სასწავლებლის მცირე სასწავლო შენობის რეაბილიტაცია, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობების სრული რეაბილიტაცია, ვანის არქეოლოგიური კომპლექსის მშენებლობა და სხვ. მიმდინარეობს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის მშენებლობა, მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ცენტრალური სასწავლო კორპუსისა და საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და სხვ. სულ განხორციელებულია და მიმდინარეობს 100 მილიონზე მეტი (მათ შორის, ფონდ „ქართუს“ მიერ შემოწირულობის სახით - 10,8 მილიონი ლარის) ფინანსური მოცულობის ინფრასტრუქტურული სამუშაოები. უშუალოდ ფონდ

„ქართუს“ მიერ სრულდება ოზურგეთის ალ. ნუნუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური თეატრისა და ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის შენობების მშენებლობა/რეაბილიტაცია (სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაა 50 მილიონი ლარი). დასრულდა 71 ძველის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა. მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის 68 უძრავი ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია. 115 ობიექტს, მათ შორის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ 20 ძეგლს, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრისათვის რეკომენდაცია გაენიჭა 96 ძეგლს. სისტემური ხასიათი აქვს ერთობლივი პროექტების, მათ შორის, არქეოლოგიური გათხრების, წარმოებას ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების/ობიექტების დიגיტილიზაციის პროცესი. 2020 წელს გრძელდება ისეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება როგორცაა: სოფელ მუცოს, სოფელ ჩაჭაშის, გორის ციხის, მესტია-გემო სვანეთში მდებარე კოშკებისა და მარხუბების, აწყურის ციხის, ვარძიის კომპლექსის რეაბილიტაცია, უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია-კონსერვაცია, გრაკლიანი გორის მუზეუმის მოწყობა და სხვ.

გაიზარდა კულტურის ინტეგრირება სხვა დარგების, განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაში. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მუზეუმებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციამ, ასევე, საქართველოში ჩატარებულმა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალმა მნიშვნელოვნად გაზარდა ვიზიტორთა რაოდენობა და ხელი შეუწყო ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას. გაძლიერდა კომუნიკაცია კულტურის სფეროს მუშაკებსა და ბიზნესსტრუქტურებს შორის, პარტნიორობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, დაფუძნდა ახალი ინსტიტუცია – სსიპ “შემოქმედებითი საქართველო”. სექტორთაშორისი კოორდინაციის ადვოკატირების და მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა თემატური საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება ცენტრალური და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების ორგანოების, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან. ხელი შეეწყო 5 შემოქმედებით და ინოვაციურ პროექტს, რომელთა უმეტესობა ითვალისწინებს ფიზიკური ან ვირტუალური სივრცეების განვითარებას შემოქმედებითობის ხელშესაწყობად. სსიპ შემოქმედებითმა საქართველომ მიიღო იუნესკოსა და ევროკავშირის დაფინანსება პროექტისთვის: „შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“.

გაუმჯობესდა კულტურის საექსპორტო პოტენციალის ათვისება, განხორციელდა ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციისა და მისი გლობალურ კონტექსტში წარმოჩენის ღონისძიებები. სახელმწიფოს ხელშეწყობით 250-ზე მეტმა ნიჭიერმა ხელოვანმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერკლასებსა და ვორქშოფებში. ხელოვანთა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდასაჭერად, 2019 წლიდან შემუშავდა ახალი საკონკურსო პროგრამა „ხელოვანთა მობილობა“. საქართველო გახდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმების (EPA) წევრი სახელმწიფო. კულტურული ტურიზმის სტიმულირებისთვის, საერთაშორისო ვალდებულებით, დაიწყო მიზნობრივი პროექტების ხელშეწყობა. სამინისტრომ დაიწყო ადგილობრივი კულტურული მარშრუტების სერტიფიცირება. 2021 წლის შემოდგომაზე ქ. ქუთაისი უმასპინძლებს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების რიგით მე-10 ფორუმს. საქართველო ოფიციალურად შეუერთა ისტორიული ევროპული ბაღების ასოციაციას, რომელიც კურირებს ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებში განვრცებულ „ისტორიული ბაღების მარშრუტს“, სადაც საქართველო 5 ისტორიულ ბაღს წარადგენს. 2018 წელს ხელოვნების სასახლეს სამეცნიერო პროექტისათვის „ქსოვილი საქართველოდან“ ევროპის კულტურული მემკვიდრეობის უმაღლესი ჯილდო „ევროპა ნოსტრა“ გადაეცა. 2019 წელს ევროკომისიამ და „ევროპა ნოსტრამ“, შემოქმედებითი ევროპის პროგრამით დაფინანსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების – ევროპული მემკვიდრეობის პრიზის – „ევროპა ნოსტრას“ ჯილდოს 2019 წლის გამარჯვებულები გამოავლინა. კონსერვაციის კატეგორიაში გაიმარჯვა ციხე-სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა. ქართული კულტურა ეროვნული პროგრამით, პავილიონით, სტენდით წარდგენილი იყო ისეთ საერთაშორისო პლატფორმებზე, როგორც არის: „ბერლინალე“, „კანის საერთაშორისო ფესტივალი“, ვენეციის საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა,

პრალაში „კვადრიენალე“, სადაც 2019 წელს რუსთაველის თეატრთან არსებულმა გიორგი ალექსიმესხიშვილის თანამედროვე მხატვრობის სკოლამ პროექტისთვის „კვადრიენალეზე სტუდენტური პავილიონი მედია/მედია“ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო - ტრიგა „საუკეთესო სტუდენტური გამოფენისთვის“.

მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხის განახლების მიზნით, მომზადდა ვარძიის ისტორიულ ლანდშაფტში არსებული რესურსების დეტალური კვლევა, გამორჩეულ ობიექტებს (24 ობიექტი) განესაზღვრა ძეგლის სტატუსი. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეტანილ იქნა ქართული ნომინაცია „ქართული ჭიდაობა“. ორგანიზაციას სიაში შესატანად წარედგინა ორი ახალი ნომინაცია „ქართული სუფრის ტრადიცია“ და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი „საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები“. სრულდება მუშაობა საქართველოში ებრაელთა კულტურული ტრადიციების ნომინაციისთვის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში. UNESCO-მ თბილისი დაასახელა 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად.

2013 წლიდან, ქვეყანაში ლიტერატურული პროცესების გამოცოცხლებისა და განვითარების, ასევე, ქართული ლიტერატურის ქვეყნის ფარგლებს გარეთ პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. 2018 წელს, ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგენის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 500-მდე ღონისძიება, მათ შორის, 300-ზე მეტი ლიტერატურული და 100 კულტურული ღონისძიება, მომზადდა ქართული ლიტერატურის 400-ზე მეტი უცხოენოვანი თარგმანი/გამოცემა, მათ შორის - 200-მდე ახალი გერმანულენოვანი პუბლიკაცია. საქართველო წიგნის სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმის, მათ შორის, ლონდონის და ლაიფციგის, წიგნის ბაზრობების მონაწილეცაა. 2021 წლისთვის დაიგეგმა პარიზის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის პროექტი. სახელმწიფო ხელს უწყობს: 6 ლიტერატურულ კონკურსს/პრემიას; ლიტერატურული ჟურნალების „არილის“, „ახალი საუნჯისა“ და „ცისკრის“, რეგიონული ჟურნალების „აფინაჟისა“ და „ეზგურის“, ასევე, საბავშვო ლიტერატურული ჟურნალების „დილისა“ და „შოკოლიტის“ გამოცემას; წიგნისა და ლიტერატურის 2 საერთაშორისო ფესტივალს, რომლებსაც ყოველწლიურად 70 000-ზე მეტი ადამიანი სტუმრობს; 50-მდე გამომცემელს 400-მდე დასახელების მხატვრული ლიტერატურის, მათ შორის, Unesco-ს ეგიდით 10 საიუბილეო კრებულის წიგნად გამოცემაში; რეგიონებში ღია სამკითხველოების (სკვერის ბიბლიოთეკები) დაარსებას; ქვეყნის 65 მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ყოველწლიურ განახლებას; მაღალმთიანი, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების გააქტიურებას პროექტების „მრავალფეროვანი საქართველოს“, „კულტურა საზღვრებს გარეშეს“ და „ცოცხალი წიგნების“ განხორციელების გზით; საიუბილეო და ინოვაციური პროექტების განხორციელებას. საგამომცემლო სექტორის საქმიანობის ხელშეწყობისა და ქვეყანაში ლიტერატურული პროცესების განვითარების მიზნით, 2019 წლიდან ხორციელდება კონკურსი „ახალი ქართული წიგნი“.

COVID-19-ის პანდემიით შექმნილ კრიზისულ ვითარებაში, კულტურის ობიექტებისა და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდა უსაფრთხოების სტანდარტები და მათი დანერგვის სექტორული გაიდლაინები, გახანგრძლივდა მიმდინარე კონკურსების ფარგლებში განაცხადების მიღების ვადები და საკონკურსო პირობები ადაპტირდა არსებულ გამოწვევებთან, ამოქმედდა საკონკურსო განაცხადების მიღების ონლაინმექანიზმი. კულტურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მიიღო კულტურის 200-ზე მეტმა ორგანიზაციამ. 2020 წლის 25 მარტიდან, კულტურის საჯარო ორგანიზაციები შეუერთდნენ აქციას „კულტურა თქვენთვის“. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა 800-ზე მეტი ონლაინაქტივობა, 200-ზე მეტი სარეპერტუარო სპექტაკლისა და საარქივო მასალების ონლაინჩვენება, სიმფონიური ორკესტრების კონცერტების ჩანაწერების ტრანსლირება. მუზეუმებმა დაიწყეს „ციფრული მუზეუმის“ პოტენციალის აქტიური გამოყენება, რომელსაც სამი თვის მანძილზე 1 200 000 ნახვა ჰქონდა. ეპიდსიტუაციის დასტაბილურებასა და შიდა ტურიზმის გახსნასთან დაკავშირებით, სამინისტრომ ქვეყნის კულტურული მარშრუტების პირველი უფასო მობილური აპლიკაცია Cultural Routes Georgia წარადგინა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც Android, ისე iOS სისტემებისთვის. სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ უზრუნველყო სასწავლო პროცესის წარმართვა დისტანციური სწავლებით, შექმნა ვირტუალური სამუზეუმო გვერდი

- „სანამ მუზეუმი გაიხსნება“. დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა სუბიშვილების ცეკვის აკადემია, ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლები. დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, მიმდინარეობს სახელოვნებო ფესტივალების ფორმატების ცვლილება, ღონისძიებები ხორციელდება ღია სივრცეებში და ონლაინპლატფორმების საშუალებით. 2020 წლის 15 ივლისიდან 25 დეკემბრამდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 50-მდე სახელოვნებო კონკურსი/ფესტივალი გაიმართება.

2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტით **სპორტის დაფინანსება** 2,5-ჯერ, 48,7 მილიონი ლარიდან 123,1 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2013-2019 წლებში სამინისტრომ 419,8 მილიონი ლარი გამოყო სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად. ხელისუფლების მიერ გატარებული ეფექტიანი პოლიტიკისა და სპორტული ორგანიზაციების მხარდაჭერის შედეგად, 2017-2019 წლებში სპორტის სხვადასხვა სახეობის საერთაშორისო ჩემპიონატებსა და შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 3041, მათ შორის, 1100 ოქროს მედალი. ამასთან, 2019 წელს მოპოვებულმა მედლების (1258 მედალი) რაოდენობამ 2,6-ჯერ გადააჭარბა 2012 წელს მოპოვებული მედლების (477 მედალი) რაოდენობას. ქართული სპორტის ისტორიაში 2019 წელს დაფიქსირდა უპრეცედენტოდ მაღალი სპორტული შედეგი - სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მოპოვებულ იქნა 6 მსოფლიო ჩემპიონის მედალი.

სპორტის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, მომზადდა კანონის პროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“. კანონპროექტის დამტკიცებით შეიქმნება სპორტში ძირითადი მიმართულებების განვითარების, დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, მოსახლეობის ჩართულობისა და ადგილობრივ დონეზე სპორტის განვითარების მყარი საკანონმდებლო გარანტიები. შემუშავდა საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების, სპორტისა და სპორტული ტურიზმის განვითარების და მასობრივი სპორტის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიები, შესაბამის სამოქმედო გეგმებთან ერთად. საქართველოში მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების გამართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დამტკიცდა მინისტრის ბრძანება „საქართველოში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების გამართვის წესის, სტანდარტებისა და ჩატარებული ღონისძიებების ანგარიშისა და შეფასების ფორმების შესახებ“. წარმატებით დაინერგა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პლატფორმა (NSO). ამოქმედდა ქართული სპორტის პორტალი.

2017-2019 წლებში სპორტის 50-ზე მეტ სახეობაში დაფინანსდა 1220 შეკრება და 1860 შეჯიბრება და დაახლოებით 80%-ით გაიზარდა მათში ჩართულ პირთა რაოდენობა. 2012 წელთან შედარებით, 300%-ით არის გაზრდილი წლიური დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა. სამინისტროში შეიქმნა სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების სისტემა და დაფუძნდა „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭო“, რომლის წევრები არიან სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის, ოლიმპიური, პარალიმპიური და არაოლიმპიური კომიტეტის წევრები. საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს კრიტერიუმებსა და სტანდარტებს სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფის მიზნით, ასევე, ახდენს სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებას. შედეგად, დაფინანსების სისტემა გახდა გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და სტაბილური, რაც ხელს უწყობს სპორტის მდგრად განვითარებას. სამინისტროს მიერ აღიარებულია 93 სპორტული ორგანიზაცია, მათგან ფინანსდება 62, მათ შორის: სპორტული ფედერაციები, ასოციაციები, კავშირები და კომიტეტები.

სამინისტრო აქტიურად მუშაობს მასობრივი სპორტის განვითარების მიმართულებით და ხელს უწყობს სპორტის ხელმისაწვდომობის ზრდას, რომლის შედეგად მასობრივ სპორტში ჩართულობა, 2012 წელთან შედარებით, 400%-ით გაიზარდა. 2012 წელთან შედარებით, 2019 წელს 7,5-ჯერ გაიზარდა მასობრივი სპორტის დაფინანსება (გამოიყო 3 მილიონი ლარი). ფიზიკური აქტივობის ნახალისებისა და მასობრიობის გაზრდის მიზნით, სამინისტრო წლის განმავლობაში აფინანსებს და მხარს უჭერს ათობით მასობრივ სპორტულ ღონისძიებას, რომელთა მონაწილეების ჯამური რაოდენობა ნახევარ მილიონამდე აღწევს. 2018 წელს სამინისტრომ მოიპოვა ევროკავშირის მიერ ინიცირებული ევროპის სპორტის კვირეულის საქართველოში გამართვის უფლება და განისაზღვრა ეროვნულ კოორდინატორად, კვირეულის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში ყოველწლიურად 50 ათასამდე მოქალაქეა ჩართული. განსაკუთრებული ყურადღება

ეთმობა საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებას, სპორტის სხვადასხვა სახეობაში იქმნება ახალი საუნივერსიტეტო ლიგები, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ეროვნულ ღონისძიებებსა და საერთაშორისო უნივერსიადებში. ყოველწლიურად იმართება „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ და „საუნივერსიტეტო უნივერსიადა“ - მთელი წლის განმავლობაში ოლიმპიური სისტემით გამართული შეჯიბრებების ერთობლიობა, რომელიც 150 000-მდე მოსწავლისა და სტუდენტის სპორტულ და ფიზიკურ აქტივობას უზრუნველყოფს. ეროვნული ეტაპის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო სასკოლო ოლიმპიადასა და უნივერსიადაში; ყოველწლიურად ტარდება ათობით სპორტული ღონისძიება, როგორებიცაა სპორტის საერთაშორისო დღე - 6 აპრილი, მსოფლიო რბენა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი სპორტული ღონისძიებები და სხვ., ღონისძიებებში 100 000-მდე პირი მონაწილეობს.

სახელმწიფო აქტიურად ზრუნავს შშმ პირებისათვის სპორტზე ხელმისაწვდომობის და მაღალი მიღწევების მიმართულების განვითარებისათვის. ამ მიზნით, 2016 წლიდან 2019 წლამდე 100%-ზე მეტით გაიზარდა საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც საქართველოში 18 პარასპორტის სახეობის განვითარებას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვნად გაიზარდა აღნიშნულ სახეობებში საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული შედეგებიც.

ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით, სამინისტროს მმართველობაში ფუნქციონირებს სსიპ „ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზებულ სანვრთნელ პროცესს რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. ცენტრში ცხოვრობს და სპორტის ექვს სახეობაში (ძიუდო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა, მძლეოსნობა) მზადებას გადის 150 ახალგაზრდა.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების საქართველოში მასპინძლობის მიმართულებით, 2017-2019 წლებში საქართველოში ჩატარდა 50-ზე მეტი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ფუტსალი, ქალთა ფეხბურთი, სუმო, უშუ, ჯომარდობა, რაგბი, ფარიკაობა, ფრენბურთი, ჭადრაკი, ძალოსნობა, წყალბურთი, ჭიდაობა, ტაეკვონდო), მათ შორის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები.

სასპორტო განათლებისა და მეცნიერების სფეროში წარმატებით ფუნქციონირებს სამინისტროს მმართველობაში არსებული სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი. მზარდია ორივე ორგანიზაციის დაფინანსების დინამიკა და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. უნივერსიტეტისა და შესაბამისი სახეობების ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ, სამინისტროს კოორდინაციით, 2017 წლიდან საქართველოს მასშტაბით გადამზადდა ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე დასაქმებული რამდენიმე ასეული მწვრთნელი. უნივერსიტეტისა და კოლეჯის ბაზაზე ხორციელდება ფიზიკური აღზრდის პედაგოგების სპორტის შესაბამის სახეობაში გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, უკვე გადამზადდა 3 ათასამდე პედაგოგი.

სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, 2019 წელს სტიპენდიები გაიცა 803 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე, მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 363-მა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 33 სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. 2020 წელს აღნიშნულ სტიპენდიებს დაემატა ოლიმპიური პრიზიორების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონების, პარალიმპიური ჩემპიონებისა და პრიზიორების მხარდაჭერაც, რაც უპრეცედენტოა ევროპის მასშტაბით. „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით“ დახმარება 50-დან 70 ლარამდე ოდენობით გაიცა 25 მუნიციპალიტეტში სპორტის 25 სახეობის 336 მწვრთნელზე.

სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით, განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის: ახალი სპორტის სასახლე თბილისში; საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი 3 სპორტის სასახლე თელავში, გორსა და ბათუმში; ოლიმპიური სოფელი დილომში; სპორტული კომპლექსები - მზიურის საჩოგბურთო კორტები და სპორტკომპლექსი

„ოლიმპიკი“; 7 სპორტული მოედანი დედაქალაქში; ბათუმის საფეხბურთო სტადიონი, 3 სტანდარტული მოედანი ქუთაისში და სხვ. 2017-2019 წლებში, დამონტაჟდა 70-მდე გარე სავარჯიშო მოწყობილობა, მიმდინარეობს 7 სავარჯიშო მოწყობილობის დამონტაჟების პროცესი. ინვენტარით მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ინვენტარი და აღჭურვილობა ყოველწლიურად გადაეცემა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციას და ადგილობრივ თვითმმართველობებს. ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე სამინისტროს ხარჯებმა 2013-2019 წლებში 117 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და საზოგადოებრივი კოლეჯი გადავიდა სწავლების დისტანციურ ფორმატზე; ტელესკოლაში ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები; ჭადრაკის ფედერაცია გადავიდა ონლაინსწავლებაზე; სამინისტროს მხარდაჭერით, ეროვნული ფედერაციები ინტენსიურად ახორციელებენ სასწავლო-საწვრთნელ პროცესს, საწვრთნელ და სამსაჯო სემინარებს ონლაინრეჟიმში. შემუშავდა სხვადასხვა სპორტის სახეობისთვის პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვებისგან გამონაკლისების დაშვების დროებითი პროტოკოლი, რომელიც დაეხმარება პროფესიულ სპორტს, სწრაფად გამოვიდეს შექმნილი კრიზისიდან.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის 2014 წლის ეროვნული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განხორციელდა 200-მდე პროექტი, რომელთა მონაწილე/ბენეფიციარი იყო 200 000-ზე მეტი ახალგაზრდა. გაძლიერდა ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების, ჰობი განათლებისა და რეკრეაციული პროექტების დაფინანსების კუთხით. ამ მიზნით, განხორციელდა პროექტები: „CYNC კვირეული თბილისში, ბუგდიდში, გორსა და პანკისში“, „ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ტრენინგების, გამწვანებისა და დასუფთავების აქციების მეშვეობით“, „CYNC ლაშქრობა“, „CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“, „ახალგაზრდა ხელოვანი“, „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდადებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობა“, „ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა“; „ახალგაზრდებში სამენარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამა - მენარმეობის რეგიონული სკოლა“; პროგრამებში მონაწილეობდა 9000-ზე მეტი ახალგაზრდა. გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით. პროექტის „სტატისტიკა და ანალიზი“ ფარგლებში საქართველოს ყველა რეგიონიდან შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები შშმ პირთა რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. პროექტ „CYNC ქსელის“ მეშვეობით, გაიზარდა მუნიციპალიტეტებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლების ჩართულობის ხარისხი დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების რეგიონებში განხორციელების საქმეში, შედგა სამომავლო თანამშრომლობის გეგმა და სტრატეგია, შედეგად, გაიზარდა რეგიონებში ცენტრის შეთავაზებულ პროექტებში ახალგაზრდების მონაწილეობისა და მონაწილეობის მაჩვენებელი. განხორციელდა ქვეპროგრამა - „ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერება“, რომლის მიზანი იყო საქართველოს მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერება, მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება. მუნიციპალიტეტების ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირებმა გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსი ახალგაზრდული საქმიანობისა და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის შესახებ. გაიზარდა სოციალური სანარმოების დაფინანსება, დაფინანსდა 40-ზე მეტი სოციალური სანარმო, დასაქმდა 200-მდე პირი, მათ შორის, 38 შშმ პირი. გაუმჯობესდა არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩატარებული კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 90 პროექტი, 1,7 მილიონი ლარის ოდენობით (ბენეფიციარების რაოდენობა - 3720). გაიზარდა შშმ პირების ინკლუზიაზე ორიენტირებული არაფორმალური განათლების პროგრამების მხარდაჭერა, მათ შორის, დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობა. განხორციელდა პროექტები: „შშმ პირთა გამაჯანსაღებელი დარბაზი“; „ცვლილებები თანასწორობისთვის“ - პროექტი გულისხმობდა საქართველოს 12 ქალაქში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით; „სახელობო წრეები“ - ოთხი წლის განმავლობაში 320 ახალგაზრდა

დაეუფლა მინანქრის, თექისა და ქსოვის ტექნიკებს, გამოიმუშავეს პროფესიული უნარები და გაიზარდა მათი დასაქმების შესაძლებლობა; ინკლუზიური დასი „არტიშოკი“ - პროექტში ჩართული იყო 14-29 წლის თეატრალური საქმიანობით დაინტერესებული 20 ახალგაზრდა. პროგრამის „მოხალისეობის განვითარების პროგრამა - საქართველოს მოხალისე“ ფარგლებში ჩატარდა 1435 ღონისძიება, პროგრამაში ჩაერთო 8 000-მდე ახალგაზრდა, შეიქმნა 100 მოხალისეთა კლუბი, ფუნქციონირებს მოხალისეთა ერთიანი ეროვნული ბაზა. 2016-2019 წლებში პროგრამის „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა დაფინანსების მოცულობაც, განხორციელდა 18 პროექტი, პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობამ 21 ათასზე მეტი შეადგინა. 2018-2019 წლებში დაიწყო მუშაობა ბანაკების სტანდარტიზების მიმართულებით: შემუშავდა და დამტკიცდა ბანაკების განხორციელების ტექნიკური რეგლამენტი, დღის წესრიგი და სტრუქტურა, შემუშავდა და დაინერგა ბანაკების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შემუშავდა ლიდერების შერჩევის 5-კომპონენტური სისტემა.

2019 წლიდან დაიწყო ახალგაზრდული სფეროს რეფორმის პროცესი, რომლის მიზანია ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათ აქტიურად ჩართვას. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით, მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა ახალი ინსტიტუცია - სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო. ახალგაზრდობის სააგენტომ დაარსების დღიდან დღემდე საერთაშორისო დონორებისგან უკვე მოიძია 400 000 ევროზე მეტი საბიუჯეტო თუ ტექნიკური მხარდაჭრა, განახორციელა 4 საერთაშორისო მასშტაბური ღონისძიება, გააფართოვა საერთაშორისო პარტნიორობთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესაძლებლობები. შემუშავდა ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩეველთა საბჭოს კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდობის სააგენტოს პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფას, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებას. შეიქმნა 23-კაციანი ახალგაზრდული პოლიტიკის მრჩეველთა საბჭო, რომლის წარმომადგენლებიც ფარავენ მთელ საქართველოს და 15-ზე მეტ თემურ მიმართულებას (შშპ პირები, ეთნიკური უმცირესობები, მაღალმთიანი რეგიონები, ახალგაზრდული ეკონომიკა, კარიერული კონსულტაცია და სხვ.). მომზადდა ციფრული ახალგაზრდული საქმიანობის სტრატეგია და ციფრული ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების სამუშაო ვერსია. საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე დაამტკიცა ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030, რის საფუძველზეც გაეროს, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავების პროცესშია „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია 2025“. მიმდინარეობს ბავშვთა და ახალგაზრდული ბანაკებისა და რეკრეაციული პროგრამების სტანდარტების, ასევე, ჰობი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება. შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსის ფონდი, ერთი მილიონი ლარის ბიუჯეტით. ფონდის მიზანია თითოეულ რეგიონში გრძელვადიანი და განმეორებადი შედეგების მომტანი ახალგაზრდული მდგრადი პლატფორმების შექმნა, რომლებიც არაფორმალური განათლების გზით უზრუნველყოფენ ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარებას. ამ მიმართულებით უკვე გამოვლინდა გამარჯვებული 14 ორგანიზაცია 10 რეგიონის მასშტაბით. შემუშავდა ახალგაზრდული მუშაკების მომზადების საგანმანათლებლო კურსი აკრედიტაციის მისაღებად. მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით, საპილოტედ შეირჩა 11 მუნიციპალიტეტი, სადაც უკვე განხორციელდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და ახალგაზრდულ მუშაკებად გადაამზადდნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, რითაც ხელი შეეწყო ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმების შემუშავებას. მომზადდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მენარმეობის მიმართულებით ახალგაზრდების წინაშე არსებული ბარიერების გამოვლენას, მათზე რეაგირების ქმედითი მექანიზმების შემუშავებას და ახალგაზრდებში სამენარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობას.

კულტურა

- „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, გაგრძელდება და გაფართოვდება კულტურის სფეროს განვითარების ხელშემწყობი **სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები**;
- გაიზრდება კულტურის **ხელმისაწვდომობა** ფართო საზოგადოებისთვის; უზრუნველყოფილი იქნება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება;
- დაიხვეწება კულტურის სფეროს მარეგულირებელი, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური, არამატერიალური, ბუნებრივი მემკვიდრეობა) სფეროში არსებული **კანონმდებლობა**;
- შეიქმნება კულტურის **მართვის** მოქნილი, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული მოდელი და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი;
- შემუშავდება **სახელოვნებო განათლების** განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები სახელოვნებო განათლების, მათ შორის, ნაკლებად მოთხოვნად სპეციალობებზე, ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად; შემუშავდება დაფინანსების მექანიზმები;
- განხორციელდება **კულტურის პოპულარიზაციის** ღონისძიებები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის;
- ხელი შეეწყობა საქართველოში და მის **რეგიონებში** კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ადგილობრივი სახელოვნებო ინსტიტუციებისა და კოლექტივების ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართულობას;
- ხელი შეეწყობა **სახელოვნებო დარგების** პროფესიული დონის ამაღლებას, ხელოვნებაში ახალი სახეების, ფორმების, გამომსახველობითი საშუალებების წარმოჩენას; გაფართოვდება სახელოვნებო ინსტიტუციებისა და კოლექტივების საქმიანობა და შეივსება ახალი შემოქმედებითი პროდუქტებით;
- **კულტურული მემკვიდრეობის** სფეროს განვითარების მიზნით, მოხდება მართვის მოდერნიზაცია, ახალი კადრების მოზიდვა და რესურსების მობილიზება პრიორიტეტული მიმართულებების სარეალიზაციოდ, დაინერგება ახალი ინიციატივები, ეტაპობრივად მონესრიგდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები;
- **კულტურის რესურსი** აქტიურად იქნება გამოყენებული ტურიზმის მდგრად განვითარებასა და შემოქმედებითი მენარმეობის განვითარებაში; შემუშავდება და განხორციელდება სპეციალური პროგრამები კულტურის რესურსის მნიშვნელობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობების, შემოქმედებითი ეკონომიკისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ადგილობრივ პრაქტიკაში გამოყენების შესახებ;
- განმტკიცდება **საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები** ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში; გაგრძელდება ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი; განხორციელდება საქართველოს და მისი კულტურის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებები, გაიზრდება საერთაშორისო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი;
- განხორციელდება **ინფრასტრუქტურული** პროექტები კულტურის და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, გაგრძელდება ახალი ობიექტების მშენებლობა. დაგეგმილია შემდეგი პროექტები/ღონისძიებები: შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და სიძველეთა ეროვნული ცენტრის რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრის მოწყობა; დმანისის მუზეუმის მოწყობა; ფოთის მუზეუმის რეაბილიტაცია; უშგულის მუზეუმის რეაბილიტაცია; ხელოვნების სასახლის და ხალხური

საკრავების მუზეუმის სათანადო სამუზეუმო სივრცეში განთავსება; ძეგლების რეაბილიტაციის 56 პროექტი;

- მოხდება **ახალი ტექნოლოგიების** განვითარება და ეფექტური გამოყენება, კულტურის ციფრულ სივრცეში ინტეგრაცია.

სპორტი

- გაიზრდება სახელმწიფოს მხრიდან მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის **დაფინანსება**;
- „მასობრივი სპორტის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის სტრატეგიის“ შესაბამისად, განხორციელდება **მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის** ხელშეწყობის ღონისძიებები;
- **პროფესიული სპორტის** განვითარების მიზნით, გაგრძელდება ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;
- ხელისუფლების ქმედითი პოლიტიკის განხორციელების შედეგად, გაიზრდება პროფესიულ და მასობრივ **სპორტში ჩაბმულ პირთა**, მათ შორის ბავშვებისა და მოზარდების რაოდენობა;
- გაგრძელდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში **საერთაშორისო ჩემპიონატების/ტურნირების საქართველოში მასპინძლობისათვის** აქტიური მხარდაჭრა;
- ხელი შეეწყობა უმაღლესი, აკადემიური და პროფესიული **სასპორტო განათლების** განვითარებას, გაიზრდება მისი ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება დამსახურებული სპორტის მოღვაწეების და ვეტერანი სპორტსმენების, მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების **სოციალური მხარდაჭერის** პროგრამების, ასევე, ოლიმპიური ჩემპიონების, პერსპექტიული და საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებული სპორტსმენების მხარდაჭერის ღონისძიებები;
- შეიქმნება სპორტული დავების განხილვების ქმედითი სისტემა. დაინერგება **სპორტსმენთა უფლებების დაცვისა** და მათი გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართვის მოდელი;
- სპორტული **ინფრასტრუქტურის** განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შეიქმნება სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ქმედითი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის ეფექტიან თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული. აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნები, დარბაზები და სპორტის სასახლეები, ასევე, მასობრივი სპორტული ობიექტები, მათ შორის: ახალი სპორტის სასახლე თბილისში, რომელიც 2022 წელს უმასპინძლებს EUROBASKET-ს კალათბურთში; ჭიდაობის სასახლე; ყინულის სასახლე; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კოლეჯის ადმინისტრაციული შენობა; სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი; კრივის სახლი; საბრძოლო ხელოვნებათა არენა; სამთო-სათხილამურო ტრასები და საბაგიროები, გარე სავარჯიშო მოწყობილობები. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2022 წელს დასრულდება: ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზის, რუსთავში, ზუგდიდსა და ახალციხეში სპორტული კომპლექსების მშენებლობა, მარნეულში საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია. 2021-2024 წლებში დაგეგმილია: თელავის უფასო სტანდარტების სტადიონისა და წნორში სპორტკომპლექსის მშენებლობა, სამტრედიიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის და ლანჩხუთში ევგრაფ შევარდნაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია.

ახალგაზრდობის პოლიტიკა

- დასრულდება 2019 წელს დაწყებული ახალგაზრდული სფეროს **რეფორმის** პროცესი;
- გაგრძელდება და გაძლიერდება ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, განვითარდება ახალგაზრდული საქმიანობის **ხარისხის** უზრუნველყოფის მექანიზმები;
- განხორციელდება ღონისძიებები **ახალგაზრდული მუშაკის** პროფესიის აღიარებისა და პროფესიული სტანდარტის შემუშავების მიზნით. ხელი შეეწყობა ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას;
- დაიხვეწება ჰობი განათლების არსებული სისტემა და ხელი შეეწყობა **რეკრეაციული** ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებას;
- გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით, ხელი შეეწყობა **მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის** განვითარებას;
- დაიხვეწება ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში **ახალგაზრდების ჩართულობის** მექანიზმები და პლატფორმები.
- შემუშავდება **არაფორმალური საგანმანათლებლო** პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების განვითარებას, ახალგაზრდების ინფორმირების მექანიზმების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდებში სამეწარმეო და მოხალისეობრივი კულტურის, სხვადასხვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას;
- გაფართოვდება **საერთაშორისო თანამშრომლობა** ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;
- გაგრძელდება **ეთნიკური უმცირესობების** წარმომადგენელი და **შშმ** ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამები.

4. საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა

4.1 საგარეო პოლიტიკა

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში, მიუხედავად დეკლარირებული ევროატლანტიკური ინტეგრაციის საგარეო კურსისა, საქართველოს საერთაშორისო პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. აშკარა იყო ღირებულებითი აცდენა, სრული შეუთავსებლობა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ და მის მიერ რეალურად გატარებულ ანტიდასავლურ პოლიტიკურ კურსს შორის, რომელიც უგულებელყოფდა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლურ პრინციპებს, ლახავდა ადამიანის ღირსებასა და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს ღირებულებითი შეუთავსებლობა აისახებოდა კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ ნაბიჯებში, რომელთა მიზანს არა ქვეყნის, არამედ მმართველი „ელიტის“ უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენდა.

შედეგად, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ქვეყანა მიიყვანა 2008 წლის აგვისტოს სამხედრო-პოლიტიკურ კრაზამდე, რაც იმდროინდელი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ და ასევე, ანტიდასავლურ შინაარსზე ყველაზე ნათლად მეტყველებს.

2004-2012 წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო პოლიტიკის პირდაპირი შედეგები ოცო ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ინტეგრაციის შეფერხება და საქართველოში რუსეთის ფედერაციის პოზიციების გაძლიერება, კერძოდ:

- ორი ისტორიული რეგიონის - აფხაზეთისა და ცხინვალის სრული ოკუპაცია;
- 408 დაღუპული გმირი ჯარისკაცი, პოლიციელი და სამოქალაქო პირი;
- 27 ათასი დევნილი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან;
- 151 დაკარგული სოფელი;
- აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარება რუსეთის ფედერაციის მიერ.

2012 წლის 1-ელი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, კარდინალურად შეიცვალა ვითარება საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკა გახდა პრაგმატული, წინდახედული და მთლიანად ორიენტირებული არა ხელისუფლებისა და მმართველი „ელიტის“, არამედ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე, რომელიც ორიენტირებულია საქართველოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების საგარეო-პოლიტიკურ უზრუნველყოფაზე, ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო პარტნიორობის გაღმავებასა და უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე.

2012-2016 წლებში, „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკის უმთავრეს შედეგებს წარმოადგენდა:

- კონკრეტული და ხელშესახები შედეგები ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე, კერძოდ: ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირთან; ხელი მოეწერა ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან; გაძლიერდა თანამშრომლობა ნატოსთან, მათ შორის, ნატოს სამიტზე საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა, აღიანსმა მიიღო გადანყვებილება საქართველოსთვის ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) მინიჭების თაობაზე; საქართველო მინვესტ იქნა „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის“ (EOP) ჯგუფში. საქართველოს პირველად ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი. ნატოს მხარდაჭერით, გაძლიერდა ქართული ჯარი, რომელიც ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მისიებში ამაყად იცავს საქართველოს სახელს და ღირსებას.

- **პრაგმატული და პრინციპული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით, კერძოდ:** მინიმუმამდე შემცირდა რუსეთიდან მომდინარე საგარეო პოლიტიკური საფრთხეები; რუსული ბაზარი გაიხსნა ქართველი გლეხებისა და მენარმეებისათვის; წარმატებით ხორციელდება არალიბარების პოლიტიკა (ვანუატუმ და ტუვალუმ უკან წაიღეს გადანყვეტილებები საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ); საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მყარად უჭერს მხარს საერთაშორისო თანამეგობრობა.

განხორციელებული პრაგმატული, მტკიცე და შედეგებზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, 2016-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, რასაც ხელი შეუწყო სტაბილური განვითარებისა და დემოკრატიის განმტკიცებისკენ მიმართულმა საშინაო პოლიტიკამაც. საქართველოს მთავრობის მიერ პირველად დამტკიცდა „2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია“.

პრაგმატული საგარეო პოლიტიკის შედეგად, 2016-2020 წლებში მიღწეულ იქნა შთამბეჭდავი შედეგები.

სუვერენიტეტის განმტკიცების, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენისა და დეოკუპაციისთვის:

- საქართველოს საკითხი მრავალგზის იქნა განხილული გაეროში, მათ შორის უშიშროების საბჭოში, გენერალურ ასამბლეაზე და ადამიანის უფლებათა საბჭოში, ასევე ეუთოში, ევროპის საბჭოში, ევროკავშირში, ნატოში, აშშ-თან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთსა და გერმანიასთან სტრატეგიული პოლიტიკური დიალოგის ფორმატებში.
- პირველად იქნა მიღებული გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“, რომელიც ხაზს უსვამს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წვდომის აუცილებლობას.
- პირველად იქნა წარდგენილი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში, რამაც ყოველწლიური ხასიათი მიიღო.
- გაეროში დევნილთა შესახებ საქართველოს რეზოლუციას პირველად დაემატა თანასპონსორი სახელმწიფოები (2019 წ. რეზოლუცია მიღებულ იქნა 45 ქვეყნის თანასპონსორობით).
- ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადანყვეტილებებში აისახა რუსეთის, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა ადგილზე ადამიანის უფლებების დარღვევებზე.
- პირველად დამკვიდრდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე ეუთოს მეგობართა ჯგუფის განცხადების მიღების პრაქტიკა.
- აშშ-მა მიიღო უპრეცედენტო გადანყვეტილება და ფინანსური შეზღუდვები დაუწესა არალიბარების პოლიტიკის დამრღვევ სახელმწიფოებს.
- საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა შემზღუდავი ზომების მიღებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევებში პასუხისმგებელ პირთა მიმართ.
- აშშ განიხილავს პრეზიდენტის მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებში პასუხისმგებელ პირებზე. აღნიშნული დებულებები ასახულია წარმომადგენელთა პალატის „საქართველოს მხარდაჭერის აქტში“;
- დაიწყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების ასახვა დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის ოფისის ყოველწლიურ ანგარიშში „ადამიანის უფლებები და დემოკრატია“.

ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგიულ მიზანთან მიახლოებისთვის:

- ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით.
- ამოქმედდა საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა, რითაც უკვე 500 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა;
- დაფუძნდა უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი და ასევე საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ევროკომისიის პრეზიდენტის მონაწილეობით, მაღალი დონის ფორმატი.
- საქართველო ჩართულია ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.
- საქართველო გახდა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრი და ჩაერთო ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში.
- ევროკავშირის/შენგენის 20 ქვეყნიდან საქართველო უსაფრთხო ქვეყნად აღიარა 15-მა ქვეყანამ.
- შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა.
- თბილისში საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის ძალისხმევით გაიხსნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა.

ნატოში ინტეგრაციისთვის:

- ნატოს ბრიუსელის სამიტზე საქართველო მიწვეულ იქნა, ჩაერთოს ნატოს ძალისხმევაში, რომელიც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება.
- საქართველომ პირველად უმასპინძლა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიას.
- პირველად, ნატოს სამიტზე გაიმართა შეხვედრა უმაღლეს დონეზე, უშუალოდ საქართველოს თემატიკაზე და მიღებულ იქნა პირველი ნატო-საქართველოს დეკლარაცია უმაღლეს დონეზე.
- პირველად, საქართველოში „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“-ის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესს, რომელშიც 24 ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის სამხედროები მონაწილეობდნენ, საქართველოს თავდაცვის ძალებმა JTEC-თან ერთად უხელმძღვანელა.

აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის განსამტკიცებლად:

- აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუცია; აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ ერთსულოვნად დამტკიცდა საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული კანონპროექტი (Georgia Support Act);
- აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში აშშ-თან ხელი მოეწერა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმს.
- საქართველოსთვის აშშ-ის მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2020 წელს რეკორდულ ნიშნულს მიაღწია და 132 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წარმოადგენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის ნათელ გამოხატულებას. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ბოლო ოთხ წელიწადში 50 მილიონით გაზარდა საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსება.
- პრაგმატული ნაბიჯების შედეგად, მოხდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით. მაგალითად, 2018 წელს დაიწყო

საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომლის წარმატებამ განაპირობა მიღებული გამოცდილების განვრცობა თავდაცვის ძალების სხვა ელემენტებზე. ასევე, ამერიკული მხარის აქტიური მხარდაჭერითა და მრავალწლიანი ძალისხმევით შემდეგ, 2020 წელს გაიხსნა მარო მაყაშვილის სახელობის წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დაწესებულებას დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. ამერიკელი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში სარეაბილიტაციო ცენტრი აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით.

პარტნიორ ქვეყნებთან საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისა და განვითარებისთვის:

- გაიმართა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ევროკომისიის პრეზიდენტის, ევროპული საბჭოს თავმჯდომარის, ნატოს გენერალური მდივნის, გერმანიის კანცლერის და პრეზიდენტის, იტალიის, კვიპროსის, ფინეთის, უკრაინის, პოლონეთის, ბელარუსის, ბალტიის ქვეყნების, უნგრეთის პრეზიდენტების, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველის ვიზიტები, ასევე, რომის პაპის ისტორიული ვიზიტი საქართველოში. შედგა კორეის რესპუბლიკის სპიკერის, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის, საუდის არაბეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები საქართველოში.
- ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების სტრატეგიულ ჭრილში გადასაცვანად დაფუძნდა თანამშრომლობის ახალი ფორმატები: უორდროპის სტრატეგიული დიალოგი გაერთიანებულ სამეფოსთან; „თბილისის კონფერენცია“ პოლონეთთან; „დimitრი ამილახვარის სახელობის ქართულ-ფრანგული დიალოგი“, შეიქმნა გერმანულ-ფრანგულ-ქართული სამკუთხედი, რომლის ფარგლებში გაიმართა პირველი პოლიტიკური კონსულტაციები; შეიქმნა მაღალი დონის სტრატეგიული საბჭო უკრაინასთან;
- გაფორმდა საქართველოს და 45 ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობის შეთანხმებები.
- ხელი მოეწერა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. საქართველო გახდა ევროკავშირთან ასოცირებული პირველი ქვეყანა, რომელთანაც გაფორმდა ყოვლისმომცველი ჩარჩო შეთანხმება.
- გაფორმდა EFTA-სთან (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტაინი) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რამაც გახსნა სრულფასოვანი წვდომა ევროპულ ბაზარზე.
- ხელი მოეწერა და რატიფიცირებულ იქნა შეთანხმება ცირკულარული მიგრაციის შესახებ საფრანგეთთან, ასევე ხელი მოეწერა შეთანხმებას ბულგარეთთან შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ.
- გაფორმდა და ძალაში შევიდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთსა და ჰონ-კონგთან.
- ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც პირდაპირ აკავშირებს თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს და ტვირთის გადაზიდვის ხანგრძლივობას 2-ჯერ (35 დღის ნაცვლად - 15-17 დღე) ამცირებს.
- დაიწყო პირდაპირი რეგულარული და ჩარტერული ავიამიმოსვლების შესრულება საფრანგეთის, უზბეკეთის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, კორეისა და საუდის არაბეთის მიმართულებით. საქართველოში შემოვიდა ირლანდიური დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია “Ryanair”.

საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს პრესტიჟის, როლისა და ადგილის განმტკიცებისთვის:

- საქართველო პირველად გახდა ევროსაბჭოს თავმჯდომარე და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი.

- 2015 წელს დაარსდა და ჩატარდა თბილისის აბრეშუმის გზის 3 ფორუმი.
- ხელი მოეწერა სატრანსპორტო დერეფნის „ლაპის-ლაზულის“ ჩამოყალიბების შეთანხმებას და ბუქარესტის დეკლარაციას კასპიის ზღვა - შავი ზღვის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თაობაზე.

საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისთვის:

- საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე.
- „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“, ასევე „ქართული ჭიდაობა“ შევიდა UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში.
- „მცხეთის ისტორიულ ძეგლებს“ მიენიჭათ გაძლიერებული დაცვა და ამოღებული იქნენ სფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა სიიდან.
- თბილისს მიენიჭა „მსოფლიო წიგნის დედაქალაქის სტატუსი“.

ქართულ დიასპორასთან მჭიდრო ურთიერთობების განმტკიცებისთვის:

- ლევილის მამული გადმოეცა საქართველოს.
- შემუშავდა პროგრამა - „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“;
- დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვისა და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, 2019 წლიდან დაიწყო „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის“ საგრანტო პროგრამის განხორციელება.
- საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი საკვირაო სკოლებისთვის შემუშავდა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა.

საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის შთამბეჭდავი შედეგები გლობალურ საერთაშორისო გამოწვევასთან - კოვიდ პანდემიასთან ბრძოლაში, რაც აღიარებულია ყველა ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ეს წარმატებები გახდა გადამწყვეტი ფაქტორი, რომ საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა (მსოფლიო ბანკმა, სავალუტო ფონდმა, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა და სხვ.) ქვეყანას პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად უპრეცედენტო და სწრაფი ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს თითქმის 3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველოს როლი, როგორც უსაფრთხო, სტაბილური და გლობალურ გამოწვევასთან ბრძოლაში მსოფლიო მასშტაბით გამორჩეული ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნისა, ღირსეულად არის შეფასებული საერთაშორისო დონეზე, რაც სამომავლოდ ქვეყნის ახალ შესაძლებლობად, პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან მისი მოკლე ვადაში და მინიმალური დანაკარგებით გამოსვლის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ხარისხობრივი გაზრდის არსებით წინაპირობად უნდა ჩაითვალოს.

ქვეყნის უსაფრთხოების, ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, „ქართული ოცნება“ უწყევად გააგრძელებს პრაგმატულ, მტკიცე, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამის შედეგებზე ორიენტირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება ქვეყნის **სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა**. ამისათვის აუცილებელია:

- საერთაშორისო არენაზე, ისევე, როგორც პარტნიორების რუსეთთან ურთიერთობის დღის წესრიგში, **რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების** საკითხის მაღალ

დონეზე შენარჩუნება და გაძლიერება; საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის, რუსეთის მიერ ევროკავშირის მედიატორობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით;

- **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების** გამოცოცხლება და მისი აქტუალიზაცია პარტნიორების დღის წესრიგში მაღალ დონეზე; მოლაპარაკებების ეფექტური გამოყენება რუსეთის ოკუპაციიდან მომდინარე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრისა და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, მათ შორის ძალის გამოუყენებლობის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თემებზე, წინსვლის მიზნით, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად;
- ჰუმანიტარული საკითხების დეპოლიტიზებისთვის ნაბიჯების გადადგმა და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე **ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის** გასაუმჯობესებლად; ოთხობრივ-ტატუნაშვილის სიაში შემავალ პირებზე სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემზღუდავი ზომების დაწესებისთვის მხარდაჭერის მოპოვებაზე მუშაობა;
- საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის **შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის** თანამიმდევრული განხორციელება დიალოგისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული სიკეთეებისა და სერვისების გაზიარებით; შერიგებისა და ნდობის აღდგენის პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- **არაღიარების პოლიტიკის კონსოლიდაცია**, საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება არსებული რისკების პრევენციისა და ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირების მიზნით.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის არსებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, ყველა ძალისხმევა მიმართული იქნება, ასევე, ახალი შესაძლებლობების შექმნისაკენ, რათა **ევროკავშირში განვრცობის გზა** უფრო ხელშესახები და პრაქტიკული შედეგების მომტანი გახდეს ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის. ამისათვის აუცილებელია:

- ასოცირების შეთანხმების შესრულება;
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობების ახალი შესაძლებლობების გამონახვა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარება;
- ევროკავშირში ფიზიკური ინტეგრაცია;
- ევროპის ერთიან ბაზარში ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობა;
- **ევროკავშირში წევრობის ოფიციალური განაცხადის** მომზადება.

საქართველოს ნატოში განვრცობა ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია; საქართველომ, როგორც ასპირანტმა ქვეყანამ, უნდა გააგრძელოს მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური და პრაქტიკული მექანიზმის და ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება, რათა გაიზარდოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ნატოში წევრობის პერსპექტივა კიდევ უფრო მოახლოვდეს. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებისა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
- თავდაცვის სფეროსთვის გამოყოფილი ხარჯების მინიმუმ მშპ-ის 2% ნიშნულზე შენარჩუნება (ნატოს უელსის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად);

- ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერება: ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განახლება/გაძლიერება; ნატოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია; საქართველოში ნატოს მეტი ყოფნის (წვრთნები, სწავლებები და სხვ.) უზრუნველყოფა.

გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, **აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის** შემდგომი გაღრმავების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორცაა თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ქვეყნის დეოკუპაცია და არალიარების პოლიტიკის განმტკიცება, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, ისევე როგორც აშშ-ის შემდგომი მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციის მიმართულებით. ამისათვის, აუცილებელია:

- აშშ-სთან არსებული მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის გაფართოებისა და ახალი შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით, ინტენსიური მუშაობის გაგრძელება ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული ყველა ძირითადი მიმართულებით, რომლებიც მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოების; ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის; დემოკრატიისა და კარგი მმართველობის, ხალხთაშორისი კავშირებისა და კულტურული გაცვლების სფეროებს;
- აშშ-სთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება და ამ მიზნით შესაბამისი ახალი სამართლებრივი ჩარჩო-ინსტრუმენტის შეთანხმება.
- აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საკითხზე მუშაობა, მისი საბოლოოდ მიღების მიზნით;
- აშშ-ის კონგრესის მხრიდან საქართველოს მიმართ მტკიცე მხარდაჭერის შენარჩუნება და გაძლიერება, მათ შორის საქართველოს ეროვნული ინტერესების მატარებელი საკითხების აშშ-ის საკანონმდებლო აქტებში ასახვის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოსათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **ორმხრივი ურთიერთობების გამყარება**, არსებული ფორმატების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა და თანამშრომლობის ახალი სფეროების მოძიება. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი პარტნიორობის სტრატეგიულ დონეზე აყვანა და ტრადიციულად მოკავშირე ევროპულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელება და შემდგომი გაღრმავება;
- ორმხრივი ინტერესების მხედველობაში მიღებით, აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის რეგიონების მზარდი როლისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, აღნიშნულ რეგიონებში ქვეყნის პოლიტიკური ხილვადობის კიდევ უფრო გაზრდა და საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის გაძლიერების ხელშეწყობა;

აქტიური ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული **რეგიონში დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორულ თანამშრომლობაზე** დამყარებული პოლიტიკის გასატარებლად. ამისათვის აუცილებელია:

- დაბალანსებული და თანამიმდევრული სამეზობლო პოლიტიკის გატარება; საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის გაგრძელება ეროვნული ინტერესების შესაბამისად, სტრატეგიული პარტნიორობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე;
- საქართველოს, როგორც მშვიდობაზე, თანამშრომლობაზე, გლობალურ და რეგიონულ პროექტებში მაქსიმალურ ჩართულობაზე, რეგიონისა და ქვეყნის სატრანზიტო და ეკონომიკური ჰაბის ფუნქციების გაძლიერება;
- საერთო და რეგიონის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, საქართველოს, როგორც გამონწვევების წინააღმდეგ მებრძოლი, ერთობლივ ძალისხმევაზე ორიენტირებული ქვეყნის როლის გაძლიერება;

- საქართველოსათვის მნიშვნელოვანი წითელი ხაზების - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ტერიტორიული მთლიანობის ინტერესების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციასთან რაციონალური და დეესკალაციის პოლიტიკის ფარგლებში სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთა შორისი კონტაქტების ხელშეწყობის გაგრძელება.

მსოფლიო სწრაფად ცვალებადი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე, საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს **მრავალმხრივი ფორმატების ფარგლებში**, გლობალურ და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური ჩართულობა. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- მრავალმხრივ ფორმატებში ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარება;
- მრავალმხრივ ფორმატებში, გლობალური პოლიტიკური, უსაფრთხოების, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობით საქართველოს, როგორც საერთაშორისო საზოგადოების აქტიური და სრულყოფილი წევრის წარმოჩენა;

საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაცია მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, რათა გაიზარდოს ქვეყნის ცნობადობა და საქართველომ უფრო მეტი მეგობარი და გულშემოტიკარი შეიძინოს. ამისათვის, აუცილებელია:

- საქართველოს, როგორც სტაბილური, თანამედროვე, დემოკრატიული და თვითმყოფადი კულტურის მქონე ქვეყნის იმიჯის გამყარება;
- საქართველოს, როგორც ევროპული კულტურული სივრცის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენა;
- UNESCO-ს გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით, 2021 წლის ნიგნის მსოფლიო დედაქალაქ თბილისში შესაბამისი ღონისძიებების, ისევე როგორც 2022 წელს, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „ევროპალია-საქართველო“ წარმატებით ჩატარება;

განსაკუთრებულ ყურადღებას და ხელშეწყობას საჭიროებს საზღვარგარეთ **ქართული დიასპორა**, რისთვისაც მნიშვნელოვანია:

- დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვისა და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა და პროექტების განხორციელება;
- საზღვარგარეთ ქართული დიასპორის განვითარების და კიდევ უფრო გაძლიერების ხელშეწყობა საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებისა და ფოლკლორული ანსამბლებისთვის დახმარების, ახალი ქართული კულტურის კერების დაარსების ხელშეწყობის გაგრძელების, მოქმედი კულტურის ცენტრების და დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებისა და განვითარების გზით;
- განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიასპორის ჩართულობისა და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების ხელშეწყობის საკითხებზე.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება **საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა**. კერძოდ:

- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა;
- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთათვის, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოებით, შესაბამისი სერვისების მიწოდების არეალის გაზრდა;
- საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ უვიზო მიმოსვლის არეალის გაფართოება;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების შემდგომი გაძლიერება შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ.

4.2. თავდაცვა

ქვეყნის უსაფრთხოება კეთილდღეობისა და განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, თავდაცვის სისტემის განმტკიცება და სამხედრო აღმშენებლობა ქართული სახელმწიფოს ეროვნული ამოცანაა.

2012 წლის 1-ელი ოქტომბრის შემდეგ, „ქართული ოცნების“ მიერ თავდაცვის სფეროში მწყობრი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებამ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ქვეყანაში ყველაზე ხანგრძლივადიანი სტაბილურობა და მშვიდობა განაპირობა. საქართველოს შეიარაღებული ძალები გათავისუფლდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროინდელი მავნე და საშიში პოლიტიკური გავლენებისგან, შიდა პოლიტიკურ პროცესებში შეიარაღებული ძალების სრული ნეიტრალიტეტი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა.

თავდაცვითი ომი ჩვენი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა, ხოლო შეიარაღებული ძალების მზადყოფნა და სიძლიერე – ქვეყანაში სტაბილურობისა და მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი გარანტი.

თავდაცვის სისტემის განმტკიცება, შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა 4 მთავარი მიმართულებით განხორციელდა:

1. სტრატეგიისა და მართვის სრულყოფა;
2. შეიარაღებული ძალების მუდმივი მზადყოფნა;
3. შედეგებზე ორიენტირებული და ეფექტიანი ინსტიტუციური რეფორმები;
4. საერთაშორისო ჩართულობა;

ოთხივე ამ მიმართულებით „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ქვეყანამ შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია.

სტრატეგიისა და მართვის სრულყოფის მიმართულებით:

- დაიწყო თავდაცვის სფეროს საკანონმდებლო და სამართლებრივი ჩარჩოების გადახედვისა და განახლების პროცესი. განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება თავდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის, შემუშავდა „თავდაცვის კოდექსის“ პროექტი. კონცეპტუალური ჩარჩოს განახლების პროცესში გადახედილი იქნა არსებული სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტები. ტოტალური თავდაცვისა და ერთიანი სამთავრობო მიდგომის უკეთეს ასახვის მიზნით, თავდაცვის სამინისტრომ მოახდინა **თავდაცვის ეროვნული სტრატეგიის (2021-2030)** შემუშავების ინიცირება და მოამზადა დოკუმენტის პირველადი ვერსია. აღნიშნულმა სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის ამოცანები და შექმნას თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების განვითარების მყარი საფუძვლები გრძელვადიან პერსპექტივაში. დოკუმენტი ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვაში ჩართული სხვა სახელმწიფო უწყებების მონაწილეობას;
- **თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი** (თსმ) 2017-2020-ის ფარგლებში, თავდაცვის სისტემაში ჩატარდა მასშტაბური ოპტიმიზაცია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სტრუქტურულ ცვლილებებს, ასევე გამოყოფილი რესურსების ეფექტურ გამოყენებას საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით. ოპტიმიზაციის შედეგად აღმოიფხვრა ფუნქციონალური დუბლირება სამინისტროს და თავდაცვის ძალების სტრუქტურულ ერთეულებს შორის. თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, რომლის მიზანია ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების აღმშენებლობა, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს ახალ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის შემუშავებას. წინა დოკუმენტებისგან განსხვავებით, **თსმ 2021-2025-ის** მეთოდოლოგიური მიდგომა ითვალისწინებს სპეციფიკური, გაზომვადი და დროში განსაზღვრული აქტივობების ჩამოყალიბებას, რაც რეფორმების უკეთესი იმპლემენტაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების, საწყის ეტაპზევე იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

რაც მთავარია, თსმ 2021-2025 უზრუნველყოფს საშუალოვადიან პერსპექტივაში თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესის განგრძობადობას და ამ პროცესის შესაბამისობას თავდაცვის სამინისტროს გრძელვადიან ხედვებსა და გეგმებთან.

შეიარაღებული ძალების მზადყოფნის მიმართულებით:

- **ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ინსტიტუციონალური განვითარების გზით, რის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დაკისრებული ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის აუცილებელი მზადყოფნის დონის შენარჩუნება;
- **გაიზარდა საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობები** - საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ხელი მოეწერა კონტრაქტს ფრანგულ მხარესთან. მიმდინარეობს კონტრაქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- **გაძლიერდა ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები** - 2018 წელს განხორციელდა ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსის JAVELIN-ის შეძენა, მომზადდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განხორციელდა შესაბამისი ტექნიკური მომზადების კურსები;
- **გარდაიქმნა და თვისებრივად გაუმჯობესდა სავალდებულო სამხედრო სამსახური** - დაინერგა მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს 3 მნიშვნელოვან სიახლეს: 1) თითოეული ახალწვეული გაივლის საწყის საბრძოლო მომზადების კურსს და შემდგომ საბრძოლო მომზადებას; 2) ახალწვეულებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ გაზრდილი რაოდენობის უქმე დღეებით; 3) გაიზარდა წვევამდელთა თვიური ანაზღაურება;
- **გაუმჯობესდა რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა** - გადაიდგა გარდამტეხი ნაბიჯი, საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 7 მარტს მიიღო კანონი „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“; მიმდინარე საპილოტე პროექტის ფარგლებში უკვე ჩამოყალიბებულია რეზერვისტთა 4 ასეული;

შედეგებზე ორიენტირებული და ეფექტიანი ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებით:

- **გაუმჯობესდა ადამიანური რესურსების მართვა** - დაინერგა სამუშაოს ანალიზის სისტემა, შემუშავდა სამუშაოს ხარისხის შეფასების სისტემა. დამტკიცდა „თავდაცვის სამინისტროს პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების სახელმძღვანელო“;
- **გაუმჯობესდა ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა** - შეიქმნა გადაადგილების ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი (NMCC) და დაკომპლექტდა პირადი შემადგენლობით;
- **გაიზარდა თავდაცვის რესურსების მართვის ეფექტიანობა** - სამინისტროში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მნიშვნელოვნად, 50%-მდე შემცირდა პერსონალის ხარჯი. გამოთავისუფლებული რესურსი მოხმარდა თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნებასა და განვითარებას. შესაბამისად, ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ის, ხოლო ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი მშპ-ს 2%-ის ფარგლებში განისაზღვრა;
- **გაიზარდა კიბერუსაფრთხოება** - კიბერუსაფრთხოებიდან მომდინარე რისკების მინიმუმადე დაყვანის მიზნით, 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული წარმოადგენს ერთ-ერთ ნამყვან უწყებას სამინისტროსა და ქვეყნის მასშტაბით კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კიბერინციდენტებზე დროული რეაგირების კუთხით. საქართველოს თავდაცვის მინისტრის გადანყვეტილებით, თავდაცვის ძალებში 2019 წელი კიბერუსაფრთხოების წლად გამოცხადდა. გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, რომელთა მთავარი მიზანი თავდაცვის სამინისტროს უწყებებისა და სისტემების უწყვეტი, გამართული და დაცული მუშაობის უზრუნველყოფა იყო;

- **დაჩქარდა ინფრასტრუქტურული განვითარება** - ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წარმოადგენდა მნიშვნელოვან პრიორიტეტს. შემუშავდა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის გეგმა, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ყაზარმების, საბრძოლო მომზადებისა და განათლების ობიექტების მოწყობა-მოწესრიგებაზეა ორიენტირებული.

საერთაშორისო ჩართულობის მიმართულებით:

- **გაგრძელდა სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა** - საქართველოს შეიარაღებული ძალები მონაწილეობენ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში: ნატოსა და გაეროს ოპერაციებში ავღანეთში; ასევე, ევროკავშირის ოპერაციებში ცენტრალური აფრიკისა და მალის რესპუბლიკებში;
- **გაგრძელდა საერთაშორისო წვრთნები** - გაიზარდა საქართველოს ტერიტორიაზე ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ჩატარებული მასშტაბური წვრთნების რაოდენობა. გაიზარდა როგორც მონაწილე მხარეების, ისე გამოყენებული სამხედრო ტექნიკის მრავალფეროვნება. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია წვრთნები - Noble Partner და Agile Spirit;
- **ქართველი ჯარისკაცები ნატოს რეაგირების ძალებს (NRF) შეუერთდნენ** - 2015 წლიდან ქართველი ჯარისკაცები ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს შეუერთდნენ, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია როგორც ნატო-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების, ისე საქართველოს თავდაცვის ძალების კვალიფიკაციისა და შესაბამისად, ურთიერთთავსებადობის გაზრდის მიმართულებით;
- **შეიქმნა და გაფართოვდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP)** - საქართველოსთვის „არსებითი პაკეტი“, 13 ინიციატივას 2016 წლიდან დაემატა კიდევ ორი ინიციატივა. „არსებითი პაკეტის“ ფარგლებში ეფექტიანად ფუნქციონირებს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი (JTEC) და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS).

სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სამხედრო მოსამსახურეთათვის ღირსეული პირობებისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით:

- 2019 წლიდან, თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო სამხედრო მოსამსახურეთათვის ხელფასების ეტაპობრივი ზრდა, ხელფასები წოდების მიხედვით გაიზარდა 100-დან 500 ლარამდე;
- ხარისხობრივად გაუმჯობესდა ჯანმრთელობის დაზღვევა;
- მკვეთრად გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა კვება - 2020 წლის იანვრიდან, ახალი სტანდარტებით, ქართული ჯარი უმაღლესი ხარისხის პროდუქციით მარაგდება; გაიზარდა და მრავალფეროვანი გახდა კვების რაციონი;
- თავდაცვის ძალების 29-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად, სამხედრო მოსამსახურეები ნატოს სტანდარტების შესაბამისი, უმაღლესი ხარისხის ზამთრის და ზაფხულის სამხედრო ფეხსაცმლითა და ნატოს წევრი ქვეყნებისა და აშშ-ის ჯარის უნიფორმის ქსოვილის სტანდარტის, კომუფლირებული უნიფორმით არიან უზრუნველყოფილი;
- ჯარისკაცზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, 2020 წლის სექტემბრიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სწავლის საფასურის 50%-იან თანადაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს;
- სამხედრო მოსამსახურეებისთვის სახელმწიფომ დაიწყო ეფექტიანი საბინაო პოლიტიკის განხორციელება - მახათას მთაზე მიმდინარეობს სამხედრო ქალაქის მშენებლობა, სამხედრო მოსამსახურეები საცხოვრებელი ფართობის შეძენას უპრეცედენტოდ შეღავათიანი პირობებით შეძლებენ; ამასთან, 2020 წელს განხორციელდა პროექტი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესების ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული 5000-მდე ბინის ფაქტობრივი მფლობელებისთვის დაკანონებას ითვალისწინებს;

- გაძლიერდა დაღუპული სამხედროების ოჯახებზე ზრუნვა, საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედროების ოჯახებს ერთჯერადი დახმარების სახით გამოეყოფათ 100 000 ლარი;
- 1990 წლიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ასევე, საერთაშორისო მისიებში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს ყოველთვიურად ერიცხებათ 1000 ლარი.

ქვეყნის თავდაცვის სისტემის გაძლიერების მიზნით, 2020-2024 წლებში:

- ეროვნული თავდაცვის სისტემის განვითარების პროცესში გაგრძელდება „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის ინტენსიური დანერგვა;
- აშშ-სთან, როგორც ძირითად სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, გაგრძელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელება, რომლის ფარგლებში, მომზადდება და აღიჭურვება თავდაცვის ძალების ქვეითი ბატალიონები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საინჟინრო, ლოჯისტიკური, სპეციალური დანიშნულების ძალების, საჰაერო თავდაცვის, საჰაერო-სატრანსპორტო, ჯავშანსაწინააღმდეგო, დაზვერვის, არტილერიის, მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების შესაძლებლობების განვითარებას, კიბერუსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროების და ეროვნული გვარდიის შემდგომ რეფორმირებას;
- თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, გაგრძელდება სამხედრო განათლების სფეროს - ოფიცერთა და სერჟანტთა მომზადების მნიშვნელოვანი სეგმენტების ინსტიტუციონალიზაცია და ალიანსის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის თავდაცვის შეფასების შესაძლებლობებს, ისევე როგორც ხელს შეუწყობს ნატოს „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის“ (Partnership Interoperability Initiative) განხორციელებას; ამასთან, მოხდება საბრძოლო სანვრთნელი ცენტრის (CTC) სრულფასოვანი გამართვა, საწყისი საბრძოლო მომზადებისა და დოქტრინების ცენტრების შემდგომი განვითარება ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით;
- ალიანსის გაძლიერებული მონიწივე განლაგების (Enhanced Forward Presence) გათვალისწინებით გაგრძელდება თავდაცვის ლოჯისტიკის სფეროს ტრანსფორმაცია;
- განხორციელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვალისწინებული ინიციატივების იმპლემენტაცია, რომლის ფარგლებშიც, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით, ალიანსისგან მიღებული ეფექტიანი მხარდაჭერით მიიღწევა ნატოს თანათავსებადობის მაღალი ხარისხი;
- ტოტალური თავდაცვის პრინციპის გათვალისწინებით, გაგრძელდება სარეზერვო ქვედანაყოფების მომზადება. აქტიური რეზერვის განვითარების მიზნით, გაგრძელდება სპეციალისტთა რეზერვის პროგრამის შემდგომი გაფართოების გეგმების შემუშავება, რაც გულისხმობს რეგულარულ ქვედანაყოფებში სპეციალისტთა რეზერვისტებისთვის შესაბამისი პოზიციების განსაზღვრას;
- გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები სამხედრო-სამეცნიერო კვლევების, სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით;
- GDRP-ის მიმდინარეობის პარალელურად, ეტაპობრივად გაიზრდება მასში ჩართული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის ანაზღაურება;
- გაგრძელდება როგორც სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობების განვითარება, ისე თავდაცვის ძალების, თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა, ვეტერანთა, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სამედიცინო მომსახურების/რეაბილიტაციის ეფექტიანობის ამაღლება და დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებები;

- მოსამსახურეებისთვის გაგრძელდება ბინათმშენებლობის თანადაფინანსება და სხვა სოციალური პროექტები;
- ერთ-ერთი პრიორიტეტი კვლავაც იქნება სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; მათ შორის, განხორციელდება ყველა მოქმედი ყაზარმისა და სასადილოს, დაახლოებით 250-მდე ობიექტის, სრული რეაბილიტაცია. ჯარისკაცებისთვის მოეწყობა ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, ასევე, მონესრიგდება სამხედრო ბაზების შიდა ინფრასტრუქტურა.

